ტებს, ჩვენივეს ცნობილი სეთი წესიერი მრავალწახნავა სხველი — ტრატადერი, ანუ პირამილა, ოტტადერი, ცოსადერი, კრები და დოდე-კედრი შეესაბამება <sup>117</sup>, ხოლო მათ წახნავებს ორი სხვადასხვა ტიპის მართკუთხა სამკუთხედი ქმნის, რომელთაგანაც ერთი ტოლფერდა-პეოტი კი ანატოლუფერდა, კერძოდ, ისეთი ანატოლუფერდა მართკუ-თხა სამკუთხედის, რომლის პაობტენზაც ორჯერ აღწევს ტახტა-კათეტს <sup>118</sup>, პლატონის წესიერი მრავალწახნავა სხველების ინფრა-სტრუქტურასაც დაწერილობით ქვემოთ გვაქნება საუბარი, აქ კი შემო-ვუბრავლებით ვერანერ მაინუნეროგის ერთი შენაშენით: თანამედროვე ატომური ფიზიკის „ელემენტარული ნაწილატები შეძლებს პლატო-ნის „პრომოსის“ წესიერ სხველზე შევედროთ. ისინი პირველსავე-ნება, მატერიის იდეებია... ეს პირველსავეებით მთელ შემდგომ პროცესს განსაზღვრავენ. ისინი ცენტრალური წესიერების წარმომადგენლები-არანაა <sup>119</sup>.

რა თქმა უნდა, პლატონს ცოტა რამ აქვს საერთო თანამედროვე ატომური ფიზიკის მიღწევებთან. „პრომოსის“ ატომისათვის უცხო-დობის პლანეტარული მიდევლი, მისი ინფინიტრეტების დღევანდელ-სევეს, კვანტური მექანიკის საფუძვლები, „მაგრამ მან დასვა პიზო-ბლესა, რომლის არსიც იმაში ელემენტარობის, რომ გარკვეულ ელემენ-ტთა ნაწილატები (ხოლო ელემენტებმად მაშინ თავებლად ოთხი სტა-ქიონი — ეცხსლი, პაერი, წყალი და მიწა) უფრო ატარა სტრუქტურ-ული ერთეულებსაგან შედგება, რომლებიც უფრო მეტად იმსახუ-რებენ „ელემენტარულთა“ სხველს, ვიდრე მათგან მიღებული რთულ-წარმონაქმნები. მის წარმომადგენს ეს ერთეულები და რთვონ-ქმნებიან მათგან ელემენტთა ნაწილატები? ახლა ჩვენ ვიცით, რომ ამ ამბობლებთან დასმასა და მის საბოლოო გადაჭრას შორის გაიჭილეს-დროის შეუადვი, რომელიც დაახლოებით 2300 წელს მოიცავს. მაგ-რამ ამ პრობლემის მარტოდენ დასმითაც კი პლატონი მთელი თავთა-მალა დაღვა ყველა მის წინამორბედსა თუ თანამედროვეზე, ისევე რიკორიკი მომდევნო თათბარა ბევრ სხვა სწავლულზედაც (არისტო-ტელს ნათელით)“ <sup>120</sup>.

თემცა ერთთა პრობლემის დასმა და მეორე — მისი გადაჭრა. პლა-ტონისა სცადა მის ხელთ არსებული სწავლებებით თავისებურად გადაჭრა ზემოხსენებული პრობლემა. უსასრულოდ მრავალრიცხოვან-და სრულიად უწესრიგო ფორმის მქონე ატომთა დემოკრიტურად კონცეფციის მან დაუბარისპირა მიკროელემენტთა გაიკლებით უფ-რო მჭეობრი და თანამედვერული მათემატუკური თეორია, სადაც თო-ლოველ ფიზიკურ ელემენტს ესა თუ ის მათემატუკური ობიექტი — წესიერი მრავალწახნავა სხველთა ესა თუ ის ტიპი შეესაბამება, ხოლო ამ ტიპთა ფორმირებშია გადაშეყვებ რილს ასრულებს არა მარტო

ეკონომიკურიზმის, არამედ ელემენტარობის, სინატიფისა და დასვეწრობის პრინციპები, რასაც, უწინაესო ყოველისა, გეომეტრიული სიმეტრიის უძველესი საფუძველია<sup>121</sup>, ყოველგვარ ეს კი გაყვლებით უფრო ახლოა მიკრონაწილკეთა თანამედროვე ფიზიკურ სურათთან, ვიდრე ანტიკური ან მომდევნო ეპოქათა ატომიზმი. ვერნერ ჰაინზენბერგი შენიშნავს: „დასაწყისში იყო სიმეტრია“ — ნამდვილად უფრო სწორია, ვიდრე დემოკრიტეს თეზისი: „დასაწყისში იყო ნაწილაკი“ უმეტრადილი ნაწილაკები სიმეტრიებს განასახიერებენ, ისინი მათ უმეტრადიან გამოხატულებებს წარმოადგენენ. მაგრამ, ამასთანავე, — მხოლოდ ამ სიმეტრიების შედეგსაც<sup>122</sup>.

როგორც ვხედავთ, პლატონის ნაწარგვი მოძღვრება ელემენტთა შესახებ ორგანიზულ ქარჭების ნივთიერების აგებულებას ატომისტურ კონცეფციას, რაც მის, წარკვეული აზრით, დეკრიტესა და დემოკრიტეს ატომიზმთან ანათესავებს. ანტიკური სიმეტრიების დიდ შიპარტუნდია ეს ფუნდამენტური იდეა ათასწლეულების შემდეგ კაცვ ალბრანდებმა და შემდგომ განვითარებებს ჰპოვეს ექსპერიმენტული ქიმიის ფუნდამენტების — ლევაზიეს, დანტონის, ავოგადროსა და სხვათა შრომებში, მხოლოდ, რა თქმა უნდა, ელემენტთა ბუნების არსში უფრო ღრმა წვდომის საფუძველზე. მაგრამ პლატონის ატომისტურ თეორიას მეორე — სრულიად უჩვეულო და უნიკალური ასპექტიც აქვს, რაც მის არა მარტო ძირეულად განასხვავებს დემოკრიტეს ატომიზმისაგან, არამედ იმის უფლებასაც გვაძლევს, რომ „ტიმეოსის“ ატომის თანამედროვე ატომური ფიზიკის კორექცთა შორეულ წინამორბედად ვთვლიდეთ.

დემოკრიტეს ატომები მატერიის მარადიული და უცვლელი, აბსოლუტურად მარტივი და ერთმანეთზე დაუცვამელი პირველადი ნაწილაკებია, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ მასით, სიდიდითა და კონფიგურაციითა უნასრულო სხვადასხვაობით. რაკილა აბსოლუტურად მარტივი არიან, ცხადია, მათ შინაგან სტრუქტურაზე ლაპარაკი კი უნდებოდა. მაშინ როდესაც პლატონის ელემენტარულ ნაწილაკთა, ანუ ატომთა ბუნების განსახილველად ფაქტურად გარეგანი კონფიგურაციები კი არა, სწორედ მათი კრისტალურად ნატული შინაგანი სტრუქტურა ვეუბნებოდა. აქედან გარდევალად გომოფილარობის, რომ პლატონის ელემენტარულ ნაწილაკებს მარტივად ვერ მივიჩნევთ. მაგრამ ყველაზე არსებითი მიანიც ის ვახლავთ, რომ ისინი არც უცვლელი და, მაშასადამე, არც მარადიული არ არიან. და კიდევ ერთი მომენტია, რომლითაც პლატონი დიამეტრალურად უპირისპირდება მის წინამორბედ ატომისტთა თვალსაზრისს:

ლეკიპესა და დემოკრიტეს მიხედვით, ატომები ერთმანეთზე დაუცვამელი არიან, პლატონი კი, პირიქით, ამტკიცებს, რომ ისინი ერთ-

მანეთზე დაუცვამებიან, ერთმანეთზე გარდაიქმნებიან. პლატონის „ატომების“ — წესიერი მრავალწახნაგ სხეულების ურთიერთგარდაქმნას მათი შინაგანი სტრუქტურის შეცვლა განასახიერებს, ხოლო უცვლელ ამსარი ცვლდება თავად უცვლელი უმარტივესი სტრუქტურული კომპონენტების დონეზე ხორციელდება, რომლებიც საერთოა ძველი მრავალწახნაგ სხეულებისათვის, როგორცაა ტეტრაედრი, ოქტაედრი და იკოსაედრი. როგორც უკვე ითქვა ეს უმარტივესი, სამეცნიერებისეული სხეულისათვის საერთო სტრუქტურული კომპონენტები ელემენტარული სამეცნიერებები.

მხოლოდ დიდი მთავარბუნებისა და ბუნებისმეტყველის იშვიათ ნიჭთან ორგანიზულ შეარწყმელ გენიალურ ინტელექსს თუ შეეძლო ესოდნ ღრმად შეგრძობილი მიკრონაწილკეთა იდეებთან სამყაროში და ჩამოყვლიბებინა თავისი სირთულითა და სიბრძნით გამოგნებელი შესიერული ჰაბიტობა, რომელიც წინ უსწრებს მთელ ანტიკურბუნებას და თანამედროვე ატომური ფიზიკის თვალსაზრისს უახლოვდება. ყოველივე ამის შემდეგ ი. ჰამერ-იენსენის ზემოთ განხილულ ნაშრომში გამოთქმული მოსაზრება მხოლოდ იმის ნიშნულ რჩება, თუ რა შემდეგი მოსდევს ობიექტურობისა და ისტორიული სიმართლის იფინარობებს. მართებულად შენიშნავს ი. როყანკი: „მთელი თავისი მსჯელობიერულობის მიუხედავად ი. ჰამერ-იენსენის თვალსაზრისში ვერ ჰპოვა მხარდებრა მკვლევართა უმრავლესობის თვალში. განსაკუთრებით მართალია, ცალკეული დამთხვევები გვაფიქრებინებს, რომ პლატონი იცნობდა დემოკრიტეს თხზულებებს, რაკი თავის ატიმეოსს“ წერდა, მაგრამ სხვათა დემოკრიტეს ატომისტტყვისა და პლატონის თეორიამ შორის მტრისმეტად მკვეთრა სიბრძნით, რომ მეორე პირველის უბრალო, თუნდაც ვალდებუებულ გადმოცემად წარმოვიდგინოთ. მატერიის აგებულების პლატონური თეორია არც დემოკრიტეს მოძღვრების გამოჩნება, არც მისი გადმოცემა თუ ვალდებუებება უსა სრულიად ორიგინალური ფიზიკური თეორია, გაცილებით უფრო რთული, უფრო ღრმა და... უფრო სანდუნური ჩვენი დროის ფიზიკის თვალსაზრისით, ვიდრე ყოველივე ეს, რასაც დემოკრიტეს ანტიკური ატომისტტყვაში ვპოულობთ“<sup>123</sup>.

პლატონის ატომისტტური თეორიის მთელი სირთულითა და ორიგინალობის გასაახრებლად წარმოვიდგინოთ, რა სურათს ვეთავაზობს გავსული საუკუნის დამწვევ ევროპული მეცნიერება. ატომურ ფიზიკასა და ექსპერიმენტულ ქიმიასში გაბატონებულა ქარ კიდევ დემოკრიტესად მომდინარე, ხოლო შემდეგ ლევაზიესის, დანტონისა და სხვათა ფუნდამენტური გამოცვლევებით გამმტყვებული თვალსაზრისი: ატომები უცვლელი არიან, არც ჩნდებიან, არც ქრებიან და არც ერთმანეთში შეუძლიათ გადასვლა. და აი, ჩვენი საუკუნის დამწვევს,

ბევრების, მარია სკლადოვსკაი-კიურის, პიერ კურის, რუნერ-ფორლისა და ატომური ფიზიკისა თუ ქიმიის მრავალი სხვა კორფის ექსპერიმენტების წყალობით მსოფლიო სენსაციური აღმოჩენის მოწვევა შეიქმნა, რაც მოწმუნდლო ცხე მუხის გაჯანსაღება გადამა ატომთა უცვლელის შესახებ მცლარია; კიმიურ ელემენტთა ატომები რადიოაქტიური დაშლის შედეგად სხვა ნივთიერებათა ატომებად გადაიქცევიან. ეს იყო მეცნიერული რევოლუცია, რომლის ბადალიც იმითადალ თუ მოიხმენება კაცობრიობის ისტორიაში და რომელმაც ძირფულად შეცვალა ჩვენი წარმოდგენები ნივთიერების აგებულებაზე.

ჩვენ ვიცით, რა მნიშვნელოვანი ტრავმატული შეხედულებების, ათასწლეულების მანძილზე შეისისლბორცებულა წარმოდგენების მსხვრევა. თით ბევრ, ძალიან ბევრ მეცნიერს — ფიზიკოსს თუ ქიმიკოსს, ბუნებისმეტყველს თუ ფილოსოფოსს გაუჭირდა მატერიის ინფორმაციტეტრის ამ ახალი მოღვის აღიარება და ვახიარება. მაგრ, რა ვასაკერია, რომ პლატონის ატომისტური კონცეფცია ოცდასამი საუკუნის მანძილზე ამ მდლიანდ იგზორირებულ იყო, ან დღით მო-ახროვნის უცნაური ახირების, ფანტაზიის ქონაში თამაშის ნაყოფად იკვლებოდა... მაგრამ 1919 წელს რუნერფორდმა შეძლო გაგხლინა ატომის ბირთვი. ეს იყო აღმამისნ მთერ განხორციელებული ელემენტთა გარდაქმნის პირველი ხელოვნური რეკცია: აღფა-ნაწილკებათ აზობრის ატომის ბირთვის ბომბარდირების შედეგად ბირთვიდან ამოვარდა პროტონები, ხოლო აზოტი ენაბნდად იქცა. მალე შესძლბო გახსნა არა მარტო აზობრის, არამედ ბორის, ფტორის, ნატრიუმის, ალუმინის, ფოსფორისა და სხვა მრუბუქ ელემენტთა ბირთვის განხლმკვა. ექვინა და ოპროფობისათვის ადგილი აღარ დარჩა. პლატონის გენიალური პაბოთვა ექსპერიმენტულად დადატრდა. მაგრამ თით ექსპერიმენტატორებს წარმოადგენდა არა ჰქონდათ, რომ მათი აღმოჩენა 2300 წლით ადრე იწინასწარმეტყველა აღმამინა, რომელსაც თანამედროვე ატომისტები მხოლოდ მოკვანუნებით მიაგებენ მის კეთენილ მატერიალ.

„დემოკრიტის ფილოსოფიაში — წერს ვერნერ ჰაიზენბერგი, — ატომები მატერიის მარადიულ და განუყოფელ ერთეულებად გველიონებიან, მათ არ შეუძლიათ ერთმანეთად გარდაიქმნან. თანამედროვე ფიზიკა დემოკრიტეს ამ დებულების წინააღმდეგ გამოდის და პლატონისა და პითაგორელების მხარეზე დგება. ელემენტარული ნაწილკებისა არ არიან მატერიის მარადიულ და განუყოფელი ერთეულები: ფაქტობრად, მათ შეუძლიათ ერთმანეთად გარდაიქმნან. ორი ელემენტარული ნაწილკის შეგახებისას, რაც დიდი სიმჭარისას ხდება, წარმოიქმნება ბევრი ახალი ელემენტარული ნაწილკი; მოძრაობის ენერგისაგან რომ იღებენ დსაბამს, ნაწილკები ერთმანეთთან შე-

ქსიბისას შეიძლება გაჭრნენ. ასეთი პროცესები ხშირია, რაც ზედმწუნით ვეიდსატრბებს იმას, რომ ყველა ნაწილკი ერთი და იმავე სუბსტანციის — ენერგისაგან შედგება. მაგრამ თანამედროვე ფიზიკა წარმოდგენებისა და პლატონისა და პითაგორელების შეხედულებათა შვკუსება კიდევ უფრო ღრმაა. ელემენტარული ნაწილკები, რომლებიც ვანდილულა პლატონის „ატომისში“, ბოლოს და ბოლოს, მატერია კი არა, მათემატიკური ფორმებია. „ყველა საგანი რიცხვია, — ამტოთა დებულება, რომელსაც პითაგორას მიეწერება. იმხანად ცნობილი ერთადერთი მათემატიკური ფორმები გეომეტრიული და სტერეომეტრიული ფორმები იყო, წესიერი მრავალწახნაგ სხეულებია და სპლესიბუდების მსგავსი, რომელთაგანაც შედგება წესიერ სხეულები: ზედაპირი თანამედროვე კვანტური თეორიის მიხედვით, შეუძლებელია აღეკვება, რომ ელემენტარული ნაწილკები, საბოლოო ანგარიშით, მათემატიკური ფორმებია, მხოლოდ ვაკილებით უფრო რთულია. ამ პსტაქტიული ბუნებისა. ბერძენი ფილოსოფოსები ფიქრობდნენ სტატორ, გეომეტრიულ ფორმებზე და წესიერი მრავალწახნაგ სხეულებში ბოლობუნდნენ მათ. ახალი დროის ბუნებისმეტყველებამ აღმკენებისთანავე, XVI—XVII საუკუნეებში, ცენტრალურ პრობლემად შემოიტანა დროის ელემენტი. ნიუტონის დროიდან მოყოლებული, ფიზიკა უცვლელად იკვლევს არა კონფიგურაციებსა და გეომეტრიულ ფორმებს, არამედ დინამიურ კანონებს. მოძრაობის ვანტოლებე დროის ნებისმიერ მომენტზე ეტება: ამ აზრით, ის მარადიულია, მასში რილვსაც გეომეტრიული ფორმები, მავალითად, პლანეტათა ორბიტები, იკვლიბან. ამბობს მათემატიკური ფორმები, რომლებიც ელემენტარულ ნაწილკებს წარმოადგენენ, საბოლოო ანგარიშით, მატერიის მოძრაობის უცვლელი კანონის ვადამყვეტს უნდა ვვადებდნენ<sup>121</sup>. ატომური ფიზიკის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენლის ამ ერთელ ციტატაში ნახვსმულია ანტიკური და თანამედროვე ატომისმის როგორც მავსებების, ისე მათი გამსხვავების მომენტებიც. მაგრამ მთელი ამ სხვაობის მიუხედავად, პლატონის დეჟაშის მისი სტერეორული დსამსახრების ნამდვილ ამოთოზად იმის იმავე პირეზბერის სიტყვები: „... თანამედროვე ფიზიკა იმავე გზით მიიწევს წინ, რომლითაც მიდილიონენ პლატონი და პითაგორელები. ფიზიკის ეს განკითარება ისე გამოიყურება, თითქოს ამ გზის ბოლოს მიღწეულ უნდა იქნეს ბუნების კანონის ძალზე მარტივი ფორმულირება, ისეთი მარტივი, როგორის ხილვასაც, იმდითა და სასიბოით მოელოდა გერ კიდევ პლატონი“<sup>122</sup>.

დემოკრიტეს უცვლელი, განუყოფელი და ერთმანეთზე დაუყვანელი ატომები საშუაროული ყოფიერების საბოლოო ინსტანციაა, უცნასკნელი ზღვარი, რომელზედაც ჩერდება ბუნება, რათა ამ მარადი-

ული საფუძვლიდან დაიწყო ურცხვ სამყაროთა და მთელი მატერი-  
ალური კოსმოსის შექმნა არსად ლოგოსის ნაბაშა. არსად ურყევე  
და მყარი წარსრავი, სამყაროდან პარწმინდად გამოირცხვლია ყოველ-  
გვარი ტელეოლოგიური პრინციპი, ყოველგვარი მიზანი, უწინარე-  
ყოფლია კი — აზრი და მისი მშობელი გონიერება. სამყაროელი ქა-  
ოსის უსახო წიაღში როგორც უსიკოცლო უდაბნოში, მხოლოდ აქ-  
იქ ჩნდებიან მწვანედ მოხასხასე თაზრები — შლავერად მრავალ  
ატომთა შერწყმა-შეერთების შედეგად წარმოქმნილი და დროებით  
მოურყრავებელი სამყაროები, რათა მალე კვლავ დაინთქან ქაოსის  
პირქვეშ უფსკრულში. ყველაღერი მოკვდავი და წარმავალი, თვითონ  
ღმერთებოც, მარადიულია მხოლოდ დაბადებათა და ვადავებათა დუს-  
რულებელი მონაცვლითა. ყველაფერს წარმართავს, ყველაფერს ქმნის  
და ანგრევს მხოლოდ ატომთა თავაყვეტილი თარეში თუ ბრმა შემ-  
თხვეულობა, რომელიც ზოგჯერ ბედისწყარასთანაა გაიგივებული:

„თავაყვეტილობა და უპაზრო კოსმოური თამაშში, დაუსაბამოდ და  
უპაზროდ, მიაპიტურად და შლავერად დათარეშობენ სამყაროელი სი-  
ცარიელის უფსკრულთა სიღრმეში, ღმერთმა იცის, საიდან მოვარდ-  
ნილი და საითყენ მჭროლი უმიზეზო და უმასპარაო გრივანნი, გზა-  
დაგზა ბრმად და ანგარიშმოციქულად რომ ქმნიან თავიანთი თავიდან  
და მარად მოციანრე უპრინციპობით იქვე ანგრევენ ურცხვ სამყა-  
როს. რა არის ამ გრივალთა მიზეზი, ან რატომია, რომ მათ წილში  
ატომები სწორედ ასე ერწყმიან ერთმანეთს და არა სხვაგვარად? —  
ამ კითხვებზე არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს რამე პა-  
სუხი, მაგრამ, დამოკირტეს თანამედ, სწორედ ესაა კარგი. რა მიზანი-  
ვისთვის ის არსთვის იბადებიან ატომებიდან და კვლავ ინგრებიან სამყ-  
აროებში? არავითარი მინაირი მიზანი არ არსებობს და მთელს სამყა-  
როში ვერავინ ვერაფერს გვეტყვის მასზე. — ვერც აღმანიანზე ვერ-  
ც ღმერთები, ვერც თვით ბედისწყარი. უმწუხრო და უსიხარულო არსე-  
ბობა, მიაპიტურად მომდინარე ამორალური მარადისობა, თავისი გულ-  
ფანჯვალა თამაშით გართული ხაზლის სახეთ რომ ევლინებოდა ჰე-  
რაკლიტეს, — ვი იცის, იქნებ სწორედ ესაა ბერძნული კოსმოგონი-  
აზრის ყველაზე უფეთესი ქმნილება? აქ ჩვენ მყოფი ვერძინობთ შემ-  
თხვევით აღმოცენებული ანტიკური კოსმოსის მარადიულის ძარღვენი-  
ვით კლავილ ზეფულებს, კოსმოსისა, რომელიც მშვენიერია სწორედ  
მიტომ, რომ თავის თავზე, სტიქიონებზეა დაფუძნებული, მშვენიერია  
სწორედ მიტომ, რომ შემთხვევითია. დარჩენებს პერსის იღუმელი დო-  
მიელი და ფარული სივლა, დომილი ყოფლისყოფენ, მაგრამ სამყარო-  
ულ კატასტროფათა პირისპირ მშველად გარინდებული ქალღმერთი-  
სა, — აი, რა არის, საერთოდ, დემოკირტეს ესთებურეი მსოფლ-  
მხედველობა“ 125.

პლატონის ფიზიკაში, პირიქით, ატომი ჩეალობის ის უქანასკნელი  
საფუძვლი როდია, საიდანაც დასაბამს იღებს გრძნობად საგანთა უსას-  
რულო სიტყვულ და მარავალფეროვნება. ატომი მხოლოდ სხეულმტრი-  
ვი სუბსტანციის უქანასკნელი ფრაგმენტია, რომლის მიღმაც იშლება  
მასზე „უწინარესი“, უფრო შორეული და უფრო ფუნდამენტური რე-  
ალიზა, ესეველო სუბსტრატია — „ზღუდით“ (პეტრას). ესაა კოსმო-  
ური პრინციპი, რომელიც სამანს უღებს სიცარიელის ქაოტური უსა-  
ზღვრობებს და რომლის მეშვეობითაც პლატონი აგებს არა მარტო  
თავის ელემენტარულ ნაწილაკებს და მათი ურთიერთგარდაქმნის მე-  
ქანიზმს, არამედ უფთავლავი ფერით მოცემული სამყაროს საგნებს თუ  
მოკლუნებსაც: არა, სამყარო ატომურ გრივალთა და შემთხვევითობის  
თავაყვეტილი თარეშის შედეგად როდი იქმნება: ნუთუ ყოველივე  
არსებულს „ბუნება ქმნის რომელიღაც თვითნებური მიზეზის ძალით,  
გრძნობის წინააღმდეგობის გარეშე რომ შობს აველოფერს? თუ, პირ-  
იქით, ვალიაობთ, რომ ეს მიზეზი მოსილია გონებით და დეთოური  
ყოფლია, რაც ღმერთთაგან იღებს დასაბამს? — ეკითხება უცხოელ  
თეეტეტს პლატონის „სოფისტში“ 127.

ყველაზე სრულად და ამოწურავად ატიმეოსი“ იძლევა ამ კითხ-  
ვის პასუხს. სამყარო, უწინარეს ყოვლისა, „ღეთაკირტე მიზეზთა“  
ქმედლობის შედეგია: შემოქმედი — დემიურგოსი, ანუ კოსმოური გო-  
ნის ინტელიგიბილტორ პირველნიმუშთა — იღვათა მიხედვით ქმნის  
სამყაროს, რომელიც იდეური სინამდვილის ხატად და ასლად გვევა-  
ლინება, მაშინ როდესაც შემთხვევითობა, აუცილებლობა თუ ბედის-  
წყარა ე. წ. დამხმარე, ანუ მეორეული მიზეზებთანაა“ გაიგივებული და  
მეტერიის ინერტულობას უკავშირდება. სამყარო — იდეალური სიყე-  
ლისა და მშვენიერების სრულქმნილი ხატი — თავიდან კეთილია და  
მშვენიერი, სულსა და სიციცხლის საგანე, გონიერების სხეოლასან  
შეიქით მოსილია: „... შეუძლებელი იყო დასაბამითვე და შეუძლებელი  
აქლაც, რომ ყველაზე უფეთესი შევემნა რამე ისეთი, რაც ყველაზე  
მშვენიერი არ იქნებოდა. აზრით განსაჯა, რომ თავიანთი ბუნებით ხი-  
ლად საგანთა შორის გონიერებისაგან განმარტული არც ერთი ქმნი-  
ლება არ შეიძლება უფრო მშვენიერი ყოფილიყო, ვიდრე გონებამო-  
სილი... გონიერების საგანე კი შეუძლებელია სხვა რამე იყოს, გარდა  
სულისა. ამ აზრის თანამედ, მან გონიერება ჩაწერა სულს, სული  
კი ჩაუღდა სხეულს და ამინარად ააგო სამყარო, რათა შეექმნა უმშვე-  
ნიერესი და, თავისი ბუნებით, ყოვლის უმწობესი ქმნილება. ამრიგად,  
უნდა ვალიაობთ, რომ ეს ჩვენეი კოსმოსის არის სულითა და გონიერე-  
ბით მოსილი ცოხცალი არსი და რომ ის დაიბადა ჰემმარტად დეთო-  
ური წინასწარხედვის წყალობით“ 128.

და ბოლოს, აუცილებლად უნდა ვეახოსოვდეს, რომ ჩვენ ბევრს ვე-

რაფერს გავუგებთ „ტიმოსს“, თუკი არ გავითვალწინებთ სამყაროს, როგორც ხელთგებულ ქმნილებას პლატონურ კონცეფციას. დიდოსტატი შემოქმედის — დემოკრიტის — ბელადების კანონების თანამდამღ ავებს კოსმოსს. მთელი სამყარო თავისთავად, მისი ხილული ცოთა და ვარსკვლავებით, მეტერიული თუ სულიერი სუბსტანციის წრებრუნვით, განვითარების უწყვეტი რიტმითა და წინაგანი კანონზომიერებით, რასაც ბუნების კანონებს ვერძობდებოდა, პლატონს ესახება დღვათბრები ხელთგების, ყოვლისმცელ შემოქმედებითი აქტის გრანდიოზულ შედეგად. ბუნების ელემენტარული ხიბლს, მისი მომხრესხველ მშვენიერებას, სამყაროს მწიობრისა და დაბეწილ წესრიგს აბიექტურულ, მესიკალურ და პლასტიკურ სიწყნარითა ერთობლიობა განაპირობებს, ხოლო ყოველივე ამას მათემატიკის პრიციპებზე დაფუძნებული ერთიანი გეგმა უძევს საფუძვლად. ასეთია პლატონის მრწამსი, საუკუნეების მანძილზე უწყვეტად რომ გასდევს ფილოსოფიურ თუ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარებას...

ამრიგად, ჩვენ მიმოვიხილოთ პლატონის წინამორბედთა შივრ შექმნილი ფილოსოფიური სისტემების ზოგიერთი კერძო ასპექტი: მიმოვიხილოთ იმ კუთხით, რომელიც ცხადად გვიჩვენებს, რამდენად ენათესავებიან ისინი „ტიმოსს“, ან რა მხრივ იფარსხვადებიან მისგან. მაგრამ პლატონის ქმნილების წყაროები მართლაც ფილოსოფიურ სისტემებში როდეს ამოიჭრება. „ტიმოსს“ უხვად საზრდოობს ბერძნული მეცნიერების სხვადასხვა დარგის — მათემატიკისა თუ ასტრონომიის, მედიცინისა თუ ბიოლოგიის მიღწევებითია, რომლებიც აუთორიტეტს მიქანიკურად კი არ გადმოაქვს, არამედ შემოქმედებითად ევოლუირებს მათ, რათა მის წინაშე დასახდეს ურთულესი ამოცანის გადასაწყვეტად გამოიყენოს ისინი. ზემოთ, დილაოვის კომპოზიციაც სუბინისს, ჩვენ ვნახეთ, რა დიდი ადგილი უჭირავს მასში მედიცინისა და ბიოლოგიის ისეთ პრობლემებს, როგორიცაა სხეულის ორგანიზაზიონალური და ფიზიოლოგია, სუნთქვის, სკვლის მონელება და სისხლის მიმოქცევის პროცესები, ეტიოლოგია, პიეიენა, თერაპია და ა. შ. ჩვენც სწორედ ამით ვხვდებით და ვნახით, როგორ აისახა ზემოხსენებულ მეცნიერებათა მიღწევები „ტიმოსში“.

ძველი წელთაღრიცხვის VI—V საუკუნეების საბერძნეთში ცნობილი იყო ხუთი სხვადასხვა სამედიცინო სკოლა — როდოსელი, კირენელი, იტილიური (კრატონელი), კნიდოსური და კოსური, რომელთაგანაც ყველაზე დიდი სახელით სარგებლობდა სამი უკანასკნელი<sup>129</sup>. ე. წ. „დიდი საბერძნეთის“ ანუ სამხრეთ იტალიის (მრტისის) ქალაქი კრატონი ოდითგანვე ითვლებოდა პითაგორისმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრად. ვაღმოცემთ, სწორედ აქ დააარსა პითაგორამ თავისი ფილოსოფიური სკოლა<sup>130</sup>. მთელ ელადში და მის დარღობს

გარეთაც სახელგანთქმულ კრატონელ მეტრნალეს შორის (დემოკრეტე, პეტანია, აკრონი და სხვ.<sup>131</sup>) ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა იყო პითაგორას უმჯობეს მოწოდებელი<sup>132</sup>. ფილოსოფიის და ემირი, ექსპერიმენტული ანატომიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, რომელსაც მიეწერება ევსტატიის მილისა და მხედველობითი ნერვის აღმოჩენა. ემბრიოლოგიის სფეროში, თავისი დიდი შიძულვრის კვლავაცვლ, აღქმის თვლიდა, რომ თვლის („სპერმა“) ტვინიდან მოუღივნება და რინთავი — გონივრული სელის ადგილსამყოფელი — ჩანსასში ორგანიზმის სხვა ნაწილებზე დიდი ელიბდება. განმარტობდა, აღქმის მიხედვით, სხეულობა და მისი თვისებების — თბილისა და ცივის, შერალობისა და სველის, მწარისა და ტკბილის პარაზონული წინამორბობა, სხეულება კი — სხეულისა და მისი თვისებების დიქტანობინა<sup>133</sup>.

როდესაც ჩვენ უკვნიბთ „ტიმოსის“ ბიოლოგიური ნაწილის სათანადო მასალებს, თვალსაჩინო ვრწმუნდებით, რომ პითაგორელი გაცვლია პლატონის ფილოსოფიური თუ საბუნებისმეტყველო შეხედულებების ჩამოყალიბებზე მარტოოდენ მათი მათემატიკური და მესიკალური თეორიებით არ ამოიჭრებოდა. ასე, მაგალითად, პლატონის, ისევე როგორც აღქმის, მიხედვით სელის ექვლავი, დღვათბრზე და გონივრული ნაწილის ადგილსამყოფელი თავია ან. უფრო სწორად, — თავის ტვინი (ტო ენეფალონი)<sup>134</sup>, თუშკა აქვე უნდა შევნიშოთ, რომ თავის ტვინის, როგორც უმნიშვნელოვანესი სასიცოცხლო ორგანოს განსაკუთრებული როლი აღქმის კი არა, თვით პიპოკრატესიც არა მქონია წარმოდგენილი პლატონით სრულად და ამოიჭრავად („... ტვინიზა ჩაიჭრული ყველა სასიცოცხლო ეკემირი, რომლებიც სელს ავამოიჭრებენ სხეულობას, ტვინიზა მოცუდათა შიდა მოღვრის ფეხე“<sup>135</sup>). ანტიკური ბიოლოგიისა და მედიცინის ძტარბოში უნიკალურია თავის ტვინის, როგორც მეტერიის ორგანიზაციის უმაღლესი ფორმის პლატონური კონცეფცია, რომლის თანახმადაც ტვინი ყველაზე ნატიფი და დაბეწილი ელემენტარული ნაწილაკებია, ანუ ატომებისაგან არის შექმნილი<sup>136</sup>.

ამაფერს ვრცეობთ ბერძნული მედიცინის კნიდოსური სკოლის წარმომადგენელთა შესახებ, ვინაშინა მათი შეხედულებები ორგანიზმის ფუნქციონირების ბუნებაზე, ისევე როგორც დიაგნოსტიკისა თუ თერაპიის მათი სპეციფიკური საშუალებები და მეთოდები, საკმაოდ შორის დგანან პლატონის ანალოგიური წარმოდგენისაგან და უმჯობესად გვადავალთ კოსური სკოლის მეთოდის — პიპოკრატესა და მისი მიმდევრების, ე. წ. პიპოკრატისმთა საშუალონი თუ საბუნებისმეტყველო კონცეფციებისსა და „ტიმოსის“ ავტორის ბიოლოგიური თეორიის ურთიერთკონკრეტობა: განხილვისზე. ტრადიციის პიპოკრატეს მიწერს 60-სა თუ 70 თხზულებას, რომლებსაც იერთიანებენ პიპოკრატეს

ტეს კორპუსის" (Corpus Hippocraticum) ზოგადი სახელწოდებით, თუმცა უკვე საყოველთაოდ ცნობილია, რომ თავისი შედგენილობით ამ უკიდურესად რთულა და ჭრელ კრებულში ყველა თხზულება როდია ავთენტური: ზოგი უფრო გვიანდელი — ჰიპოკრატისაა ხელიდანა გამოსული, ზოგი — უფრო ადრინდელი, ზოგი კი სხვა სამედიცინო სკოლებს ეკუთვნის. კორპუსში შესული ტრაქტატების ერთობლიობა ძველი ბერძნული სამედიცინო ხელოვნების უკლებლივ ყველა დარგს მოიცავს: მედიცინის ზოგადი თეორია, ანატომია და ფიზიოლოგია, პათოლოგია, პროგნოსტიკა და დიაგნოსტიკა, პიეგნა და დიეტეტიკა, თერაპია, ქირურგია, ოფთალმოიატრია, ემბრიოლოგია, გინეკოლოგია, პედიატრია და სხვა.

სამეცნიერო მიზნებისათვის გვემხებიან ანატომირების აგრასალამა, რაც განპირობებული იყო მიკროსკოპული რელიეფური კულტით, მკრეხელად შერახცვას რომ უქადად ყველას, ვინც ამ ლეონიმგმობლარე საქიანობით შეიბაღლავდა სულ (მკრეხელთა კი სოცდლით ისეგნობდა), აქედან გამოდინარე, ცდსაღიშის მასლისა თუ ემპირიული ფაქტების სიმწირემ და, საერთოდ, მუარი ფიზიოლოგიური საფრვების უქონლობამ თავისი დღი დასევა ჰიპოკრატესა და მისი მიმდევრების მთელ პრაქტიკას და თეორიას (რად თქმა უნდა, ამ თვალსაზრისით, არც „ტემპლის“ ბიოლოგიური დოქტრინაა დაზღვეული უმარავი ნყლისა თუ ხარევისხანან). მათი წარმოდგენებში ორგანიზმის მორფოლოგიისა და ფუნქციონირების შესახებ არცთუ იშვიათად ძალზე მიაბიტურია, უკიდურესად ბუნდოვანი და გაუგებარი. ამიტომაც რომ ჰიპოკრატეოსთა ცალკეული მასალები კითხვა ისეთსავე უტყნაო მოამბედილებას ახდენს მკითხველზე, როგორც ვთქვამ, აღწიშისთა ენიგმური რეცეპტებისა, გინადან გამოდგმებით თავს იღებს უხანაზარი სხვაობა, ბიოლოგიური მეცნიერების ოცდასამაუტყნოვანი განვითარების შედეგად ესოდნ მკვეთრად რომ ყოფს ერთმანეთთანან ანტიცერრობისა და თანამედროეობის ანატომირება და ფიზიოლოგიურ თეორიებს.

და მინც, გონების იშვიათი გამკრიახობის, დაკვირვების უებარი უხანისა და ანატოტიკური ნიჭის წყალობით, ჰიპოკრატემ შესძლო ჩამოყვალბებინა და მეცნიერულ დისციპლინად ექცია მედიცინისა თუ ბიოლოგიის არა ერთი და ორი დარგი. ამას დაუმატეთ ობიექტურობა, შეუფარავი სიმაართე, ლამილარული სტლი და მთელი სიციცხლის მანძილზე გამოტარებული სიყვარული როვიორც პაციენტების, ისე თავისი ჰუმანური ხელობის მქონარი, რომლის ლთამებრივა წარმომავლობაც ურყევად სწამდა (მედიცინის ისეთი დიდებული რამ არის, რომ მის გამოყოფნებს ლმერთს მიჰყრდნენ, და ეს რწმენა დღემდე ურყევად დგას) <sup>127</sup>. „სადაც არის სიყვარული აღმამინებისაღმი, იქვე

იქნება სიყვარულიც ხელობის მიმართ“ <sup>128</sup>. „თავისი ეპოქის ყველა დიდი მოაზროვნის მსგავსად, — შენიშნავს ს. კოენერი, — ჰიპოკრატე ურყევლად უტყუარი აღლოთა გრძობდა ცოდნის სხვადასხვა დარგებს შორის არსებულ თანაფარდობებს. ყველა მის თხზულებაში ვლინდება ზოგადის ცნება, ჰუმანიტად ენციკლოპედიური ცნება ყოველსიტყობისა. აღამაინს შესწავლა მისთვის ყოველი ფეხის ნაბიჯზე დაკავშირებულია სამყაროს შესწავლასთან, ხოლო ბიოლოგია მისი დროისათვის ცნობილი ხელვის ყველა შესაძლო წერტილიდან განიხილება“ <sup>129</sup>.

ეს ფართო გონებრივი ჰიპოზონტისა და მრავალმხრივი ინტერესების მქონე კაცი ფილოსოფიური თვალსაზრისით ჰერკელა სამყაროს და აღამინების ბუნებას. ცნობილია მისი ურყეული კავშირი და შედეგმედეებით თინამშობობა თავისი დროის გამომწინდელ ფილოსოფოსთან, რომელთა შორისაც პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ დემოკრატე აბდერელი <sup>130</sup>. გამორჩეული არ არის, რომ ამაკობრივი სხვაობის მიუხედავად <sup>131</sup>, პლატონი და ჰიპოკრატე პირადად იცნობდნენ ერთმანეთს. ყოველ შემთხვევაში, „ტემპლის“ ავტორი თავის დიალოგებში რამდენჯერმე იხსენიებს სახელგანთქმულ კოსელ მკერულს <sup>132</sup>. „ფედროსში“ ის სოკრატეს პირით იწონებს ჰიპოკრატეს თვზს, რომლის თანახმადაც, შეუძლებელია შეიცნო აღამინის სულის ბუნება მთელის, ანუ, რაც იგეგვა, სამყაროს ბუნების შეუცნობლად, თუმცა იქვე, ცოტა ჰუმოთ, საყმაოდ კრატეულად აფასებს ჰიპოკრატეს სამედიცინო თეორიის ზოგიერთ ასპექტს <sup>133</sup>.

ველი რომაული მედიცინის ერთ-ერთი უთვალსაზიოესი წარმომადგენელი, ავერესტესის თანამედროვე ავლეს კორნელიუს ცელსუსი წერს, რომ „ჰიპოკრატემ მიღისასსოვარ კეთა შორის პირველმა განამოკვევა ეს მეცნიერება (ფელციანა — ბ. ბ.) სიბრძნისმეტყველებიანად (a studio sapientiae disciplinam hanc separavit) <sup>134</sup>. — მაგრამ შეუღობა იქნებოდა, ყოველგვარი კრიტიკის გარეშე გავვეზიარებინა მისი სიტყვები. ჰიპოკრატე მხოლოდ ერთი რამის წინააღმდეგ იყო: მედიცინაში ბერძნული ფილოსოფიის დედნეკაური მეთოდის გავლენარევისა და განყენებულ მეტაფიზიკური თეორიების მოზღვაობის; მცვეთი რზგანი კ არასოდეს გვევლია ამომედიცინო და ფილოსოფიურ მეცნიერებებს შორის, რადგან ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მედიცინისათვის ისევე აუცილებელია ფილოსოფიის ზოგადი ჰუმანიტებინარი, როგორც ფილოსოფიისათვის — მედიცინის მიერ მწიოდებული ფაქტები:

„აუცილებელია ფილოსოფია გადმოვიტანოთ მედიცინაში, — წერდა იგი, — მედიცინა კ — ფილოსოფიაში. ექიმია — ფილოსოფოსი ღმერთების სწორია! არ არსებობს დიდი სხვაობა მედიცინისა და ფილოსოფიის შორის და რაც შეჰყურის ფილოსოფიის, თანახრად შე-

იძლება გამოყენებულ იქნას მედიცინაში<sup>145</sup>. ჰიპოკრატეს სამედიცინო ტრაქტატები ამ აზრის საფუძვლიან დასტურებას უძღვრება და ფილოსოფია ამ ორგანიზმად ერქმევის ერთმანეთს. სანიმუშოდ გამოვლავლებდა თუნდაც ჰიპოკრატეს ბიოლოგიური თეორიის ერთი მომენტია, რომლის მიხედვითაც, ადამიანის სხეულს, ემპედაკლუსაგან წმინდნარე ტრაქტაციის თანამად, ოთხი ძირითადი ელემენტის—მიწის, წყლის, ჰაერისა და ცეცხლისაგან არის შემდგარი, ხოლო შათ ოთხი ელემენტარული ფიზიკური თვისება—შროალი, სველი, ცივი და ცხელი შეესაბამება<sup>146</sup>. ამ ფილოსოფიურსა და იპვედროულად, ბიოლოგიურ კონცეფციას შთაბეჭდილი იზიარებს პლატონი თავის „ტიმოუსში“, სადაც ე. წ. „უმცროსი ლებრები“ იმევე მასალისაგან (ცეცხლი, ჰაერი, წყალი, მიწა) აგებენ ადამიანის სხეულს, რომლისგანაც დემოკრიტისა და შექმნა სამყაროს სხეული<sup>147</sup>.

ბერძნული მედიცინისა და ფილოსოფიის უდიდეს წარმომადგენელთა ბიოლოგიური კონცეფციები არტომ იმეითად ემთხვევა ერთმანეთს. ჰიპოკრატეს მიხედვით, ოთხ ზემოთხსენებულ ელემენტს შესესაბამება სხეულის ოთხი მთავარი, ოთხი კარდინალური სითხე: სისხლი, ფლეგმა, ყვითელი და შავი ნაღველი, რომლებიც, ელემენტარულ თვისებათა შემეჯობით, სხვადასხვაგვარი თანაფარდობით უზავეზიან ერთიმეორეს. ეს თვალსაზრისი თავიდან ბოლომდე გასაღვეს ჰიპოკრატეს ფიზიოლოგიასა და პათოლოგიას. განმრთვლობის საწინდარი ისაა, რომ ზემოთხსენებული ელემენტებიც, თვისებებიცა და კარდინალური სითხეებიც შერევისას („კრასის“) უხეტია პროპორციულობათა და პარზონიული თანაფარდობით ერქმევიან ერთმანეთს, სწავლულთა კი იმევე საწყისთა სიჭარბითა თუ ნაკლებობითაა გამოიყვეული, ამ შათი დისპარზონიული თანაფარდობისგან იღებს დასაბამს<sup>148</sup>.

„ტიმოუსში“ ჩვენ ვხედავთ იმევე წარმოდგენებს პათოლოგიის ბუნებაზე, რომლებიც დომინანტობდნენ ჰიპოკრატეოსთა შორის<sup>149</sup>. დიალოგის არა ერთი და ორი პასუხი ყოველგვარი კომენტარის ვარჯშეც ვიმოწმებს ამას, თ, თუნდაც, ერთი მათგანი: „რაცი ჩვენი სხეული ოთხ სხვადასხვა გვარის—მიწის, ცეცხლის, წყლისა და ჰაერისაგან არის შეთხზული, ამიტომ საკმარისია ერთ-ერთი მათგანი მოგვკარბდეს, დავეყუდებ, ამ თვისი ადგილიდან სხვისაზე გადაინყვლილოს, ან კიდევ—რაცი ცეცხლსა და დანარჩენ სამ საწყისსაც თავისი სახეები აქვთ,—რომელმე ნაწილმა არ მიიღოს ის, რაც სჭირდება, რომ მამინევე თავს იტყოს აშლილთა და სხეულდება, ამ ბუნების საძირისპირა ვარდაქმნათა და გადასაცლულათა შედეგად, სხეულის ეს თუ ის ცივი ნაწილი ცხელდება, შროალი სინესტო იქვება, მსუბუქი—მიიღდება და, საერთოდ, მთელი სხეული ათასნაირ ცვალებადობას განიცდის. ჩვენ კი ვამტყაყებთ, რომ სხეულის ყველა ნაწილი მხოლოდ

მამინე შეინარუნებს თვითიყვეობას და სიმრთელეს, მხოლოდ მამინე დარბობა ეუნებებო, როცა მსვავსი თვისსავე მსვავსს უხალოვდება, არამსვავსს კი შორდება ერთი და იმევე წესითა და თანაფარდობით. მამინე როდესაც ყოველზე ის, რაც თვისი მოღონია და უფლებდნე არღვეს ამ წესს, ურიცხვი სხვადასხვა ცვალებადობის, სხეულებისა და, ბოლოს, სხეულის მსხუზაც ხდება“<sup>150</sup>.

შვილებდობა უსასრულო ვავვერბელებინა მავავსი პარალელისმების ჩამოთვლა: მინიშნელოვანწილად ემთხვევა ერთმანეთს ელენის ოთხი პიპოკრატესა და პლატონისეული ანატომია<sup>151</sup>; პლატონი ერთმანეთს იყენებს ამ არ ზევეებს ეუნებსა და არტერიებს (ორივეს ერთი და იმევე სახელით—„ფლემს, ფლემოს“ იხსენიებს), მაგრამ ამ განსხვავებას ვერ ხედავდა ჰიპოკრატეც<sup>152</sup>; გიმნასტიკას, როგორც სხეულის გაკვეთის უებზო საშუალებას, ერთნაირ მნიშვნელობას ანიჭებენ ჰიპოკრატეც და პლატონიც<sup>153</sup>; განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პლატონის ფიზიოლოგიური თეორიის ზოგადი მცდარ განმარტო უშუალოდ ჰიპოკრატესაგან იღებს დასაბამს ასე, მაგალითად, როდესაც პლატონი წერს, რომ ფილტვს შეეძლოა შეისრტტოს არა შარტო პაერი, არამედ სითხეც<sup>154</sup>, ეს შეცდომა ჰიპოკრატესა და, საერთოდაც, ძველი ბერძნული მედიცინის მცდარი თვალსაზრისიდან მომდინარეობს. „სასუნტო ორგანითა ფიზიოლოგიაში ვხვდებდმა კერძოზეული შეცდომა, რომელიც ვაბატონებული იყო შთილი ანტიკურობის მსინილზე და იმაში მდგომარეობდა, რომ თუმეცა ხორხსარტველი ხელეუშლის სასულეში სავშლის შეღწევის, მაგრამ სასშლის რამდენიმე წიქით მაინც ატარებს სასულესაგან, საიდანაც ისინი ფილტვებში იქიდან კი ზღული ხელებინარ,—წერს ს. კოვერი ჰიპოკრატეს ფიზიოლოგიური თეორიის მიმოხილვისას<sup>155</sup>; ჰიპოკრატესგანვე იღებს დასაბამს პლატონის კიდევ ერთი აშკარად მცდარი ფიზიოლოგიური კონცეფციაც, რომლის თანახმაცაც, ფილტვების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია თერზე ისაა, რომ დააცხროს შინაგანი ცეცხლის სიჭარბით გამოწვეული გულის უჩვეულო სიფიციე, რაც ორგანიზმისათვის საშიშ სახით იღებს დიდი მძელვარბობს, მისისინებისა და მძელვარბებისას<sup>156</sup>. ჰიპოკრატეს ტრაქტატის („გულესათვის“) ანალიზის საფუძველზე ს. კოვერი შემდეგნაირად ვადმოგვეცნა ანტიკური მედიცინის ამ ელელაზე ავტორიტეტული წარმომადგენლის აზრს: „გულის პერანგის მიდამოში მოთავსებული „შარდის მსვავსი სითხე“, რომლის დანიშნულებაც ისაა, რომ ნააქრობა გულის ცეცხლი, რომელიც შარტების პარტეშია მოქცეული,—თვით გულის მიერვე გამოიყოფა გულისა, ნაწილობრივ რომ „ლოკავს“ ფილტვებში, სასულეს გზით შეღწეულ წყალს. პაერი და წყალი... ადამიანის სახელო კი არა, წამალია, რომელიც ახელებს გულისა და ფილტვების სიფიციეს“<sup>157</sup>.

ზემოთ, დემოკრატის ფილოსოფიან საუბრისას, ჩვენ საგანგებოდ ვაკამბილეთ ყურადღება ადამიანის, როგორც მატერიალისმისა და სამართის, როგორც მატერიალისმის ფუნდამენტურ იდეაზე, ესოდენ მნიშვნელოვან როლს რომ ასრულებს „ატომისში“. მაგრამ სერპულოზური გულშინაობა, რომლითაც პიპოკრატე იცვლეს სამყაროსა და ადამიანის თანაგრძობის, მათი მტკიცებისა და ნათესაობის პირობებზე, ვეფიქრებინებს, რომ ზემოხსენებული იდეა უმაღლეს სხედებისმეტყველო კონცეფციად უნდა ჩამოყალიბებულყო, ვიდრე თავის დასრულებულ სახეს მიიღებდა ფილოსოფოსთა, უწინარეს ყოვლისა კი პლატონის ნაზრევში.

ტრაქტატებში „დეიტისათვის“ („პერი დიაიტეს“) „შვიდელთათვის“ („პერი ჰებდომაღონი“), რომლებიც პიპოკრატისათა წრეში შექმნილი, დიდი ადგილი უჭირავს ემპირიოლოგიის პრობლემებს, სადაც ჩანასახი სამყაროს ბუნებასთანა შედარებული, ვინაიდან ჩანასახში და სამყაროში თანაბრად ვლენდება ერთი და იგივე შემოქმედებით ძალა, ერთიმეორის ხატად რომ ქმნის მკერო- და მატერიალისმის. ამის მოსდევს ირი სამყაროს ურთიერთშესაბამისობათა საცხადო ვრცელი ნუსხა. ასე, მაგალითად, მეტელის ღრე, სადაც თავის იყრის მშრალი და სველი, ზღვასთანა შედარებული; ხორცი ისე აყარავს მეტელის ღრეს, როგორც ხმელეთი—ზღვას; სისხლძარღვების თუ სისხლის მიმოქცევის სისტემა ციურის სფეროების შესატყვისია და ა. შ. ანალოგია ადამიანსა და სამყაროს შორის კიდევ უფრო სრული ტრაქტატ „დეიტისათვის“ ბოლო, მეოთხე წიგნში, რომელსაც სიზმართა წიგნი („პერი ენიაზონი“) ჰქვია და რომელიც ვთავაზობს მკერო- და მატერიალისმისათვის ერთიანებასთანობის შედგენე შეიღვრულს: ციური სფერო, ცარქვალი—ქანი, თავი; მზის სფერო—შუბანი; მთვარის სფერო—ქვედა ტანი; ზღვა—მეცელი; მდინარეთა წყალი;—სისხლი; ქვების წყალი—შარი; მიწა—ხორცი<sup>151</sup>.

მკერო- და მატერიალისმის ანალოგიები „ატომისში“ გაცილებით უფრო მასშტაბურია, უფრო ღრმა და მნიშვნელოვანია. პლატონი ხტოი სხვადასხვა ასპექტით განიხილავს ირი სამყაროს შორის არსებულ შესაბამისობებს—ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, მორფოლოგიური, სოციოლოგიური და სოტერიოლოგიური ასპექტით<sup>152</sup>, რომლებიც დარწმუნებით ქვემოთ იქნება განალხებულ. აქ კი ზოგადად უნდა ითქვას შემდეგა: როგორც პიპოკრატეს, ისე პლატონის ბიოლოგიური თეორია თანამედროვე მკითხველში საკმაოდ ორკოფულ განცდას იწვევს. ციხსეული თუ ემპირიკონტრულ მასალის სიმწირისა და უკმარისის კონვენსიუის როგორც ერთი, ისე მეორე განეწეზული ლოგიკური მსჯელობის ხარჯზე ცდილობს, რასაც ხშირ შემთხვევაში მკდარ დასკვნამდე, ზოგჯერ კი აყარა ვაუტერობამდე მივყავართ. ყო-

ველივე ამის შემყურეს არცთუ მთლად უსაფუძვლო გრევენება პიპოკრატის ირონიული ღმინილი: „ფილოსოფიაც, მისი ლეგსიაც და მისი პრობლემებიც იმ დროიდან იღებენ დასაბამს, როცა ფიზიკა და ფიზიოლოგია ბავშვები იყვნენ“<sup>153</sup>. მაღლობა ღმერთის, იშუთათად, მაგრამ მინც დგება მომენტ, რომელიც ვეიქარწყლებს სკეპსის და თანამოდ ვაფიქრებინებს რომ ეს „ბავშვი“ ვუნდერკინდი იყო. ამ პლანურ მომენტთა რიცხვს ეკუთვნის „ატომისში“ ბიოლოგიური თეორიის ერთი ასპექტი, რომელიც პლატონის ატომისტური კონცეფციისთან იღებს დასაბამს და ახალი ეკთხით წარმოვიყენებ მისი მრავალმხრივი ინტეგრაციის კიდევ ერთ წიხსავს:

ვლემენტარულ სამკეთებელთა უნატიფესი სახეობებისაგან ტვინის ფორმირების პროცესს რომ ვვცინობს, პლატონი წერს: „...დასაბამი-ც სამკეთებელთა შორის ღმერთმა შეარჩია და განაკლებეა ყველაზე უფრო სწორი და ზუსტი სამკეთებლები, რომლებსაც შეეძლოთ უწინდესი სახით წარმოეჩინათ ცეცხლი და წყალი, მიწა და ჰავი; მათი საკეთარი ვკრებისაგან გამოყო იხინი და თანაზომიერად აზიკ-გრძობანეთში; ასე გააზნადა ყველა მოკვლევი არის თესლი და თანგან-ტვინი შექნა. შემდეგ სულის სხვადასხვა სახე ჩანერგა ტვინში და უშუალოდ მისი პარეტილი დანაწევრებით იმდენ სხვადასხვა ფორ-მად დაყო მთელ ტვინი, რამდენი ფორმაც უნდა მიეღო სულ-დებულთა თითო სახეს“<sup>154</sup>.

ცნობილი ფრანგმა პლატონისტმა შარლ მიველერმა მხვილგო-ნერტლად და, რაც მთავარია, ექვემდებარე სიხუსტით დაასახეთა, რომ დენისეული „თანაზომიერად აზიკა იხინი ერთმანეთში“ („კვიფ-ნის დე ალულოის სიმეტრია“) მხოლოდ ერთ რამეს—„საერთო სა-სხვიის დადგენას“ (constituant une limite commune) ნიშნავს, ამ საზღვრად კი, როგორც „ატომისში“ ტექსტი გვიჩვენებს, ესა თუ ის პირველადი სამკეთებელი იფერისხმება, რომელიც ორი სხვადასხვა ატომის, ანუ რაც იგივეა, ორი სხვადასხვა წესიერი მრავალწახნაე ექონებრიული სხედლის საერთო წიხსნავის როლს ასრულებს. საერთო (საზღვრით (ელემენტარული სამკეთებელით) აწინარადა ვეითიანებუ-ლი სხვადასხვა ტიპის ორი ამ მუტი ატომი მკეროლოგიკულურ შეი-ყრის ქმნის. დემოურგოსი სწორად დასკვნით მკეროლოგიკულურ დასაბამებს და განსაზღვრავს თითოეულ ბიოლოგიურ სახეობას („სულ-დებულთა თითოეულ სახეს“).

ამს დევმეტოთ იხიკ, რომ ცოცხალ არსებულთა თესლი („სკერ-მა“), „ატომისში“ მიხედვით, ესაა ძელის ტვინის სკერციეა<sup>155</sup> (ან მისივე პლატონი იხიარებს ალუმინის აზრს), და რომ ორი შემოღის თანყოფის შედეგად ჩასახული ახალი ორგანიზმი ტვინის ნაწილად ვარქმეო თანდათანობითი ზრდისა და ვანეთარგების პროცესში ყ-ლობდება<sup>156</sup>. პლატონის ატომისმისაგან ვამომდინარეს ეს თვისთავადი,

ამოღებულად ორგანიზაციის მომდევნო უფრო მეტად ენათსავება  
ნუნა დროის განვითარების წარმოდგენებს, ვიდრე ყოველივე იმას, რაც  
პროგრესს ან, საერთოდ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებას შეუქმ-  
ნია. „ტემისის“ შემთხვევითი კარგადი პასაჟი, რომელიც მოკლე  
მიმოხილავს ცოცხალი სისტემების დიფერენციალურ სტრუქტურას,  
ბიოლოგიის მრავალფეროვან ისტორიაში შეიძლება მიჩნეულ იქ-  
ნეს მემკვიდრეობითობის. მექანიზმის პირველ მეცნიერულ კონცეფ-  
ციად, თანამედროვე გენის“ ერთგვარ პრიმიტიულ პროტოტიპად<sup>164</sup>.

დღევანდელი გენეტიკის შთამბეჭდავი წარმართების შედეგად,  
რომლებსაც მხოლოდ ადამიანი ფიზიკის მიწვევები თუ შეიძლება  
შევადადოთ, ჩვენ ვიცით, რომ ორგანიზმის უჩვეულის ბირთვში მდებ-  
არეობს დეოქსირიბონუკლეინის გეგმის (დნმ) ვივანტური, ძალიან  
შავსი მოლეკულები—ქრომოსომები, რომლებშიც მოქცეულია ორ-  
განიზმის მომავალი განვითარების მთელი დამოფრული კოდი. ამ მკე-  
რამოლეკულების ცალკეულ ენებს, რომლებიც „ასტინისმეტებენი“  
არან ამა თუ იმ მემკვიდრეობითი ნიშნისათვის, გენები ეწოდებათ.  
ქრომოსომებს, სპეციალურად, ვუძლიან მათს ადარებენ, რომელზედაც  
მდებარეობს ესპეციალი გენები. თითოეულ ბიოლოგიურ სახეობას შე-  
ესხანაშენა ქრომოსომების ესა თუ ის კომპლექტი, რომლებიც ქრომოსო-  
მების რაოდენობითა და მათი გენური მახასიათებლებით განისაზღვ-  
რება. ასე მაგალითად, შიმშილზე 48 ქრომოსომა აქვს, ადამიანს კი  
46. ქრომოსომების საერთო რაოდენობა, თავის მხრივ, უჩვეულოდ  
სხვადასხვა ტიპზეა დამოკიდებული. უჩვეულები ორგანიზმის სასქესო  
(გამეტა) და არასასქესო (სომატური). ყოველი სომატური უჩვეულის  
ბირთვი შეიცავს ქრომოსომების სრულ კომპლექტს (რაც იმას ნიშ-  
ნავს, რომ ორგანიზმის თითოეულ უჩვეულში მოცემულია სრულ  
მემკვიდრეობითი ინფორმაცია). მაშინ როდესაც გამეტის ბირთვში  
ქრომოსომების რიცხვი ორჯერ ნაკლებია: განაყოფიერების, ანუ სი-  
ვამის აქტი მამრული გამეტა (სპერმატოზოიდი) და მდედრულ  
გამეტა (ვერუსი) ერთმანეთს ერწყმის, რათა წარმოქმნან განაყოფი-  
ერებული კვერცხუჯრდი (ვიგეტა), რომლის ერთი ქრომოსომული  
კომპლექტი შვიდაგან იღებს დასაბამს, მეორე კი—დედისაგან... თან-  
ამდროვე ვენტილური კონველსიის თვალსა დახე ზოგადი და ზუ-  
დაბარებული მიმოხილავს კი შორის წაფეყვანდა. ყოველგვარი ვენტილ-  
რობის თავიდან ასაცილებლად, უტყვივი მხოლოდ, რომ „ტემისის“  
ავტორს, რა თქმა უნდა, წარმოადგენია არა აქვს მემკვიდრეობითობის  
ქრომოსომული თეორიის ყველა იმ ურთულეს კომპონენტზე, რაც  
თანამედროვე გენეტიკის მეცნიერული მოსაზრებია<sup>165</sup>. მაგრამ, მე-  
ორეს მხრივ, ვერც იმას უარყოფთ, რომ მემკვიდრეობითობის მექა-  
ნიზმის მაკრომოლეკულურ-სტრუქტურის ზოგადი სქემა მის მიერ  
სწორადია მიჩნეული.

პლატონის ბიოლოგიებმა თეორიამ მნიშვნელოვანი წვლილი შე-  
იტანა ანტიკური სამედიცინო მეცნიერების განვითარებაში,  
მაგრამ „ტემისის“ ავტორის დეტალიზებული ცნობისწავლისა და  
მრავალხრივი ინტერესების სფერო მართოდენ ბიოლოგიით როდენ  
შეითმობდა. პლატონის აჯდომის მთელი ელადის ყველაზე დი-  
დი სამეცნიერო კატერია, რომელიც თავის გარშემო იკრებს არა  
მარტო ფილოსოფოსებს, არამედ ზუსტ მეცნიერებსა უფალსაინო-  
სის წარმომადგენლებსაც და მისამწრაფულად წარმართავს მათ:  
მემკვიდრეობითი მთავარეობას. შემთხვევითი როდის ის გარემოება,  
რომ ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნეს, როცა ბერძენული მათე-  
მატიკური მეცნიერების განვითარება თავის აპოგეას აღწევს, დიდი  
მათემატიკოსების—არქიტა ტარენტელის, თეატეტესა და ევკლიდეს  
საუკუნეს, თვალსაჩინო პოლანდიელი მეცნიერი, ძველი აღმოსავლენ-  
ისა და საბერძნეთის მათემატიკურ მეცნიერებათა ფუნდამენტური  
ისტორიის ავტორი ვან დენ ვარდნი „პლატონის საუკუნეს“ უწო-  
ლებს<sup>166</sup>. ერთი შედარებით გვიანდელი, მაგრამ უფრო სამწინეთი და  
საუკუნისბმო ისტორიული დოკუმენტი დაბეჭდვითი გვიმოწმებს, რომ  
ბერძენული მათემატიკა მნიშვნელოვანწილად სწორედ პლატონს და მის  
აჯდომას უნდა უმაღლესი იმ უჩვეულო წარმატებებს, რასაც მან  
მიღწია IV საუკუნეში. ევკლიდეს „საწყისების“ I წიგნის კომენ-  
ტარებში, მოკლედ რომ მიმოხილავს პლატონის წინამორბედ მათე-  
მატიკოსთა პუნდის წიგნებს—თალეს მილეტელის, პიმეტოსის,  
პითაგორას, პიზია ელადელის, ანაქსაგორა კლავიშენლის, ენაშიდენ  
და პაპირატე ქიოსელბისა და თეოდორე კირენელის მიერ მათემა-  
ტიკის სხვადასხვა დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილს, დიდ  
ბერძენული მეცნიერების პირველ დიდმოხოს წერს:

„მათ შემდეგ პლატონმა თავისი უფრო ცნობისწავლით მრავალ-  
ხრივი შეუწყო ზედივემეტროსა და სხვა მათემატიკურ მეცნიერე-  
ბათა განვითარებას. ცნობილია, რა ზმირად გვხვდება მის ნაწარმო-  
ებებში მათემატიკური მტკიცებანი და როგორ სარგებლობდა იგი  
ვერსა ზელსაყრელი შემთხვევით, რათა მათემატიკისაში ინტერესი  
მიღწევებინა მათში, ვინც გადამწევიტა ფილოსოფიისათვის მივძღვნა  
მთელი სიცოცხლე. პლატონის თანამედროვეებმა—ლუდამანტე თა-  
სოსელმა, არქიტა ტარენტელმა და თეატეტე ათენელმა შექმნეს მრავ-  
ალე ახალი თეორემა, რომლებზედაც დააფუძნეს მეცნიერულად ორ-  
განიზებული სისტემა.

ნეოკლიდემ და მისმა მოწაფემ ლეონმა, რომლებიც ლუდამანტე-  
ზე უმცროსები იყვნენ, ბევრი რამ შექმნატეს იმას, რაც მანამდე ცნო-  
ბილი იყო, ასე რომ, ლეონმა შესძლო შეედგინა „საწყისები“, რომე-  
ლიც უწინდელ სახელმწიფანელოებს სჯობდა დამტკიცებული თეორე-

მების რაოდენობითა და მათი გამოყენებით. გარდა ამისა, მანვე დაადგინა ზღვარმდებო პირობები იმისა, შესაძლებელია მოცემული ამოცანა თუ შეუძლებელია.

ევლოქე კინდოსელმა, რომელიც ლონონე უმცროსი იყო და პლატონის წრესთან მეგობრულ ურთიერთობა აკავშირებდა, პირველში განაჩნდა ე. წ. ზოგად თეორემათა რიცხვი, აღერ ცნობილ სამსწავლოს დაუმატა სამი ახალიც და ანალიტიკური მეთოდის გამოყენებით: ვანაბრო პლატონის მიერ დაწესებული ყველა-აქივბა კეთთა შესახებ. პლატონის ერთ-ერთმა მეგობარმა ამავე ჰერაკლემა, ევლოქეს მოწყაფემ შენიჭებამ, რომელიც ასევე პლატონის მეგობართა რიცხვს ეკუთვნოდა, და მისმა ძმამ დინოსტრატემ კიდევ უფრო სრულუყვებს გეომეტრია, ხოლო თედიოსს მაგნესიელი სახელოვან სწავლულად ათენებოდა მათემატიკაში და მეცნიერების სხვა დარგებშიაც, რადგანაც წარმატებით განახორციელა „საწყისთა“ სისტემატიზაცია და განახორციელა კერძო თეორემათა მათემატიკა. მისი თანამედროვე ათენეებს ეკიდებო ცნობილი იყო მათემატიკის სხვადასხვა დარგში, განსაკუთრებით კი — გეომეტრიაში. ყველა ამ სწავლულს აერთიანებდა პლატონის აკადემია და ისინი ერთად ახორციელებდნენ თავიანთ გამოკვლევებს.

ჰერმობტიმე კოლოფონელმა განაგრძო ევლოქესა და თეიტეტეს მიერ დაწყებული გამოკვლევები: მან აღმოაჩინა მრავალი თეორემა „საწყისებისთვის“ და დაამუშავა ცალკეული ნაწილები მოძღვრების გეომეტრულ ადგილთა შესახებ. ფილოზე მენდესელი, პლატონის ერთ-ერთი მოწყაფე, რომელსაც მასწავლებლებმა ჩაუბრუნა მათემატიკის სიყვარული, მარტინოდენ პლატონის მოითხოვით კი არ ასრულებდა თავის გამოკვლევებს, არამედ ცდილობდა გაეკეთებინა ყველაფერი, რაც მისი აზრით, რამეში წაადგებოდა პლატონის ფილოსოფიის. ისტორია ულ ცალკე-აქივბათა ავტორები ამით ამთავრებენ მათემატიკის ისტორიას. მათვე ცოტა უმცროსი იყო ევკლიდე, „საწყისების“ შემდგენი, რომელმაც გადმოგვცა ევკლიდეს მრავალი აღმოჩენა, დუმატა თეიტეტეს ბეჭერ ნაშრომი და გარდა ამისა, საბოლოოდ დასაბუთა ის რაც მისი წინამორბედების მიერ ჯერ კიდევ არ იყო მთლიანად დამტკიცებული. ევკლიდე ცხოვრობდა პტოლემეოსის I-ის დროს, ვინაიდან პირველად, ვისი ცხოვრებაც უნდაოდ პტოლემეოსის მეფობის შემდგომ პერიოდს ემთხვევა, თავის ნაშრომებში იხსენიებს მას. გარდა ამისა, როგორც ნათლავვეტემ, პტოლემეოსის ერთელ ევკლიდესთვის უყობისავ: ნათლავვეტემ ვეომეტრიაში შეს, „საწყისებზე“ უფრო მოკლედგმა არ მოიძებნებო? რაზედაც ევკლიდემ ასე მიუგო თურმე: გეომეტრიაში სამეფო გუნები არ არსებობს. ამრიგად, ევკლიდე პლატონის მოწყაფებზე უმცროსი, ხოლო ერთბოთენისა და არქიმედებზე

უფროსი იყო, ვინაიდან ეს ორნი, როგორც ერთგან გავიწყებს ერთბოთენე, თანამედროვენი იყვნენ“ 167.

„მათემატიკოსთა კატალოგი“ — ასე სახარტად ასათურებს ვან დერ ვარდენი პრიკლე დიდიბოსის ამ საკმაოდ ვრცელ ნუსხას. „კატალოგიში“ მოხსენებულ მათემატიკოსთაგან ზოგის მხოლოდ სახელები თუდა შემოგვრჩა; ზოგის ნაშრომებმა ფრავმენტების სახით მოაღწიჩ ჩვენს დრომდე. ბევრი მათგანის სახელოვან პლატონთან და მის აკადემიასთან უფრო ადრინდელი წყაროები<sup>168</sup> და, რაც უფრო არსებობს, თვით პლატონის დიალოგები და წერილებიც გვიასტუმრებს. ჩვენს მიზანს არ შეადგენს არც ამ ცნობების გამოყოფილივით განსხვავდა და არც აკადემიასთან მჭიდროდ დაკავშირებული ყველა იმ მათემატიკოსის ნაშრომების დეტალური ანალიზი, რომლებსაც იხსენიებს „კატალოგი“. შედარებით ვრცელად მიმოვიხილავთ მხოლოდ სამი ყველაზე თვალსაჩინო მეცნიერის შემოქმედებით მეგვიდრობას რათა ცხადვფყო, რა ორგანულად ერწყმის „ბიბლიოსს“ პრობლემატიკა პლატონის სუყენის“ მათემატიკურ მეცნიერებათა მიღწევებს, რომელთა უმრავლესობაც არტეტა ტარენტელის, თეიტეტე ათენელისა და ევლოქე კინდოსელის წილად შოდის.

სამივე მათგანის უდიდეს დღეაწლს ნათლავ წარმოგვიჩინა შემდეგი ფაქტი: ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ ევკლიდეს „საწყისების“ მნიშვნელობა ზოგადსაკაცობრიო კულტურისა და ცივილიზაციის ისტორიაში. მართებულად შეინშნავს ერთი ვერაპული მკვლევარი: „დასაუღერი საწყისის ისტორიაში „საწყისების“ ბიბლიის შემდეგ ალბათ, ყველაზე ხშირად აჭყენებდნენ და ყველაზე გულმოდგინედ სწავლობდნენ. გუტენბერგის გამოგონების შემდეგ „საწყისები“ თასზე მეტერ გამოვიდა, მანამდე კი, უპირატესად ხელნაწერების სახით, ის გეომეტრიის შესწავლის ძირითადი წყარო იყო. ჩვენი სასკოლო გეომეტრიის უმეტესი ნაწილი ხშირად სიტყვასიტყვით ვადმოკლებულია „საწყისების“ პირველი ექვსი წიგნიდან, ასე რამ, ევკლიდეს ტრადიციად დღემდე განსაზღვრავს ჩვენს დაწყებით განათლებას. პროფესიონალი მათემატიკოსის თვალში ამ წიგნს დღემდე არ დაუკარგავს მონიშნულელი ზილი, ხოლო მისმა ლოგოსმა კონსტრუქტივიზმა უფრო მეტი ზემოქმედება მოახდინა მეცნიერული აზრის განვითარებაზე, ვიდრე ნებისმიერმა სხვა კნიბილემამ“ 169.

მაგრამ იქვე უნდა ითქვას, რომ ევკლიდე იმდენად „საწყისების“ ავტორია როდის, რამდენად მისი შემდგენი (სხვათა შორის, „საწყისების“ ევკლიდეს გარდა პლატონის სუყენის“ სხვა მათემატიკოსები ადგენდნენ, როგორც მავალითად, პაპიკრატე კოსელელი, ლუნიი და თედოსის). „ლუნიი და თედოსის პლატონის აკადემიის წრეს

ეკუმენონდენ. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მათ „სა-წყისებს“ სახელმწიფოებრივად იყენებდნენ აკადემიაში, — შენიშ-ნავს ვან დერ ვარდენი<sup>170</sup>. ერთხელ კიდევ დავუკვირებთ პროკლე დი-ადობისის ზემოთ ციტირებულ ფრაგმენტს: „...მათზე ცოტა უმცრო-სი იყო ევკლიდო, საწყისების“ შემდგენელი რომელმაც გადმოგვცა ევკლიდეს შრავალი აღმოჩენა, დამატა თეორემებს ბევრი ნაწილი; და, ვარდა ამისა, საბოლოოდ დაასაბუთა ის, რაც მისი წინამორბედ-ების მიერ ჯერ კიდევ არ იყო მართლად დამტკიცებული“. აქ უკლა-ფერი სწორია, თუ არ ჩავთვლით, იმას, რომ პროკლე დიადობისი რა-ტიონალურ დედამიწაზე უფრო ვერაღედ სახელგანთქმულ პითაგორელ ფილოსოფოსსა და მათემატიკოსს არქიტა ტარენტელს, თუმცა ვან დერ ვარდენი დაბეჭდვით იმტკიცებს, რომ „საწყისების“ VIII წიგნს ამყარად ბტყვია არქიტას გველენის ცვალი<sup>171</sup>.

რა მიზანს ისახავდა ევკლიდო, როცა თავის „საწყისებს“ წერ-და? — კითხვობას პოლანდიელი მეცნიერი დიკე სტროიცი. — ჩვენ შეგვიძლია ვარკვევით ვივარაუდოთ, რომ მას სურდა ერთ ნაშრომში მოექცია და ასე გადმოეცა უახლოესი წარსულის სამი დიდი აღმო-ჩენა: ევკლიდეს თანაფარდობათა და თეორემებს ირაციონალურთა თე-ორია, ისევე როგორც ხუთი წისკიანი მრავალწახანავ სხეულისა, რომ-ლებსაც ესოდენ დიდი ადგილი ეძირათ პლატონის კოსმოლოგიაში. ეს იყო სამი ტიპობად „ბერძნული“ მიწევა<sup>172</sup>. მეორე პოლანდიელი ვან დერ ვარდენი უფრო კატეგორიულია: „აუკლიდო, რა თქმა უნდა არ ეკუმენონდენ და მათემატიკოსთა რიგებს, ჩვენ უფრო ვნახეთ, რომ „საწყისების“ ევკლიდო უფრო რთული და მნიშვნელოვანი ნაწილები მან სხვა ავტორებისაგან ისესხა, უპირატესად, თეორემების (X და XIII წიგნები) და ევკლიდესაგან (V და XII). ეს ნაწილები, ისევე როგორც ართომეტრიკული წიგნები — VII და IX ძალიან მაღალ მათე-მატიკურ დონეზეა შესრულებული დანარჩენები კი, განსაკუთრებით შეუთავსა ართომეტრიკული წიგნი (VIII), ისევე როგორც მასთან და-კავშირებული „Sectio Canonis“, მათზე გაცილებით დაბლა დავანს. ამ წიგნებში გვხვდება ლოკაციური შეცდომები, ზოგჯერ ფორმულო-რება ქალატორია. ევკლიდეს მეცნიერული დონე, როგორც ჩანს, მისე-ნიშვნების დონით განისაზღვრება. როცა ის ცვალებად მისდევს-სეთ პირველნარბსოვან სწავლულებს, როგორც აზრან თეორემებ-და ევკლიდეს, თვითონაც დიდ სიმაღლეს აღწევს, ხოლო როცა უფრო დაბალი დონის ავტორთა ასლი ვაღმოაქვს, მისი დონეც საგრძნობლად ქვედადება. ევკლიდო, უწინარეს ყოვლისა, პედაგოგია და არა შემოქ-მელობითი გენია“<sup>173</sup>. ჩემის აზრით, ვან დერ ვარდენი, ცოტა არ იყოს, აჭარბებს, რათა ევკლიდეს დაყენების ხარჯზე წინ წამოსწიოს თეორე-მა და ევკლიდეს როლი. მთებდავად ამისა, მათი, ისევე როგორც

არქიტა ტარენტელის, დამახსებრება ანტიკური მათემატიკის წინაშე მანერ ვანზომლად დიდია.

სახელგანთქმული რომელი სწავლული არქიტეტორი და ხელ-განთქმული თეორეტისი ციტირების პითაგორას მიმდევრებზე — არქი-ტასა და ფილოსოფს წარდა: „ბუნებამ დააყოლოდა ისინი იმდენ-ად წასული და გამოიარა გონებობა და იმდენად მდლარი მესხი-ცრბათ, რომ თავი-უფლად ფლობდნენ გეომეტრისა, ასტრონომიის, მუსიკისა და მეცნიერების სხვა დარგებს... ასეთი აღმოჩენები იმეიათად დაბრუნა“<sup>174</sup>. ხოლო დიოფანო ლატრელი შემდგენარად ვებისი-ბრებს არქიტას: „მან პირველმა მოაწესრიგა შექანია და მათემატიკურ სწავლებზე დააფუძნა იგი. პირველმა დაიყენა შექანისებების მო-ძრაობა გეომეტრიულ ნახაზზე. ის ცდილობდა ნახევარცილინდრის კვე-რას შეშუქობით მიეღო ორი სწავალი პროპორციული კუბის ვასა-ორმავებლად, ხოლო გეომეტრიაში მან პირველმა აღმოაჩინა კუბი, სადაც ევკლიდეს პლატონი „სახელმწიფოში“<sup>175</sup>.

ტაშოსის<sup>176</sup> ავტორი პირდად იცნობდა არქიტასაც და ფილო-სოსსაც. დაახლოებით 289 წელს პლატონი გაემზავრა სამხრეთ იტა-ლიაში, ორფიზმისა და პითაგორისმის ამ კუმშარტად „აღთქმულ მხა-რებში“ კალბრიაში. ლეანასა და ბრეტაში მოიხილა ქალაქები — ტარენტო, მეტაპონტი, თურინგი, პეტრელა და ბოლოს, კროტონი, სადაც წლების მანძილზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა პითაგორა. აქ მან დაეახლოვდა სახელმწიფოებრივ პითაგორებს — ევკლიდეს და ფი-ლოსოსს, ვისგანაც უფრო გვიან, თავის მეგობრის დონ სრაცულეს მიმეშუქობით, ას მხად შეიძინა პითაგორას თხზულებათა სამი წიგ-ნი<sup>177</sup>. ტარენტში პლატონმა გაიცინა არქიტა, მიესც ბერძნულ სამე-აში ცნობილი ფილოსოფოსი და მათემატიკოსი, გამოჩენილი სა-ხელმწიფო მოღვაწე და ძლევაშისილი მხედართმთავარი (თანამოქ-მელებმა შეიღებურ ზედიზედ აიჩრეს იგი სტრატეგად და არც შემე-დარსა: თავისი სტრატეგობის მანძილზე არქიტას არ წაუთა და ციტირე-ბში)<sup>178</sup>. ინტერესების ერთობამ კიდევ უფრო დაახლოვა ორივე დი-დი სწავლული და ისინი ბოლომდე ერთვულ მეგობრებად დარჩნენ (სხვათა შორის, სწორედ ამიტომაც პლატონის მეცნიერ და მეორამეტე წიგნების ადრესატია). არქიტა იყო პლატონის მრჩეველი, შვი და მკობი პირაქტების ტრანს დონისისოსთან ფილოსოფოსის ძალზე და-ძახებულ და ორბოფულ ერთობრობაში. არქიტა სწორედ არქიტას ფროულმა ჩარევამ იხსნა პლატონი ვარდუელი სიკვდილისაგან, რო-გორც ვაღმოგვეცნა პლატონზე<sup>179</sup>. არქიტა იყო ერთ-ერთი იმ სწა-ვლოთავანი, რომელთა მეშუქობითაც პლატონი ეზიარა ზესტრი მეც-ნიერებებისა და პითაგორელთა ფილოსოფიის საიდუმლოს<sup>179</sup>.

ტარენტელი მათემატიკოსის შემოქმედება თითქმის იმ პრობლემე-

ბის გადაჭრის უკან წარმოადგენს, რომლებსაც თავის დიალოგებში მათემატიკურ ზენიტებთან წინაშე აყენებდა პლატონი. საკმარისი იქნება, რომ სიტყვა შემოქმედებით შემკვიდრობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ხილწვედ კუბის გაორმაგების — სახელგანთქმულ დილოსური ამოცანის გადაჭრა გვევლინება<sup>180</sup>, ამოცანისა, რომელსაც პლატონი თავის „სახელწიფთში“ სტერეომეტრიის ძირითად პრობლემად სახსენი<sup>181</sup>. მაგრამ პლატონის დილოზებისა და არქიტას მათემატიკის სიახლე, მათი პრობლემატიკის ერთიანობა კიდევ უფრო აკმაბა და თვალსაჩინოა „პინოქსში“, რომლის გავებასაც ვან დერ ვარდენის მარჯბელ შენიშვნები, სრულიად შეუძლებელია პროპორციულობის არქიტასელი მოძღვრების გარეშე<sup>182</sup>. არსებით რაღაცასრულებს ეს ხილწვება „ტრიმოსშიც“, სადაც პლატონი, სამყაროს სულისა და სულის კონსტრუქციებისა, უშუალოდ ეყრდნობა პითაგორელებისა და კერძოდ, არქიტას მათემატიკურ თეორიას არითმეტიკულ, გეოგრაფიულ და პარამეტრიულ პროპორციების შესახებ. მაგრამ ყოველ ეს დაწვრილებით უფრო გვიან, „ტრიმოსის“ სათანადო პასაჟებში სანაღიბისა იქნება განხილული.

პროკლე დილოზის „მათემატიკოსთა კატალოგის“ მიხედვით, აკადემიასთან წილთოდ დაკავშირებული იყო თავისი დროის კიდევ ერთი უთვალსინოესი მათემატიკოსი თეეტეტე, ვისი სახელიც ეწოდება პლატონის ერთ-ერთ დიალოგს, რომლის მოქმედებასაც მკვლევარნი ძვ. წ. ა. 169 წლით ათარიღებენ<sup>183</sup>. ბრძოლის ველთან სომარბე ხომალდით სპოყვანილ თეეტეტეს შემთხვევით ხვდებიან მისი მეგობრები — ფილოსოფოსი ევკლიდე მეგარელი და ტერასიონი. თეეტეტე სასიკვლოდაა დაჭრილი. თვალშეშლანი მეგობრები მშუხარდ იგონებენ იმ შორეულ წლებს, როცა თეეტეტე ჯერ კიდევ პატეკი იყო და აივისი განსაკუფრებული ნიჭიერებით აღსართიან თურქე სოკრატე, რომელსაც ბრწყინვალე მომავალი ექიანსწამებულებუბა მისცის; შემდეგ კი ერთად კთხულობენ იმ საუბრის შინაარსს, რომელც სოკრატეს ნაამბობის მიხედვით, საყურთი ხელიდ ჩაუწერია ეშკიდეს. როგორც იტყვება, ამ საუბარში ყმაწვილი თეეტეტე და ორ მეცოფანი ბრძენი — სოკრატე და მათემატიკოსი თეორორე კარგული მონაწილეობდნენ. ასე იწყება პლატონის დიალოგი „თეეტეტე“.

დიალოგის პირველი ვიზირის სიყვლილი აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო ბერძენულ მათემატიკური მეცნიერებისათვის. თეეტეტეს მიეწერება რაციონალულობის ის თეორია, რომელიც განმარტებულია ევკლიდეს „საწყობის“ მეათე წიგნში<sup>184</sup>. მის სახელმთიან დაკავშირებულ პროპორციულობის თეორიის შემდგომი განვითარება<sup>185</sup>. მაგრამ საიდუმლოდ განსკუთრებით მნიშვნელოვანი თეეტეტეს შემოქმედებით

წილწეები ხუთი წესიერი მრავალწახნაგა სხეულის გეომეტრიული თვისებების კვლევის სფეროში. ამ მიღწევების გარეშე საგრძნობლად გაფრმკრთალდებოდა პლატონის მათემატიკური ფიზიკა. ევკლიდის სწყობების XIII წიგნის სქოლისტი წერს: „ამ მეცნიერე წიგნში განხილულია ხუთი, ე. წ. პლატონური სხეული, თუმცა ისინი პლატონს არიდე აღმოუჩინია, ვინაიდან ზემოხსენებული ხუთი სხეულიდან სამი, კერძოდ, კუბი, პირამიდა და დიდკუადრი პითაგორელებისაგან იღებენ დასაბამს, ხოლო ოქტაედრი და იკოსაედრი თეეტეტემ შემოიტანა. პლატონის სახელით ისინი მიიტომ იწოდებიან, რომ ფილოსოფოსს „ტრიმოსში“ იყენებს მათ. ამ წიგნსაც ევკლიდეს სახელი მიიტომ ქვეია, რომ მან თავის „საწყობებში“ ჩართო იგი“<sup>186</sup>. როგორც ვხედავთ, „ტრიმოსის“ მეცნიერული პრობლემატიკა არანაყლებ მჭიდროდ ეკავშირება თეეტეტეს შემოქმედებით შემკვიდრუობას, ვიდრე არქიტას ტარეტულისას.

ამ მათემატიკოსთა შორის, რომლებსაც პლატონის აკადემია აერთიანებდა, ერთ-ერთი ევკლიდე თვალსაჩინო ფიგურა იყო ევკლიდე კლიდესელი, მათემატიკოსი და ასტრონომი, ისტორიკოსი, გეოგრაფი და მედიკოსი, ფილოსოფოსი და რიტორი, „პლატონის ერთი უველადე საყვარელი მოწაფე“, როგორც ახსიათებს მას სტრაბონი<sup>187</sup>. ევკლიდე მათემატიკის სწავლობდა ტარენტში, არქიტას ხელმძღვანელობდა, ხოლო მედიკოსი — სიცილიაში, სადაც მისი მასწავლებელი იყო ფილოტიონი. 23 წლის პანეუპი ათენში ჩავიდა მათემატიკისა და რიტორიკის შესასწავლად. ხელმოკლეობის გამო პირენოსში დასახლდა და იქიდან ფეხით დაიარბობდა პლატონის აკადემიაში. რამდენიმე წლის შემდეგ მეგობრების ხელშეწყობითა და სპარტის მეფის აგესილასის მიერ ფარაონ ნექტანემისათვის მიწერილი საჩუკომწინადაცო მართით ეგვიპტეში ჩავიდა, სადაც პელიოპოლისელი ქურუმების შემკვიდრებით ხშიარი ეგვიპტური ასტრონომიის მიღწევების<sup>188</sup>. ამ ფაქტის სისწორეში არავის ეპარება ეჭვი, მაგრამ მეცნიერების ზოგიერთი ისტორიკოსი რატომღაც ითვლებს იმას, რომ ევკლიდე მართკ არ ჩასულება ეგვიპტეში: ის თან ახლდა თავის დიდ მასწავლებელს პლატონს:

„სტრაბონი, რომელიც სამი საუკუნის შემდეგ ეწეოა პელიოპოლისის, წერს: „პელიოპოლისში მე ვხანე დიდი სახლები, რომლებშიც ქურუმები ცხოვრობდნენ, ვინაიდან უწინ, როგორც ვაღმომგვეყვანე, ეს ქალაქი ქურუმთა სამკვიდრო იყო... იქ ჩვენ ვვიჩვენეს ქურუმთა სახლები და პლატონისა და ევკლიდესის საცოლბი. ევკლიდე პლატონთან ერთად ჩავიდა პელიოპოლისში, სადაც ორივემ, ზოგიერთი მწერლის ცნობით, 13 წელი დაყო“<sup>189</sup> ქურუმებთან. ეს ქურუმები ციერ მთელნაია შემსწავლელი მეცნიერების დიდი მკოდნენი იყვნენ, მაგრამ საიდუმლოდ ინასუდნენ და არავის უშეკანებდნენ თეიანთ ცოდნას,

ამიტომ მატერია და ევოლუციე მხოლოდ დროთა განმავლობაში შექმნილს მათი ევოლუციონუმიზის მოხვევა და დაითანხმეს ისინი, თავიანთ მოძღვრებას ზოგიერთი ძირითადი დებულებაზე გაერთიანებით. მაგ. რაი პარპაროლებმა თავიანთი ცოდნის უმეტესი ნაწილი დაუმალეს მათ, თუმცა ერთი რამ მაინც ასწავლეს პლატონსა და ევოლუციეს: როგორ გამოყენებინათ დღე-ღამის წილი, რომელზეც, 365 დღეზე დაჰატებოთ, ასრულებენ შემწარმოი წლის დროს<sup>19</sup>.

ევგვიტოლიან დამრწმუნების შემდეგ ევოლუციე წარმატებით მოღვაწეობს პროპაგანდის ქალაქ კიბოსში, სადაც საკეთარ სკოლას აარსებს. დაახლოებით 365 წელს, მიწვევების თანხლებით, ერთხელ ევოლუციე ჩაღის ათენში. აქ ის პლატონთან ერთად განიხილავს ასტრონომიასა და ფილოსოფიის ისეთ უმნიშვნელოვანს პრობლემებს, როგორცაა პლანეტების მოძრაობა, მოძღვრება უზენაესი სიყვითისა და იდეების შესახებ. მასწავლებლისადმი პატივისცემის მოხელდავად, მისი ფილოსოფიის ამ უფნადმეტრები ცნებების ინტერპრეტაციას, ზოგჯერ მიუვრება უპირისპირდება პლატონს. ასე, მაგალითად, უზენაესი სიყვითის პირწინდად ჰელენისტური თეალსაზრისით განიხილავს და მას ტკობასა და განცდილობასთან აიგივებს. სიყვითის ამ სენსუალისტურ გაგების კრიტიკა, რასაც თავის „ფილებოსში“ გეთავაზობს პლატონს, მკვლევართა ვარაუდით, გარკვეულწილად ევოლუციეს წინააღმდეგაა მიმართული. მიწადაც და მასწავლებელი გაეკლებოთ ევოლუციე უკმაღრნად ერთმანეთს ზუსტ შეკვირებათა სფეროში.

ევოლუციე, ისევე როგორც მისი მასწავლებლები — პლატონი და არქიტა, შემთხვევად კების გარდაცემების პრობლემაზე. მცირამ მის გადგომის წინამდებარე მოვლევითა, პლატონის ეპოქის ამ ერთმანეთი უდიდესი მათემატიკოსის შემოქმედებითი მიღწევებიდან, მკვლევართა აზრით, უმნიშვნელოვანესია ე. წ. ამოწურვის მეთოდი<sup>20</sup> და პროპორციულობის თეორიის შემოღობი განვითარება. ამოწურვის მეთოდი (ტერმინ ამოწურვას პირველად იყენებს გრიგოლ სენ ვანსანი, 1647 წ.) — ეს იყო პლატონის სკოლის მასუბი ძეგონისადმი, მეთოდის გვერდის უფროდ უსარტულოდ მცირეთა ევლა მახეს, ასე ეთქვათ, თავიდან იცილება მათ, რადგან პრობლემები, რომლებზეც შეიძლება თავი ეჩინა უსასტულოდ მცირეთ, ფორმალური ლოჯიკის საშუალებებით გადასარტელ პრობლემებზე დაჰყავდა. ასე მაგალითად, თუ სპირით იყო იმის დამატეობა, რომ V ტეტრაედრის მოცულობა იმავე ფუძისა და იმავე სიმაღლის მქონე C პრიზმის მოცულობის ერთი მესამედის ტოლია, უნდა ეჩვენებინათ ორი დამუკების ასრუტდულობა: იმისა, რომ  $V > \frac{1}{3} p$  და იმისა, რომ  $V < \frac{1}{3} p$ . ამ მიზნის შემოტანის იქნა აქსიომა, რომელსაც დღეს არქიმედეს აქსიომა

ქცეა (არქიმედეს ფორმულირება, რომელსაც მას აშკარად მოაწერს ევოლუციე, ასეთია: „თუ ორი სივრცე არტოლია სტეობა, რომლითაც უდიდესი აღმეტება უმცირესს, შეიძლება იმეფნეწრ მიეფმტოთ თავისათვე თავს, რომ ის ნებისმიერ სასრულ სივრცეზე მეტი აღმოჩნდეს“). ეს აქსიომა საფუძვლად უძებს ევოლუციეს ფარდობათა თეორიას... ზემოხსენებული მეთოდი, რომელიც საბერძნეთში და აღორძინების ეპოქაში ფართობებსა და მოცულობების გამოთვლისას ზუსტ დასაბუთების სტანდარტულ მეთოდად იქცა, საყვებთ მკაცრი იყო და ის ადვილად შეიძლება გარდაეკმნათ მტკიცებად, რომელიც თანამედროვე მათემატიკის მოთხოვნებს აკმაყოფილებს<sup>21</sup>.

როგორც უკვე ითქვა, ევოლუციე, არქიტასა და იმეტიტეს კვალიდან, დიდა წვლილი შეიტანა პროპორციულობის თეორიის განვითარებაში, რაშიც გადამწყვეტი როლი შეასრულა სიდიდის მოსუტეობაზე. თუ აღწრ ფართობათა თეორიებში ცალკეულ უნდა ემტკიცებინათ რიცხვების, მონაკვეთებისა და ფართობებისთვის, სიდიდის ფიქციუსეული ცნება ერთობლივად მოიცავდა როგორც რიცხვებს, ისე ევლა სხვა უწყვეტ სიდიდეებს. ეს ცნება განისაზღვრებოდა ტეობობა თუ ეტეობობის ზოგად აქრომათა მუშეობით. მათზე დარბობით ევოლუციემ ჩამოაყალიბა ფარდობათა უზალოდ გადმოკითხვისა, რომელიც აველიდეს „აწყვისების“ V წინშია გადმოკითხვით. ეს მართლაც მეზუდე წინის უცნობი სქოლასტი შენიშნავს: „ზოგერთათა მტკიცებით, ამ წინათ გადმოკითხული პროპორციების თეორია ევოლუციეს მიერაა აღმოჩენილი“<sup>22</sup>. ამ თეორიის მთელი სიღრმე მხოლოდ XIX სუყუნის მეორე ნახევარში იქნა სათანადოდ მუშესახებთ. „ფარდობათა ევოლუციუსელმა თეორიამ უკან მოიტევა პილატოტელათა არიმეტეტიკული თეორია, რომელიც გამოიყენებოდა მხოლოდ თანაზომად სიდიდეებთან მიაადგებობ. ეს იყო პირწინდად გეომეტრიკული თეორია, მასევე აქსიომეტური ფორმით გადმოკითხული, და მან მედეტეტიკებაც უკადფლტყარი დასტეტება განსაზღვრულ სიდიდეთა არათანაზომადობასა თუ თანაზომადობასთან დაეყვრებოთ. არციონალური რიცხვის თანამედროვე თეორია ჩამოყალიბებულ იყუყვინდისა და ვაიერშტრასის მიერ, თითქმის სტეტესარტეტის მისი უკეს ევოლუციეს აზრთა დინებას, მხოლოდ ის მნიშვნელოვანდ უფრო ცხარო პერსპეტეტიკის შლის თანამედროვე მათემატიკური მეთოდების გამოყენების წყალობით“<sup>23</sup>.

ზემოთ ჩვენ გაცერიოთ აღწინებით ევოლუციეს ინტერეუების ექვეულოდროვე და მრავალმხრივობა მისი ენციკლოპედური განსწავლულობა და უნივერსალური — ერთლიცია. საშუენაროდ, მცენ აღარ შეიქცერა ევოლუციეს ოტობობით თუ გეოგრაფიულ, სამედიცინო, თუ ფილოსოფიური ნაშრომებზე. მტეტეალები, ხისრულით, ჟიკნებო, მხო-

ლო მის ასტრონომიულ თეორიას; ისევე ასტრონომიის ცნობილმა იტალიელმა ასტრონომმა სკიამპრელიმ, ანტიკურ წყაროებზე (არისტოტელე, სიმპლიციუსს) დაყრდნობით, ამოწურავდა გაანალიზება და თითქმის დეტალური სიზუსტით ახადგინა ევდოქსეს ასტრონომიული სისტემა, რომელიც ვარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის პლატონის დროინდელი ბერძნული ასტრონომიის ძირითად პრიზმულეებზე და რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა „ტიმოქოსის“ ასტრონომიული კონცეფციის გაგება.

გაღმოსკვით, ევდოქსეს ასტრონომიული თეორიის ინსპირატორი იყო პლატონი. ბერძენ მოაზროვნეთა შორის საუკეთესო მანძილზე არსებობდა პარი იმის შესახებ, რომ სამყაროს სფეროს ფორმა აქვს<sup>191</sup>. ეს აზრი განმტკიცებული იყო საყოველთაოდ გავრცელებულ შეხედულებით, რომლის თანხმობაც ყველაზე სრულქმნილ გეომეტრიულ სხეულად სფერო თვარიოდა, ისევე როგორც ყველაზე სრულყოფილ გეომეტრიულ ფიგურად წრეს მიიჩნევდნენ. აქედან გამომდინარე, საელებით ბუნებრივი ჩანდა ვარაუდი, რომ სფერულ სამყაროში ყველა ციურ სხეული წრითი ორბიტაზე მოძრაობს. მაგრამ ამ ვარაუდს ამართლებდა მხოლოდ ე. წ. უძრავ ვარსკვლავთა მოძრაობა ცის თალზე აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით. თვით მზისა და მთვარის ორბიტებიც კი ვარკვეულად გადახრას ავლენდნენ მკაცრად წრითლი ფორმიდან, ხოლო რაც შეეხება პლანეტებს (მერკური, ვენერა, მარსი, უპიტერი, სატურნი), მათი მიმოქცევა უძრავ ვარსკვლავთა მიმართ ორი უცნებარი მოძრაობის—წინაგლთი და უკანაგლთით მოძრაობის საერთო კამად წარმოუჩნდებოდა დამკვირვებლის თვალს, მათი ხილული ტრაექტორიები კი არანაკლებ უცნაურ ხარვეუებს შეამოწურდნენ ცის თალზე. ეს იყო ამჟამა არამოხალ ციურ სხეულთა აბსოლუტური უძრაველების მოძრაობასთან შედარებით, სამყაროელი კანონზომიერების უცხო რღვევა, და, ამ, პლატონმა თავის მოწვევით დაუსახა ამოცანა—„უცხსანი მოვლენა“, ესე იგი, თანამართლებერ წრითლ მოძრაობათა კომპინაცოების სხებით წარმოედგინათ ყველა ციურ სხეულის მოძრაობა ცის თალზე. ევდოქსეს ასტრონომიული სისტემა სხვა არა არის რა, თუ არა პლატონის მიერ დასახულ ამოცანის ვადაკრის ცდა.


მეცნიერული თეორიის შესაქმნელად, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა მარტივი პრინციპები თუ პიოთეზები, რომელთაგანაც უნდა შეგვეძლოს მყავიო სქემის გამოყვანა, ასე თუ ისე ამოწურავდა რომ ვეცხსილის ფაქტებს. თეორიის მოქმედება და მის მიერ მონიჭებული ესთეტიკური ტკბობა თანაბრად დამოკიდებულია როგორც იმ პრინციპების სიმყარესა და სიმარტივეზე, რომლებიც საფუძველად უძებს მას, ისე იმაზედაც, თუ რამდენად ზუსტად შეესაბამება იგი ცის მონაცემებს.

ევდოქსეს ასტრონომიული თეორია, ერთი მხრივ, თავისი ელემენტურობითა და ნატივი მათემატიკური სტრუქტურით, ხოლო მეორე მხრივ, თავისი სიზუსტითა და პრაქტიკული დაყვირებებისადმი შესაბამისობის ხარისხით, ორსავე ზემოსხეხებულ პირობას აკმაყოფილებდა. ამ თეორიის ბირთვი იყო პიოციკერულ სფეროთა<sup>192</sup> სისტემა, რომელიც საშუალებას იძლეოდა რამდენიმე თანამართლებერი წრითლი მოძრაობის მეშვეობით ავლენსა მზის, მთვარისა და პლანეტების ჩრული მოძრაობანი ცის თალზე.

არისტოტელე წერს: „მზისა და მთვარისათვის ევდოქსე იღებდა სამსამ სფეროს, რომელთაგანაც პირველი უძრავ ვარსკვლავთა სფეროსაკით ბრუნავს; მეორე—წრითლად, ზოდიავის თანეარსკვლაველთა შუა; მესამე—ასევე წრითლად და ზოდიავისაგან განვიად იხლავს (თანაც უფრო განვიად იხრება ის წრე, რომელზედაც მთვარე მოძრაობს, ვიდრე ის, რომელზედაც მზე ბრუნავს). პლანეტების მოძრაობა კი ოთხ-ოთხი სფეროს მეშვეობით ხორციელდება; ამასთანავე, პირველი ორი სფერო ისეთივეა, როგორც მზისა და მთვარის შესაბამისი სფეროები (ინარად ერთი შეესაბამება უძრავ ვარსკვლავთა სფეროს, რომელიც თან წრითლად დანარჩენი, ხოლო მის ქვემოთ შედებარე სფერო, რომლის ეკვატორიე ზოდიავის შუა ხაზზე გადის, ასევე საერთოა ყველასათვის). თათოფელ პლანეტის მესამე სფეროს პოლუსები იმ წრეზე მდებარეობს, რომელიც ზოდიავის თანეარსკვლაველთა შუაზე გადის, მეოთხე სფერო კი წრითლად ბრუნავს და, ამ თანაც, ისე, რომ დახრისა მესამე სფეროს ეკვატორისადმი. ყოველი პლანეტის მესამე სფეროს თავისი საკუთარი, ერთმანეთისაგან განსხვავებული პოლუსები აქვს და მხოლოდ აფრიოდტესა და პერმენსის<sup>193</sup> მესამე სფეროს პოლუსებთან ერთნაირი“<sup>197</sup>.

უნაა ფასდაუდებელი ცნობა, რომელიც ვარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ევდოქსეს ასტრონომიულ სისტემაზე, და მინც ის ამჟამად დაკრებებასა თუ ინტერპრეტაციას მოითხოვს. აქ კი ანტიკური ასტრონომიის ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუღლის კოსმოსის ევდოქსესეული მოდელის იმ მახვილგონიერულ რეკონსტრუქციას, რომლის ავტორიაცა სკიამპრელია; სამყაროს ცენტრში უძრავად მდებარეობს სფეროსებური დედამიწა, რომლის გარეშეშეც ბრუნავს 27 პიოციკერული სფერო. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნათ: პიოციკერების პიოციკერული წარმოდგენისაგან განსხვავებით, რომლებიც ამ სფეროებს ბრილის ვეებერთელა ბერებულ თვლიდნენ, ევდოქსე მათ რეალურ სხეულად კი არ მიიჩნევდა, არამედ პირქმინდად ამსტრუქტურულ გეომეტრიულ კონსტრუქციად, რომელსაც უნდა აესხნა მათობათა ზილული მოძრაობა ცის თალზე. ზემოსხეხებული 27 სფეროიდან ყველაზე ცილერა, გარეგანი სფერო ე. წ. უძრავ ვარსკვლავთა

სფეროა, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით ბრუნავს და დღე-ღამის განმავლობაში ერთ სრულ ბრუნს შემოსწევს. სამყაროს წარმოსახვითი ღერძის ვარშემო, უძრავ ვარსკვლავთა მოძრაობასთან განსხვავებით, მზისა და მთვარის მოძრაობა ველოქმეს სისტემაში სამსაში პოპოცენტრული სფეროს ბრუნვით აღწერება, ხოლო მერკურის, ვენერას, მარსის, იუპიტერისა და სატურნის რთულ მოძრაობათა ასახველად იგივე სისტემა ოთხ-ოთხ პოპოცენტრულ სფეროს იყენებს.



სურ. 1. 1 — მთვარი, 2 — მზის, 3 — მერკურის, 4 — ვენერის, 5 — მარსის, 6 — იუპიტერის, 7 — სატურნის, 8 — უძრავ ვარსკვლავთა სფეროები. მზესა და მთვარეს სამი სფერო აქვს, ხოლო დანარჩენ პლანეტებს — ოთხ-ოთხ. სფეროები თანაბარი სიქეხით პუნჯენ თავიანთი ღერძების ატრუფენ ამ მოძრაობისა კომბინაციებ ვარსკვლავთა ცის ბოლო მზის, მთვარისა და პლანეტების მოძრაობის მიტაცის ახდენს.

მზის სამი სფერო მედვიე სიქეხით ბრუნავს სხვადასხვა ღერძის ვარშემო, ამ სფეროთიდან პირველის მოძრაობა უძრავ ვარსკვლავთა სფეროს მოძრაობას ემთხვევა. მისი მეშვეობით აღწერება მზის სადღელდამისო მოძრაობაც ცის თაღზე, მაშინ როდესაც მეორე სფერო

ეკლიპტიკის გასწვრივ მზის წლიურ მოძრაობას აღწერს; მისი ღერძი მკიდრით უკავშირდება პირველი სფეროს მოძრაობაზე წერტილებს და იმავე სფეროს, ისევე როგორც დედამიწის ღერძის მიმართ დაახლოებით 24°-თაა დახრილი. მეორე სფერო, რომლის ეკვატორიც ეკლიპტიკის სიბრტვეს ემთხვევა, ე. ი. ზოლიქის თანავარსკვლავედთა სარტყელზე გადის, დასავლეთიდან აღმოსავლეთით, ანუ პირველ სფეროს საპირისპირო მიმართულებით ბრუნავს, ხოლო ამ ბრუნვზე პერიოდო ერთ წელს შეადგენს. ცოური ეკვატორიდან მზის მაქსიმალური და მინიმალური დაშორება ზაფხულისა და ზამთრის შებენობის მომენტებს შეესაბამება, ხოლო ეკლიპტიკისა და ეკვატორის გადაკვეთის წერტილები — საგაზაფხულო და საშემოდგომო ბუნობის მომენტებს. თვით მზე ყველაზე შიგნითაა — მესამე სფეროს ეკვატორზე მდებარეობს. ამ სფეროს ღერძი მკიდრით უკავშირდება მეორე სფეროს მოძრაობაზე წერტილებს და ამ უკანასკნელის ღერძის მიმართ პატარა კუბითაა დახრილი. მესამე სფერო ძალიან წელა ბრუნავს დასავლეთიდან აღმოსავლეთით, ე. ი. მისი ბრუნვის მიმართულება იგივეა, რაც მეორე სფეროს ბრუნვისა. ამ მესამე სფეროს ეკლიპტიკის მიხედვით, უნდა აეხსნა თუ რატომაა, რომ ზაფხულისა და ზამთრის შებენობის დღეებში მზე ყოველთვის ერთსა და იმავე წერტილში როდი ამოიღის<sup>158</sup>.


ასევე აღწერება მთვარის მოძრაობაც. მთვარის სამ სფეროთაგან ყველაზე კიდურა — გარეგანი სფერო, რომლის პოლუსებიც უძრავ ვარსკვლავთა სფეროს პოლუსებს ემთხვევა და რომლის მოძრაობაც ცის თაღის სადღელდამისო მოძრაობას შეესაბამება, თავის ღერძის გარშემო ბრუნვისას თან წარიტაცებს, ორსავე დანარჩენ სფეროს. ამო აიხსნება მთვარის მონაწილეობა ვარსკვლავთა სადღელდამისო მოძრაობაში, მეორე სფეროს, რომლის ეკვატორიც (ისევე როგორც მზის შემთხვევაში) ეკლიპტიკის სიბრტვეს ემთხვევა — ეკლიპსის მოვლენის მიხედვით უნდა აეხსნა მთვარის მოძრაობა ზოგადად თანავარსკვლავედთა გასწვრივ, დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით, ან სფეროს ბრუნვის პერიოდ მთვარის ერთ თვეს უდრიდა. და ბოლოს მესამე სფეროს მეშვეობით, რომლის ეკვატორზედაც მდებარეობდა საკუთრივ მთვარე, ეკლიპსის ხსნიდა მთვარის თბრეტის დახრულებას ეკლიპტიკის სიბრტვის მიმართ. ამ სფეროს ღერძი მკიდრით უკავშირდება მეორე სფეროს ორ საპირისპირო წერტილს და მისი ღერძისადმი მახვილი კუთხით იყო დახრილი, რომელიც სიპოლიტისის მოწმობით, მნიშვნელოვანად აღემატებოდა მზის მეორე და მესამე სფეროთა ღერძებს ზორის მდებარე კუბებს...

გაცილებით უფრო რთული იყო ანტიკურ ეპოქაში ცნობილი ზედი ციომილის (მანანტის) რთულ მოძრაობათა მოვლერება; მეცნი-

ერების წინაშე პლანეტის მიერ დასახული პროგრამის შესაბამისად, ევდოქეს ასტრონომიული სისტემა მიზნად ისახავდა თანამართომიერი წრითელი მოძრაობისა და უცვლელი მიმართულების შემოვლით ახსნა იმ ხილულ უწყსრილობათა მიზეზი, რასაც დამყარებლის მიერ ასს უცვლენს პლანეტების ზედაზეოვანი ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ მარყუცისებური მოძრაობა: „ღროს უმეტესი ნაწილის განმავლობაში პლანეტები ზოდიქერი თანავარსკვლავედების გავლით დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ვადადგლელებიან (პირდაპირი მოძრაობა), მერამ თანდათანობით მათი მოძრაობა ნელდება. ისინი ჩერდებიან (იწყება დგომა), შემდეგ ერთხანს მოძრაობენ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ (უკუქცევითი მოძრაობა), ხელახლა ჩერდებიან და, შემდგომ ამისა, კვლავინდებურად განაგრძობენ პირდაპირი მოძრაობის ასე რომ, ცის თაღზე პლანეტების მოძრაობის ხილული ვხა მარყუცი-სებურია. პლანეტების მიერ შემოწერილი მარყუცები სხვადასხვა ზომისაა. მერყურის უკუქცევითი მოძრაობის რკალი შეადგენს დაახლოებით  $13^{\circ}$ -ს (22 დღე), ვენერისი — დაახლოებით  $16^{\circ}$ -ს (40 დღე). მარსისა უახლოვდება  $15^{\circ}$ -ს (79 დღე), იუპიტერისა ცოტათი მეტია  $10^{\circ}$ -ზე (120 დღე), სატურნისა — დაახლოებით  $7^{\circ}$  (136 დღე)<sup>199</sup>. დღეს ჩვენ ვიცით, რომ პლანეტათა ხილული მოძრაობის ესოდენ რთული ბუნება მზის ირგვლივ დედამიწის ბრუნვითა გაპრობებული, მერამ ძველი ბერძნული გეოცენტრული სისტემების ავტორებისთვის ეს გარე-შეობა, რა თქმა უნდა, უცნობი იყო. ამიტომ მათ წინაშე შემდეგი პრობლემა იდგა: „რას წარმოადგენენ წრითელი და სრულყოფილად მოწესრიგებული მოძრაობანი, რომლებსაც ამოთხეზხად უნდა ვი-ღებდეთ, რათა შევეძლოს მოხეტიალედ ვარსკვლავების ხილულ მოძრა-ობათა ახსნა?“ — სიმპლიციუსის ეს სიტყვები, რომლებიც მოტანი-ლია არისტოტელს თხზულების „ცისათვის“ მისეული კომენტარები-დან<sup>200</sup>, მთელი სიგრძე-სივრცით წარმოგვიჩენს იმ ამოცანის უკუ-ვლელ სირთულეს, რომლის გადაჭრაც — ერთხელ კიდევ შევასწავნებ-მათხველს, — ბერძნული ასტრონომიული შეცნობების ყველაზე სა-შერ და გადაუდებელ საქმედ დასაბა ევდოქესის დიდმა მოძღვარმა.

მოწაფემ გენიალური სიმარტივით გადაჭრა მასწავლებლის ეს პრო-ბლემა. თითოეული პლანეტისათვის მან აიღო თანამართომიერად მბრუ-ნავი ოთხი ჰომოცენტრული სფერო, რომელთაგანაც ყველაზე გარეთისა ბრუნვა, ისევე როგორც მზისა და მთვარის შესაბამისი სფეროებისა, სამყაროს ღრძის ირგვლივ ცის თლის სადღეღამისო მოძრაობას შე-საბამებოდა. უმჯობლად მისი მოძღვრო სფერო გარეთა სფეროს სა-პირსპირო წერტილებზე გამავალი და ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ  $23\frac{1}{2}^{\circ}$ -ით დახრილი ღრძის გარშემო ბრუნვავდა, ასე რომ, მისი ცვა-ტარები მზისა და პლანეტების ეკლიპტიკას ემთხვეოდა. ამ სფეროს მოძ-

რაობა აღწერდა პლანეტის პირდაპირი მოძრაობის ზოდიქერი თან-ვარსკვლავედითა გასწვრივ, ხოლო მისი ბრუნვის პერიოდი პლანეტის სიღერული პერიოდის შესატყვისის ვახლათ (პლანეტის სიღერულ პერიოდში ეწოდება დროის იმ შევალბა, რომლის შემდეგაც პლანეტე ხელახლა გამოჩნდება ზოდიკოს სარტყლის იმავე ადგილას). ეკლიპ-ტიკის გასწვრივ პლანეტის მარყუცისებური მოძრაობის ასახსნულად ევ-დოქესს დასჭირდა კიდევ ორი — მესამე და მეოთხე სფერო, რომლე-ბიც თანამართომი სიჭკართა და ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით ბრუნვადენენ ერთმანეთს მიმართ პატარა კუთხით დახრილი ღრძების ირგვლივ; ირვე სფეროს ბრუნვის პერიოდი დედამიწის ერთ წელს უდრიდა, ხოლო მათი ღრძების დახრილობის კუთხე სხვადასხვა იყო თითოეული პლანეტისათვის. მესამე სფეროს ღრძი მუორის ზოდი-



სურ. 2. ოთხი სფერო, რომელთა შემოვლითაც ევდოქეს აღწერს პლანეტის მოძრაობას. გარეთა სფერო (1) 24 საათში ერთხელ შემობრუნდება თავისი ღრძის ირგვლივ, მისი მოძღვრო შედა სფერო (2) ერთ სრულ ზღვს ასრულებს პლანეტარულ წელს განმავლობაში. ორი დანარჩენი შედა სფერო (3 და 4) თანამართომი სარტყლისა და ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით მოძრაობს. ირვე ერთხელ შემობრუნდება მთვარე წელს მანძილზე, რაც განაზღვრავს პლანეტის მარყუცისებურ ტრაექტორიას. მთელი პლანეტა მთავი სფეროს ვედიტიზე მდებარეობს. ცენტრში მოთავსებულია დედამიწა.

აქში ბრუნავდა, თვით პლანეტა კი მეოთხე სფეროს ევატორზე იყო მოთავსებული. ყველა ამ მოძრაობის საერთო ჯამი საბოლოოდ გვაძლევდა პლანეტის მარყუქისებურ ტრეკტორიას, რომელიც პოპოლინტალურად წაიწიდა „რეიამს“ (00). აქვდა და რომელსაც ევლოქსემ „პიპოპედ“ — „ცხენის დეშაჟი“ უწოდა.<sup>201</sup>

სულ 27 სფეროს მემკვიდრეობა — წერს ამერკელი მეცნიერი ვინჯ როჯერსი, — ევლოქსემ ააგო სისტემა, რომელიც პლანეტა მოძრაობის კარგ იმბატის იძლეოდა. მის სქემას საფუძვლად ედო მარტივი სფეროები, ევლოქსემ სისტემა რომ ბუნებრივად საერთო ცენტრის — დედამიწის ირგვლივ, ამ სისტემის აგებაში მოითხოვდა რთული მათემატიკური გამოთვლები: საჭირო იყო ოთხი სხედანსხვა მოძრაობის განხილვა თითოეული პლანეტისათვის და ბრუნვის ღერძებისა და სიჩქარეების სათანადოდ შერჩევა, რათა მივსული დაკვირვების შესატყვისა საბოლოო მოძრაობანი. ამ პრობლემის გადაჭრა შესაძლო გახდა რთული გეომეტრიული აგებების წყალობით. ევლოქსე იყენებდა ერთგვარ მარ-მონიულ ანალიზს (სამეგანზომილებიანი სიბითი) ფერიემველ ორი ათასი წლით ადრე. ეს იყო კარგი თეორია.<sup>202</sup>

დახ, ეს იყო კარგი თეორია, მაგრამ მას თავისი ხარვეზებიც ჰქონდა. დაკვირვებისათვის ეკვე მისაწდობში არა ერთი და ორი მოვლენა: ამჟამად ვერ თავსდებოდა ევლოქსეს სქემის ვიწრო ჩარჩოში. უფრო წერაღმან ფაქტებზე რომ აღარ ვაგაბხელოთ ყურადღება, საკმარისია ითქვას შემდეგ: პლანეტების მესამე და მეოთხე სფეროთა ღერძების შორის დახრლობის კუდახს შერჩევით შეიძლებოდა საკმაოდ ზუსტად აღგვეწერა ობიეტრისა და სატარნის მარყუქისებური მოძრაობა, მაგრამ დანარჩენი პლანეტებისათვის შედეგი ვაკლებოდა ნაკლებ დამაკმაყოფილებელი იყო (ასე, მაგალითად, ევლოქსეს მოვლენის მიხედვით, მარსისა და ვენერასათვის საერთოდ არ ხერხდება რტორ-გრაფული, ანუ ევლოქსეანი მოძრაობის მიღება). აღმათ, ამიტომაც იყო, რომ კალბე კიდეკოსელმა, ევლოქსეს მოწაფის — პოლემარქეს შეიკრძა, რომელმაც ძვ. წ. 330—329 წლებში მოახლნა ათურნიკალენდრის რეფორმა, ერთგვარად გააფრჭობესა, მაგრამ, იმავედრო-ვლად, გაართულა კოლაკ კოსმოსის ევლოქსესეული მოვლეო, გაართულა იმით, რომ დამატებით კიდევ შეიღ ახალი სფერო შემოიტანა, რათა უფრო ზუსტად აეხსნა მზის ზოდიაქური ინიშნალი, ანუ წილი-წილის დროთა არათანაბარი ტანგენტობობა. აქალბე ისევე განლაგებდა სფეროებს, — შენიშნავს არისტოტელი, — როგორც ევლოქსემ მათი რაოდენობაც იგივე იყო ზეგისა და კრინოსისათვის.<sup>203</sup> მაგრამ მზისა და მთვარისათვის ის საჭიროდ თვლიდა ორ-ორი სფეროს დამატებას, და თითოს — დანარჩენი სამი პლანეტისათვის.<sup>204</sup>

მაღლ არისტოტელემ 55-მდე ვიზარდა პოპოცენტრულ სფეროთა

ჩრტევა<sup>205</sup>, რათა მათი ორგანული შილიანობისათვის მიეღწია, ხოლო ამ შილიანობის შიგნით უხრებველეთ თითოეული პლანეტის სფერულ სისტემათა ავტონომიური მოძრაობა. მაგრამ სამყაროს ევლოქსესეული მოვლენის ძირითადი ნაკლი ნაკლადვე დაჩნა: გეოცენტრულ სისტემის თანდათანობითი სრულყოფის მიხედვად, შეუძლებელი იყო პლანეტთა ცვალებადი ბრწყინების ასანა, ვინაიდან ევლოქსეს ისევე როგორც კალბესა და არისტოტელეს ასტრონომიულ მოვლენებში მანილი დედამიწიდან პლანეტებამდე არ იცვლება. ევეოქსე არ იყოს, ძველი ბერძნების დაუცხრომელი ცნობისწინადადით ადრეველი ასრია-ახალი აღმოჩენებით ამოღებდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებას. სამყაროს ზოგადი სურათის აგებაში შეზღვევი პრინციპული მანიეა გადადგა პლანეტის მოძრაობაზე ჰერაკლემ პონტოელმა, რომელიც ცის თაღის საღლეამისო მოძრაობას პოპოცენტრულ სფეროთა მოძრაობით კი არა, საცუთარი ღერძის ვარშემო დედამიწის ბრუნვისათა სწინადა. მაგრამ როგორც ასტრონომიის, ისე ფილოსოფიის ისტორიის მკვლევარნიც, იშვიათ გამოჩაყლისთა გარდა, რატომაც ივიწყებენ, რომ ეს ფუნდამენტური იდეა უშუალოდ პლატონის „ტიმოქოსის“ საგანა იღებს დასაბამს.<sup>206</sup> ჰერაკლემ ასტროლოგიურ მიეწერება კო-დევი ერთი თამაში პიპოთება: როგორც ვიცით, ორი შიდა პლანეტა — მერკური და ვენერა დიდი მანილით არსილენს შორღებთან მშებს, არამედ მის ხან ერთ, ხან მეორე მხარეს ექცევიან: აქედან გამოიღინა-ჩნა, ჰერაკლემ ივარაუდა, რომ მერკური და ვენერა დედამიწის კე-ბის ვარშემო ბრუნვენ და მხოლოდ მზე მოძრაობს წრიულ ორბიტაზე დედამიწის ირგვლივ. ამიტომაც ასტრონომიის ისტორიკოსები ასყენიან, რომ სწორედ ჰერაკლემ გადადგა პირველი ნაბიჯი არისტარქე სამოსელის ჰელიოცენტრული სისტემისაკენ. ცხრომეტრ-საყენის შემდეგ ჰერაკლედის ამ პიპოთებას ალოოტინებს და შე-წიქედებთიად განავითარებს დიდი დანილი ასტრონომიის ტიპო ბრ-ბეს გეო-ჰელიოცენტრული კონცეფცია.

ანტაციური ასტრონომიის თვალსაზრისით წარმოადგენელთა შორის სრულიად განსაყვობებული ადგილი უჭირავს არისტარქე სამოსელს (IV—III ს. ძვ. წ. ა), რომელსაც მკვლევარნი კაცობრიობის ისტორიაში პირველი ჰელიოცენტრული სისტემის ავტორად თვლიან. ციერ გან-თავითა მიმოქცევაზე ხანგრძლივი დაკირვებისა და რთული გე-ომეტრიული აგებების წყალობით, არისტარქე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მზის მოცულობა დაბლობებით 340-ჯერ აღემატება დედამიწისას. ეს კუფრი ძალზე შორს იდგა სინამდვილისგან: როგორც ვიცით, მზის მოცულობა სულ მცირე მილიონჯერ მეტია დედამიწის მოცულობაზე; მაგრამ არისტარქეს მიერ მიღებული შედეგები კი საკმარისი იყო სარ-ნობოსოდ, რომ აღნიშნის მცდელსა და მამიებელ — ახრს ევეო შეპხარ-

ვლად სამყაროს ტრადიციული გეოცენტრული მოდელის სისწორეში. თუკი მზე განუზომლად აღემატება დედამიწას, განა უფრო მართებული არ იქნება ვიჯიაბულოთ, რომ მზე კი არ ბრუნავს დედამიწის გარშემო, არამედ პირიქით, დედამიწა ბრუნავს მზის ირგვლივ? როგორც არქიმედეს „სამამრეტის“ გვიმოწმებს, სწორედ ამ თვალსაზრისით აღიქვამდა არისტარქე სამყაროს რეალურ სურათს. მაგრამ დედამიწის მოძრაობის დაშვება დამატარებულად უპირისპირდებოდა ძველი ბერძენების ტრადიციულ წარმოდგენებს და შეერაცხებოდა მათ რელიგიურ გრძნობას. ამიტომაც იყო, რომ არისტარქეს მკრთელობაში დასდეს ბრალი და მშობლიური ქალაქიდან გააძევეს.

არც ბერძნული მეცნიერების მასინდელი დიუნე იძლიოდა ჰელიოცენტრული მოძრაობის დამკვიდრების, გავრცელებისა და შემდგომი განვითარების საშუალებას. ძნელი იყო მის წინააღმდეგ მიმართული არგუმენტების უარყოფა. თუკი დედამიწა მზის გარშემო ბრუნავს, ამტკიცება ერთი ამ არგუმენტთაგანი, მაშინ გამუდმებით უნდა იცულებოდეს ზილული მანძილი უძრავ ვარსკვლავებამდე. ამ არგუმენტის გასაბათილებლად არისტარქეს ასეთი პასუხი ჰქონდა: უძრავ ვარსკვლავთა სფეროს რადიუსი იმდენად დიდია, რომ მასთან შედარებით დედამიწის მთელი ორბიტა შეიძლება წერტილად იქნეს მიჩნეული. მეორე არგუმენტი, რომლის ატორებიც არიან არისტოტელე და ელინისტური ეპოქის უდიდესი ასტრონომი პტოლემეაიოსი, მზარს უმგებრებად პირველს: თუ დედამიწა წარმოუდგენელი სისწრაფით ბრუნავს მზის ირგვლივ, მაშინ ყველაფერი, რაც მშობლიურ დამატებულად არ არის დედამიწაზე, ბრუნვის სიძირისპირით მიმართულებით გარტოვრდება. ასე, მაგალითად, დედამიწის, ამ არგუმენტის თანხმად, უნა უნდა ჩამოეტრებინა ღრუბლები. ძველი ბერძნული დინამიკის თვალსაზრისით, ამ არგუმენტს საერთოდ არ მოეძებნება მეტ-ნაკლებად დამაყმყოფილებელი პასუხი, ვინაიდან ანტიკური ფიზიკა არ იცნობდა ინერციის კანონს და ნებისმიერი მოძრაობის მიზეზად ყველა ცალკეულ შემთხვევაში ახალ-ახალ მარს მოითხოვდა. ამიტომ, თუკი დედამიწა თან არ წარბიტება ღრუბლებს, ისინი უნდა ჩამოართონდნენ მას. არისტოტელეს ატორიტეტიც, ხოლო შემდეგ პტოლემეაიოსის უცილერესად დაბეჭდილმა, მაგრამ ასევე უცილერესად რთულმა გეოცენტრულმა სისტემამ<sup>207</sup> ნაადრევად დააბრია და თითქმის ათას ხუთას წლით დასამარა კლასიკური ელენიზმის წიალდიან ამოცენებული ჰელიოცენტრული მოძღვრების ჭერ კიდევ უწყვილ და სრულად ნორჩი ულორტება.

მაგრამ მეცნიერული ობიექტურობა და ისტორიული სიმართლილსაღში ერთგულება მოითხოვს იფიქროს, რომ ჰელიოცენტრული მოძღვრების სათავე უფრო ღრმად დევს წარსულს იღვამლებით მიცულ

წიალში. სამყაროს ჰელიოცენტრული სისტემა ჰერაკლიდე პონტოლის ან არისტარქე სამოსელისაგან კი არა, პტოლემისაგან იღებს დასაბამს; მაგრამ ეს აზრი, სამწუხაროდ, იმდენად უცხო და უჩვეულოა ჩვენი (მხოლოდ ჩვენი და არა დასავლური) მეცნიერებისათვის, რომ მას ლიტონი სახით ვერ მივაწვდით მეთხველს: ამყაროთ ეს ჩვენგან დაწერილობით განხილვასა და საფუძვლიან დასაბუღებას მოითხოვს. იდეალისტური ფილოსოფიისაღმი ტრადიციულმა დასოკლებულმა აიფულელების მანძილზე განაბრობა მისი ცალკეული მიღწევების სრულად გაუმართლებელი იფნარჩება, თითი იმ მიღწევებისაც კი, რომლებიც შორს სცილდება საკუთრივ ფილოსოფიის ფარგლებს და უმალ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სფეროს მიეკუთვნება. ასე, მაგალითად, ჩვენ სკოლის მერხილავებ ვეცნობით ნიუთონების ატომური აგებულების დემოკრიტესულ კონცეფციას, მაგრამ პტოლემის ატომიზმზე შეჯგოება რატომღაც აკერძალუდ ხილავ. ითვლებოდა მეცნიერებათა და მხოლოდ ამ ბოლო წლებში გახდა შესაძლებელი, რომ რუს მეცნიერს თამამად, ყოველგვარი მიყენებ-მოყენების და დამნაშაუისათვის ნიშნული მშობლიურების გარეშე განეცხადებინა: „მატერიის აგებულების პტოლემური თეორია არც დემოკრიტეს მოძღვრების გამოვრება, არც მისი ვაღმაცემა თუ ვაღამუშავება. ესაა სრულიად ორიგინალური ფიზიკური თეორია, გაიცლებით უფრო რთული, უფრო ღრმა და... უფრო სანტრეპსო ჩვენი დროის ფიზიკის თვალსაზრისით. ვიდრე ყოველივე ის, რასაც დემოკრიტეს ანტიკური ატომისტებიც ვაბუღებთ... პტოლემის მიერ „ტიმოსეონ“ დადამატებული ატომისტური კონცეფცია არა მარტო განეკრძობებით გავს ანტიკურ მეცნიერებაში: ესაა გამაყენებელი, უნიკალური და, გარკვეული თვალსაზრისით, პრაკტიკული მოვლენა გეროპული უბუნებისმოკიდების ისტორიაში“<sup>208</sup>. მაგრამ თუ ფიზიკაში ყინული უკვე ვაღვდა, ასტრონომიაში ისტორიული სამართლიანობა ჭერ კიდევ თავის რეაბილიტაციას მოელის. წინამდებარე სარკვევი, მსოფლიო პტოლემოლოგიის მიღწევებზე დაყრდნობით, სწორედ ამ სამართლიანობის აღდგენის მოყრატეული ცდაა.

ჩვენ შევეცილა მიახლოებითი სისუსტით მაინც წარმოვიდგინოთ პტოლემის ასტრონომიულ უსეხედუებათა ევოლუციის ზოგადიო საკვანძო მომენტი. თავის ერთ-ერთ შედევრში — „სახელწიფიო“, ფილოსოფიისათა მმართველი კლასის განსწავლსათვის მეცნიერებისა და ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად (ართიმეტიკა, გეომეტრია, მუსიკალური პარმონია) პტოლემის ასტრონომიასაც სავალდებულო საუნად სახასეს, როგორც ზნეობრივი სიმწინდისა და სულიერი სრულმწინდების მიღწევის საშუალებას. დედამიწის თავზე განადიოხული გუმამოთივი ვაღმომზობლი, ვარსკვლავებით მიოპვილი და მწიოთობა გრმენე-

ული ციმციმით მომღიმარე ცის თაღი, მზისა და მთვარის ელვარე  
ღისკეობით, ღღასა და ღაშის, თევზისა და წლების, წელწაღისა და  
სა-ტელური მონაცვლეობით, ცოთმოდოა კლანდოი ბილიყებით, სხი-  
ვოსანი სფეროებისა და მათი წრიული ორბიტების მათემატიკური პარ-  
ამონით, თანაბარკვლაველთა თვალსაჩინოებელი თავფლებით, პო-  
რისონტრიდან პორისონტრამდე ვადარჯალელი ჩრდილონი ნაცვლებით,  
სადაც მირიად ვარსკვლავთა ნისლოვან ქაოსს მღღმა იპაღება ვალქ-  
ტკეთათა სფერული თუ სპირალური სტრუქტურები, — ყოველივე ეს  
ანამატრეით იხილება აღმკინის მზრასა და თითქმის მთლიანად ავი-  
წყებს ამქვეყნიურ სიმწერეს და სიღვებრეს; ესაბელწიფოსა მისხე-  
ვით, კაცთა უმარავლესობა-სწორედ იმას მიიზნებს ასტრონომიის დირ-  
სებად, რომ ეს აბეღლებს სულ ზეითი იმზირისა და ყოველგვარი  
მწიფირისაგან განარიღებს მასა 208.

მაგრამ არც ცის მომწვანელი სიღამათი ტემბასა და არც მას-  
ზე ზსტრი დეკორაციებით დაგროვილ ცოდნას, რასაც ესოღენ დიდი  
მნიშვნელობა ენიჭება წელთაღრიცხვის, ზღვაოსნობისა თუ მიწათმოქ-  
მედებისთვის, პლანეტის აზრით, საერთო არა აქვს რა ასტრონომიის  
ქვემარტ დანაწმულეობასთან. არითმეტიკისა და გეომეტრიის განვი-  
ხად, ესაბელწიფოსა ავტორი უტილიტარისტულ კი არა, პირწმინდად  
თეორიულ-შემდგენებით ამოცანას უსახავს ასტრონომიასაც; იღველ-  
რო სინამდვილის სტრუქტურულ კანონზომიერებათა კვლევას 209,  
ამიტომ დავტრეება მზის წლიურსა თუ სადღღამისო მოძრაობაზე,  
მთვარის დახეხეზე, თანავარსკვლავედების კონფიგურაციებსა თუ პლა-  
ნეტის მარუფენებურ მოძრაობებზე სხვა არა არს რა, თუ არა ესა-  
შეაღება ქვემარტივ ყოფიერების შესამდგენებლად. ამ პირწმინდად  
კონტემპლაციური ასტრონომიის წარმატების აუცილებელი პირობაა  
გეომეტრიის სავალდებულო ნაპირწმინდი დარჯის — მზრუნვე სხეულო-  
სტერეომეტრიის განვითარება 210, რომელსაც, მისი ჩამორჩენილობის  
მიუხედავად, დიდიბატურნი ზელოვებით გამოიყენებს პლანტინი თა-  
ვის ტიპოლოშია 211. იგეო არ იყოს ესაბელწიფოსა ავტორის თანახმად,  
არტემობს ორმზრავთა თანაფარდობა იფელურად ორგანიზებული სა-  
ზოგადოების მწიფობრ წესრიგსა და კომისისის პარამონიულ სტრუქტურ-  
ისს შორის, აქედან — პლანტინის სიკოლოგიისა და ასტრონომიის  
მჭიდრო კავშირთა ტიპოლოშია 212 ეს კავშირი აღმკინის, ანუ მიეროსამ-  
ყარისა და კომისისის, ანუ მაკროსამყაროს ურთიერთშესაბამისობაზე  
დაიყენება.

ესაბელწიფოსა, ამ ფილოსოფიურ ებოსს, რომელსაც თავისი მო-  
ცულებით, შინაარსობრივი სიღრმითა და საცვლევ პირობლებათა სი-  
რულთა განსაკუთრებულთა ადგილი უჭირავს პლანტინის შემოქმედებამ-  
თა-ფინიონერის მისტერი ხილავ, გრანდოსტრი — ესკატოლოგიური

პანორამა ავირგვიწვას, რომლის ცენტრდაც სამყაროს ნახევრად მი-  
თხროს და ნახევრად მეცნიერული მოღვაღ გვევლინება: სულთს  
სიკლად მომხილავი ერ პამფილოვთა ვადმოცემით, ცასა და მი-  
წას აკრავს სინათლის სხივისანი სფერო, ხოლო სამყაროს მთელ სიღრ-  
მეზე — ჩრდილოთ პოლესიდან სამხრეთ პოლესამდე გამწონის ცი-  
სტრუქტურასავით მოვლავს სინათლის სფერო, რომელიც ცარგველისა  
და დღამაწის ორ ურთიერთსაპირისპირო ნაპარლზე ვადის, სვეტის  
შეჯავლში ბრუნავს ანაწეს (აეცილებლობის) გიგანტური თითისტარ-  
თა, რომელიც სხვა არა არს რა, თუ არა სამყაროს ღრმბა. აღმასის  
თითისტარზე წამოცმულ აღმასისავე კვირისტავს ნახევარსფეროსა თუ  
ყვეთალი კონსეს ფორმა აქვს, რომლის განცვრტილი ზემოდან რვა  
კონცენტრული წრის სახით წარმოუჩნდება მზრას. თითოეული წრე  
ცრ ღვა სხვადასხვა ვადრის შეესაბამება — მზის, მთვარის, ზეითი  
კოლონიასა და უძრავ ვარსკვლავთა სფეროებს. მათ შორის ყველაზე  
ღღდა ვარგვანი, ანუ უძრავ ვარსკვლავთა სფერო, რომელიც შევიდ  
ღარაჩენ სფეროს მოიცავს. სიდიდით მეორე ადგილი უჭირავს მე-  
მეტეს სფეროს, მესამე — მეოთხეს, მეოთხე — მერვეს, მეხუთე — მე-  
მეექვსეს, მეექვსე — მეხუთეს, მეშვიდე — მესამეს, მერვე — მეორე  
სფერო. შვიდი შავითა სფეროს ბრუნვის მიმართულება ერთი და  
იგივეა, მაშინ როდესაც უძრავ ვარსკვლავთა სფერო საპირისპირო მი-  
მართულებით ბრუნავს. სხვადასხვა კვირისტავის წრეების, ანუ, რავს  
იგივეა, სფეროთა ბრუნვის სიჩქარე; ყველაზე სწრაფად ბრუნავს  
მერვე წრე; შემდეგ თანაბარი სისწრაფით ბრუნავს მეხუთე, მეექვ-  
სე და მეხუთე წრეები; ბრუნვის სისწრაფით მესამე ადგილზეა მე-  
ოთხე წრე, მეოთხეზე — მესამე, მეხუთეზე კი — მეორე წრე; ხოლო  
ვეით თითისტარი ანაწესე კალთაში ბრუნავს 213.

კვირისტავის რვავე წრეზე ფეხმორთმით ზის თითო სიჩუნა, რომ-  
ლებიც წრეებთან ერთად ბრუნვისას ვარკვეული სიმძლავის ბევრებს  
შეიძლიან. ბევრებს, სფეროთა სიდიდისა და მათი ბრუნვის სისწრა-  
ფის ზემოთ ჩამოთვლილ ინტერვალთა შესაბამისად, პარამონიული  
თანამეურებელ ერწყმის ერთმანეთს და, ამრიგად, კოსმოსური ოქტა-  
კორდა 214 დასაბამს აძლევს ციურ სიმწიფისა, ვაშუღდებით რომ გუ-  
ფუნებს სამყაროს უსარგებლო სიერტეში. სიარტების მახლობლად,  
მთავან თანაბარ მანძილზე ზის სამი სხვა არსება, თითოეული — თა-  
ვის ტარტზე: ისეთი მოიხრები არიან, ანაწესის ასტრონი — ლახესისი,  
კლოთო და ატროპოსი; სამეგს სტეტიკე სამისი მზსაცვს და გვირგვი-  
ნები ადგა თავზე. სიარტებთან მამეწყობით ლახესისი უძღვრის წარ-  
სულს, კლოთო — აწყოსს, ატროპოსი კი — მომავლის. დროდღერი  
კლოთო მარჯვენა ხელს წაქცავს თითისტარის ვარტოთა და გვირგვი-  
ნების საშეაღებას არ აძლევს მას, ატროპოსი მარცხენა ხელით

სვეტ. აბრეხანს მინაგან წირვებს, ხოლო ლახესისი რიგრიგობით ეცხვება ხელთ ერთსად და მეორეთად<sup>212</sup>. „წილის მურულს“ ნიშნავს ბერძნულად „მეოთხე“ — „ჭურჭლის მშვეველს“, „ატროპოპოი“ — „შეუცქვეველს“, „ურყუებს“, „გაბრუნავს“. ამრიგად, ბედისწერის სამ ქალღმერთთაგან პირველი წარსულში უყრის წილს ადამიანს, მეორე მისი სიკეთის ძალს აწიავს, მესამე კი ვარდნილად ახლოებს იღვამელებით მოცულ მომავალს).

სამყაროს „სახელმწიფოსებლა“ მოდელში მუსიკალური გამშის გარდა ჩაწვლია ფერადი გამაცვ. სიხვისი სფეროთა პოლიფონიური ძღვრადობას ორგანულად ეწყობის ფერთა სიმღერა. უძრავ ვარსკვლავთა სფერო პრეკლია, რადგანაც მის ფერს განსაზღვრავს შვიდი სხვა სფეროს ფერადოვან ნივანთა ერთობლიობა; მეშვიდე სფერო ყველა დანარჩენს ჩრდილავს ელვარებით; მეერვე სფერო მეშვიდისაგან გამოხიხივებულ სინათლს ეესუსება საკუთარ ფერს; მეორე და მესამე სფერო ოქროსფერია, მესამე — თოვლივით თეთრი, მეოთხე — მოწითალო, ხოლო მეექვსეს მეორე ადგილი უჭირავს თავის სიეთრით<sup>213</sup>. შემთხვევითი როდია ის ვარქმობა, რომ ძველი ბერძნული ტრადიცია პლანეტების სახელწოდებებს ნართათულად აღნიშნავდა სიტყვებით, რომლებიც შეესაბამებოდნენ მათ ფერსა თუ მათ მიერ გამოხიხივებული სინათლის ინტენსივობას. ასე, მაგალითად, სატურნს (კრონოსს), ამ ტრადიციის მიხედვით, „ბრწყინვალე“ („ფანიონი“) ეძღვნა, იუპიტერს (ზეუსს) — „ბრწყინავი“ („ფაეტონი“), მარსს (არესს) — „ცხცხლოვანი“ („პიროვისი“), ვენერას (აფროდიტე) — „ნათლის მტერითვლი“ („ფოსფორისი“), მერკურს (მერკურსს) — „ელვარი“ („სტილიონი“) <sup>214</sup>.

პლატონის უკანასკნელი ვრანდიოზული ქმნილება „კანონები“ და მისი მომდევნო „კანონთა შემდგომი წიგნი“ („კანონისი“) გვიჩვენებენ, რომ მათი ავტორი ბოლომდე თავისი შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდში დასახული პროგრამის ერთგული დარჩა. როგორც უკვე ითქვა, თავის დიდი სოციალურ უტოპიაში (სახელმწიფო) პლატონი ასტრონომიის ძირითად დანიშნულებად თვლის იდეალური სინამდვილის ბუნების ცვლევას. „კანონების“ მეშვიდე და მეთექვსმეტე მთავრობა ასტრონომიული კონცეფცია სხვა არა არის რა, თუ არა ამ მიზნის ხორკულისპის, მისი რეალიზაციის თავაზიოდებული ცდა, ხოლო „კანონისი“, თანამედვერულად რომ ავითარებს „სახელმწიფოს“, „კანონებისა“ თუ „ტიმოისის“ ასტრონომიული მოძღვრების არსს, მთელ ცს უხეხავს დღევანდელ სახავს; არც კვლდ ღმერთთაგანს ვიდრედ მე<sup>215</sup>. რა თქმა უნდა, ზეცის, და ყველაზე მართებული ეჭვება, მის მიმართ ადვანსულად ლიცია-ვედრებას. ყველა დაგვეთანხმება იმა-

ში, რომ სწორედ ეს იქნა ჩვენთვის ყოველგვარი სიკეთის წყარო<sup>215</sup>.

რას ნიშნავს ეს? პლატონი გვიტყობს, რომ ადამიანის ამქვეყნიური არსებობის ყველაზე დიდი სიკეთე სიბრძნის მიღწევა და დღევანდობაა. მაგრამ რა ვითი შეიძლება დღევანდობა მას? ვერავითარი სპეციალური ცოდნა, ვერავითარი პრაქტიკული განწყვეტულობა, შეცნობიერება, ხელოვნება თუ ხელოსნობის ვერავითარ დარგში გაწვდვა; პლატონის აზრით, ვერ გვახიარებს ადამიანის არსებობის ამ უმაღლეს მნიშვნას. არსებობის მხოლოდ ერთი, ერთადერთი „მოძღვრება, რომლის წყალობითაც შეიძლება სიბრძნის წვდობა და დღევანდობა; ეს გაბოჯვ მოძღვრება რიცხვის შესახებ<sup>216</sup>. თუმცა ამ აზრს, რომელზედაც დღევანდობა პლატონის ბევრი ფილოსოფიური კონცეფცია, ზნობიერეკვებებით ისეთ დიდმნიშვნელოვან დიალოგებში, როგორცია „სახელმწიფო“, „ფილოზოსი“, „ტიმოისი“ და „კანონები“<sup>217</sup>. თითო რიცხვის ცნებას, ერთისა და ორის, მთლიანად და დიდის ბუნებას, სიუხროდ, რიცხვითი თანამედვერების არსს და რაობას კი, გვიტყობს „კანონისი“, ცის თალს სადღეღამისო პრუნუნავი, მნიშობილი მომქცევასა და დღე-ღამისა თუ წელიწადის დროთა მონაცვლეობაზე დავიკრვებით უზიარა ადამიანი. ეს იყო მის წინაშე გადამწილი ჩარველი წიგნი, რომელიც ის კითხულობდა ვარსკვლავების ასობით მიბუქილი ღვთაებრავ სიბრძნის.

„მოდით, ვნახოთ, როგორ ვისწავლეთ თვლა. მიზნებით, ვინ მოგვცა ერთისა და ორის ცნება? რატომაა, რომ ყველა ცოცხალ არსებას მორის ბუნებით მხოლოდ ჩვევა ეფლობთ ამნარი ცოდნას? თუ ერთ-მანეთს შევედარებთ ყველა საგანს, რას ვნახათ დღეზე უკეთესს? შემიძღვ ადამიანი ვადადის დამეზე და აქ სულ სხვა სურათი ემდება სოფლის. ერთმანეთს გამუღვებებით ენაცვლება მრავალი დღე და მრავალი დამე. ეს არასოდეს არა ყვეცბს მათ ურთიერთმონაცვლეობას. და ამრიგად ვვიჩვენებს ერთისა და ორის ცნებას, ასე რომ, ბოლოს და ბოლოს, თუთ ყველაზე უნიკოსად კი შეუძლია დავუღვებოთ ხელოვნებას. ამის უკრეტისას თითოეული ჩვენგანი ითვისებს „სახის“ „მოთის“ და საერთოდ სინამდვილს ცნებას. ერთი ცოტრ სხეულთაგანი — მთავარ ღმერთთა იმგვარად შექმნი; რომ ხან დიდი გვეჩვენება, ხან კი პატარა, ასე რომ, მეთუთამეტე დღე-ღამეზედ გამუღვებით უცვლის სახეს. ასეთთა მთავრის წრებრუნება, თუკი ვინმეს ნებაეს, ურთეთულად თვლიდეს მთავრის თვის... აქამდე ყველა მშვენიერად მოაბერებს თვლას, თუ დავიკრვდება ყოველ ერთეულს თავისთავად. სამაფიეროდ, მე მგონია, ღმერთთა უფრო... მდლი მიხინით დაწესეს, რომ ადამიანი ყოველთვის ითვალსწინებდეს რიცხვთა ვარქმულ უს თანაფარდობას. აქ, როგორც უკვე ითქვა, მან ხან ცხრობა და-

უწესა-მოვარეს, ხანაც ავსება, მანვე დაადგინა თვეებიც წლისა, ასე რომ თითოეული ჰეგენებისათვის შესაძლო ვახლა დაეკვირვების გზით ნებისმიერ რიცხვითა ურთიერთშედარება. ამის წყალობით მწოდებმა ჩვენმა ხილი, ნაყოფითა სიუხვითი იხნიქება მიწა და სახარდობს ყველა სულდგმულა<sup>218</sup>.

შემთხვევითი როდია რიცხვებისა და, საერთოდ, რიცხვთა თეორიისათვის ესოდენ დიდი მნიშვნელობის მინიჭება. ამ ფაქტში გამოხატულდება პიოვა პლტონის ფილოსოფიერ შეხედულებათა ევოლუციონის საბალოო, დასკვნითა მომენტებს: იღებენ თითქმის სრულბა გაიფიქრებამ რიცხვებთან. ისევე როგორც უწინ — იღვა, მთელ კოსმოსურ წესრიგს ახლა განსაზღვრავს რიცხვი. სამყაროელი წრებრუნვა, ციურ სხეულთა მიმოქცევა რიცხვითი თანაფარდობებით გამოხატულ კანონზომიერებებს ექვემდებარება: „ყოველი გეომეტრიული ფიგურა, ან რიცხვითი თანაფარდობა თუ პარამეტრიული ერთობა ვარსკვლავთა წრებრუნვას ემსავსება და ენათსავება. ამიტომია, რომ ერთი-ულის ბუნება იმისთვის, ვინც ღრმად მასწავლა და შეითვისა იგი, ყველაფერს ხანის... დაკვირვებულ კაცის წინაშე აქ ვლინდება ყოველ საგნის ბუნებრივი კავშირი“<sup>219</sup>.

მეგრამ ყოველი საგნის ეს ბუნებრივი კავშირი, რიცხვითა პარამეტრიული თანაფარდობით ერთი რიგად მთელად რომ ჰკრავს მთელ სამყაროს, არასდ არ ვლინდება უფრო ნათლად, ვიდრე ციური სხეულების მარადიულ წრებრუნვაში, სხეულებისა, რომლებიც თავიანთი სრულქმნილების გამო, როგორც „ტიმოსის“, ისე „მეზონისის“ ასტრონომიული სისტემაში, დემონსტრირებენ აჩინ დასახულნი: „მაშ, იცოდეთ, რომ მთელს ცაშია რვა ძალა, ღვიძლი ძმებებით რომ ენათსავებიან ურთიანეთს. ერთი ამ ძალთაგანი მზის ძალაა, მეორე — მთვარის, ხოლო მესამე — უძრავი ვარსკვლავებისა. რჩება კიდევ ხუთი... ყველასინი ხელს უწყობენ უღვთებრივესი გონებით დადგენილ სამყაროს ხელულ წესრიგს. ნეტარი კაცი თაუდამპირველად გაიგონებულთაა იწინაიერი, შემდეგ კი მთელი არსებობა შესტრფის და, რამდენადღეს ეს ხელუწიფება მოკვდავ ბუნებას, ცდილობს შეითვისოს იგი, რაკილე ფიქრობს, რომ ასე და ამრიგად ყველაზე უკეთ გალევს ცხოვრების გზას, ხოლო სიკვდილის შემდეგ იმ ადგილას მივა, რომელსაც იმსახურებს სიქველ... მე კვლავ ვამტკიცებ, რომ ამნაირი დემონი რვაა. მანსუ უკვე ვილაპარაკე<sup>220</sup>. მათ ვარდა რჩება ხუთი. გასაადვილებსა და წრებრუნვის შეთხვევ, ისევე როგორც მეხუთე სამე, თითქმის მზის წრებრუნვის სწორია: ყოველ შემთხვევაში, არც მასზე სწორადია და არც მასზე ნელი, საერთოდ, ყველა ვამჭრობს კაცი უნდა აღიარებდეს, რომ არსებობს სამი წრებრუნვა: ჩვენ ამ სამად უფოელი მზის, ცისკრის ვარსკვლავისა და კიდევ მესამე მნათობის

ბრუნვას, მნათობისა, რომლის დასახელებაც არ შეიძლება, ვინაიდან უწინბია მისი სახელი... ეს მნათობები დემონები დაესხსნენ“ თავიანთი სახელებს: ცისკრის ანუ, რაც იგივეა, მწუხრის ვარსკვლავი უსაფრთხლოდ რომ იწოდება აბროლიტელა<sup>221</sup>, ხოლო იმ მნათობს, რომელიც თითქმის აფროდიტის კვალდაკვალ თანა სდევს მზეს, პერკუსი<sup>222</sup> ეწოდება. ასრებობს კიდევ სამი წრებრუნვა, რომელთა მიმოხრულებაც — მარცხენად მარჯვნივ — მზისა და მთვარის ბრუნვას ემსახვევა: უნდა მივუთითოთ კიდევ ერთი, კერძოდ, მტრე წრებრუნვაზე: უწინარეს ყოვლისა, სწორედ ის შეიძლება მოჩვენულ იქნეს კოსმოსსად; მისი მიმართულება ზემოთ ჩამოთვლილ მნათობთა ბრუნვის მიმართულებას ეწინააღმდეგება და თან წარბაძავს ყველა დანარჩენს<sup>223</sup>. ყოველ შემთხვევაში, ასე გვეჩვენება ჩვენ, ადამიანებს, რომლებსაც ესოდენ ცოტა რამ გვესმის ამ საკითხში... დაგვრჩა კიდევ სამი ვარსკვლავი, რომელთაგანაც ერთი ყველა დანარჩენისაგან განსარჩევა თავისი სიხანტით, და ზოგიერთნი კრონოსს უწოდებენ მას; მოსრახობს სიხანტით მის მომდევნოს ზევის სახელი უნდა ეწოდოს, ხოლო მესამეს — არესისა<sup>224</sup>; ზემოთ ჩამოთვლილ მნათობთაგან მხოლოდ ეს უკანასკნელი გამორჩევა წიელი ფერით“<sup>225</sup>.

პლატონს არ დეწურობსა საგანგებო ასტრონომიული ტრაქტატი, მეგრამ არა ერთი და ირი დილოვის ცალკეულ პასუხათა ურთიერთშეყრება მაინც ვარკვეულ წარმოდგენას სიძვენის სამყაროს მისეულ მოდელზე. ამ მხრივ, განსაკუთრებით სინტრეზის მასალას ვეთავაზობს — ტიმოსის“; დემონსტრირებს მიერ მარადისობის მოძრაობა ხატობს — დროის შექმნას რომ აფიქრებს, პლატონი შემდეგ განაჯობობს: „ამრავალ, დრო ცასთან ერთად დაიბადა, რათა ერთად დასადგმულნი ერთადვე დაშლილიყვნენ, თუკი ოღესმე მოუწყვედათ დაშლა; ხოლო დროის პირველნიმე იყო მარადიული ბუნება, რათა, შეძლებისამებრ, უფრო მეტად დასმგავსებოდა მას. რადგანაც პირველი ნიშნის არსებობა მთელი მარადისობის მომცველია, მაშინ როდესაც მისი ხატება დაიბადა, არის და იქნება მთელი დროის განმავლობაში. ასეთი იყო დემონის განსევა და შთანდობიერი დროის დაბადებთან დაკავშირებით: და იმ, დროის დასაბადებლად დაბადებულ მზე, მეორე და ხუთი სხვა მნათობი, რომლებსაც პლანეტებს უწოდებენ ჩვენ, დაიბადნენ, რათა განესახლებრათ დროის რიცხვი“<sup>226</sup>. ერთიმეორის მიყოლებით რომ შექმნა შეიძლება მათგანის სხეული, დემონმა შეიღ წრებზე მოათავსა ისინი, რომელსაც ვარკვეუმოსწერს მზისის ბუნების წრებრუნვა<sup>227</sup>; მთავარ — დედამიწის ვარკვეუმცველ პირველ წრებზე; — დედამიწის ზემოთ, მეორე წრებზე; ცისკრის ვარსკვლავი, ისევე როგორც პერმესისადმი მომდენილი ვარსკვლავი — იმ წრებზე, რომელიც მზის თანაბრად ბრუნავს, მხოლოდ საპროსპიო მიმართულებით.

ამოცადა, რომ მზე, ცისკრის ვარსკვლავი და ჰერმესის ვარსკვლავი თანადგურულად ჩამორჩებიან, ან ეწვიან ერთობერს...

ზოგად, მის შემდეგ, რაც ყველა ამ ვარსკვლავს, რომელიც აუტოლად იყო დროის შესაქმნელად და მოასწერს იგებლად, თითოეულ მათგანს თვის შესაფერისი მოძრაობა მიენიჭა; მის შემდეგ, რაც ყველა ეს სხეული სტელიარ სპერტლით იქნა შეკრული, ციციბარსად იქცა და თავისი უნიშნულმა შეიგნო, — თითოეულმა მათგანმა სხვისი მოძრაობის გასწვრივ<sup>220</sup> დაიწყო ბრუნვა, მოძრაობისა, რომელიც ყველა კვეთს იგივეობრივის მოძრაობას<sup>221</sup> და მას ეკუთვნის. ამის შედეგად, ზოგიერთი უფრო დიდ წრეს შემოსწვრს, ზოგი — უფრო მცირეს; თანაც, მცირე წრეზე მოძრაონი უფრო სწრაფ ბრუნვენ, ვიდრე ისინი, რომელნიც დიდ წრეზე მოძრაობენ; მაგრამ იგივეობრივის მოძრაობის ზემოქმედებით ისე ჩანს, თითქმის უფრო სწრაფად მოძრაე ვარსკვლავს ეწვიან უფრო ნელ მოძრაი, მაშინ როდესაც სინამდვილეში პირიქითაა საქმე: რაკლე იგივეობრივის მოძრაობა თითოეული ვარსკვლავის წრეს მარჯუენისებურ ბრის ორი მთავარი მოძრაობის ურთიერთსამართისპირი მიზნობრების შედეგად, ამიტომ სწორედ ეს ვარსკვლავი, რომელიც ყველაზე ნელა გადაიხრება ყველაზე სწრაფი მოძრაობისაგან, ჩვენ ვეჩვენება, თითქმის ყველაზე მეტად უხლოვდება მის სიჭქარეს. იმ მხრს, რომ მიუცემელი ურთიერთი სინელისა და სიჭქარის თანადგობათა ზუსტი ზომა, რომლებითაც ისინი ვარს უდრიან თავიანთ რბა წესს, დღემამდე იდან მეორე წრეზე ღმერთმა ააწიო სანთელი, რომელიც ჩვენ მზეს ეუწოდებთ, რათა მას, შეძლებისამებრ, ცის კილითაგანვე გავათავინა ყველაფერი, ხოლო ყველა ცოცხალი არსი, რომელიც ეს შექმნის, ზიარებოდა რიგების ბუნებას<sup>222</sup>. ამანარად და ამ მსხუთა ძალით დაიბადა ღამე და დღე, რომლებიც შეადგენენ ერთფერო და უფორფერულესი წრებრუნვის ერთ მოქცევას<sup>223</sup>. ხოლო ეს სრულდება მაშინ, როცა მთავარი, თავის წრეს რომ ვარსემოვლს, ეწევა მზეს<sup>224</sup>. რაც შეეხება დანარჩენ პლანეტებს, აღმაინებისერიცხოვანთა გამოკლებით, ვერც ამჩნევენ მათ წრებრუნვას, სეკს არ სტებენ, ერთმანეთს, არ უდარებენ დაკვირვებით და რიგობი თანადგობებით არ გამოხატვენ მათ; ასე რომ, შეიძლება იყოს, წარმოდგენაც არა აქვთ იმაზე, რომ თთელი ეს ურთიერთი და მსაკვირვებლად მრავალფეროვანი ხტიალიც დროა...<sup>225</sup> და, როგორც და რისთვის დაიბადა ყველა ეს ვარსკვლავი, რომლებიც დღეებტან ცაზე და კვლავინდებურად უბრუნდებიან თავიანთ გზას, რათა სმყარო რაც შეიძლება უფრო მეტად ჰგავდეს სრულქმნილს და უფრო სწრაფად მპაივდეს მის მოძრაობებს<sup>226</sup>.

ამ ვარსკვლავს ასაივანიდ გამომდინარე, პლატონის ასტრონომიულე მოხატება, ზოგადი სახით, შემდგენარად წარმოგვიდგება: უძრავ ვარსკვლავთა სფერო, „ტემოსის“ თანხმად, ევკლირის სიბრტყეში, სმყაროს ღერძის<sup>227</sup> ირგვლიე ბრუნვის და აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით მიმოიქცევა თანაბარზომიერი სიჭქარით, რომელიც ყველა სხვა ციფრი მოძრაობის სიჭქარეს აღემატება, პლანეტები კი სხვადასხვა კუბობრი სიჭქარით მოძრაობენ ეკლიპტიკის სიბრტყეში, უძრავ ვარსკვლავთა სფეროს საპარისპიროდ, ესე იგი, დასავლეთიდან აღმოსავლეთის<sup>228</sup>. პირველი სამი, ვ. წ. „მოდა პლანეტა“ (მერკური, ვენერა, მზე) ერთნაირი სიჭქარით მიმოიქცევა თავის ორბიტებზე, მაშინ როდესაც ოთხი დანარჩენი („გარეთია“) პლანეტის მოძრაობის სიჭქარე სხვადასხვაგვარია როგორც ერთობრის, ისე პირველი სამის მოძრაობის მიმართ, და ეს სიჭქარე თანდათანობით კლებულობს იმისდა კვალად, რაც უფრო მეტად უხლოვდება პლანეტარული სისტემის პირფეროსს. მოხეტიალე მნათობების სხვადასხვანაირი მოძრაობათა კომბინაციებზე, საბოლოო ანგარიშით, ჩვენ გვთავაზობს სერათს, სადაც უძრავ ვარსკვლავთა სფეროს მოძრაობა დანიანტურია პლანეტების სფეროთა მოძრაობის მიმართ. პლანეტების, რომლებსაც უძრავ ვარსკვლავთა სფერო ნაწილობრივ თან წარბეკება თავისი თანაბარზომიერი მოძრაობისას. ამრიგად, როდესაც პლანეტა დასავლეთიდან აღმოსავლეთით გადასვრავს ეკლიპტიკის რკალს, ის, იმავე დროს, აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით წარბეკავება უძრავ ვარსკვლავთა სფეროს დანიანტურე მოძრაობის შედეგად, ასე, რომ პლანეტის ხილული მოძრაობის გზა დამკვირვებელს წარმოუჩნდება როგორც ვაზის ღერწვიეთ მოგზობილ რკალს, როგორც სპარალი, ანუ, ასტრონომ თეონ სმირნელის სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც ცილინდრზე შემოჭერილი ღვედის ხვეული<sup>229</sup>. სწორედ ესაა ევდოქსეს პიპობედე („სტენის დემაიე“), რომელსაც პტოლემეისის გეოცენტრულ სისტემაში ვ. წ. „გეოცენტრიკალი“ ცვლის („გეოცენტრი“ წრეა, რომელიც თანაბარზომიერად მოძრაობს მეორე წრეზე — ვ. წ. „დეფერენტზე“; „გეოცენტრიკალი“ კი მოდება ჩაკეტილი წრედ, რომელსაც წრეების ესა თუ ეს წერტილ შემოსწვრს მეორე წრეწირზე ბრუნვით).

სმყაროს პლატონისა და ევდოქსესეულ მოდელებს ბევრი რამე აქვთ საერთო: ერთა პლანეტების თანმიმდებრობა; ერთნაირია როგორც უძრავ ვარსკვლავთა სფეროს, ისე ცთომილთა წრებრუნვის ურთიერთსამართისპირი მიმართულება; ერთი და იმავე პრინციპით: თანდა პლანეტების მარჯუენისებური მოძრაობა; ევდოქსე 27 პიპობეტრულ სფეროს შემოკლებით ავიწყებს ციფრ სხეულთა მოძრაობის მთავარებრებებს, ხოლო პლატონის მოდელში, სადაც აქცენტრი სფე-

როთა გეომეტრიული სტრუქტურებიდან მათ მიესკადურ პარამონიზზე გადატანილი, პლანეტების ორბიტებს შორის არსებულ ინტერვალში მდელი დიაპაზონი 1-დან 27-ს (sic!) აძლევს, და ბოლოს, როგორც მასწავლებლის, ისე მოწოდის სისტემის გეოცენტრულ სისტემად გვევლინება. ამიტომ მწელია დაეთანხმო ასტრონომიული მენჯარების იმ ისტორიკოსებს, რომლებიც პლტონის ეს არა, ევდოქსეს მიაწერენ სამყაროს პირველი მეცნიერული მოდელის შექმნის პატივს. მაგრამ ჩვენ აქ სულ სხვა რამე გვაინტერესებს.

ორი ზემოხსენებული სამკუთხედიდან ტოლფერდას წილად ხვდა მხოლოდ ერთი, არატოლფერდას კი — ურტყვი სხვადასხვა ბუნება. ამ ურტყვი ბუნებიდან ჩვენ უნდა ამოვიჩიოთ ყველაზე უფროსი, თუკი ვსურს ისე შევედგეთ სკემის, როგორც ვერ არს... ჩვენ გვგონია, რომ სამკუთხედთა ამ ურტყვი სიბრტყელის შორის ერთი ყველაზე მშვენიერია, რომლის გეოსტევისაც ხელს ავიღებთ ყველა დანარჩენზე. მე ვგულისხმობ ორი არატოლფერდა სამკუთხედის შერეობით მიღებულ მესამე — ტოლფერდა სამკუთხედს. რატომ? ამის დამტკიცება შორის წავიყვანად, მაგრამ თუ ვინმე შესაძლებელ და დავკვირვებდა, რომ ცეცხლის, სამართებებით მიველოცდით მის გამარჯვებას. მამ ასე, ჩვენ ვირჩევთ ორ სამკუთხედს, რომელთაგანაც ოთხ-ცხუ ცეცხლისა და დანარჩენი სამი საწყისის სხეული ერთი ამ სამკუთხედთაგანი ტოლფერდა, მეორე კი ისეთი, რომ მისი უღრმესი კუბის კვადრატო სამჯერ აღემატება უმცირესის კვადრატს...

ჩვენი შემდგომი ამოცანა იმის გადმოცემა გახლავთ, თუ რანაირი სახე აქვს თითოეულ სხეულს<sup>222</sup> და რანაირი რიცხვითა შერწყმისაგან იღებს დასაბამს. დავიწყოთ პირველი სახით, რომელიც ყველაზე მცირე ნაწილებისაგან შედგება. მისი პირველსაწყისია სამკუთხედი, რომლის ჰიპოტენუზა პატარა კათეტუე ორჯერ უფრო გრძელია. თუკი ორ ანაირ სამკუთხედს ჰიპოტენუზებით მივადგამთ და ერთმანეთთან შევერთებთ, სამჯერ გავიზოვრებთ ანაირ მოჭმელებს და თანაც ისე, რომ პატარა კათეტებმა და ჰიპოტენუზებმა ერთ წერტილში, როგორც თავიანთ ცენტრში მოიყარონ თავი, — ექვსი ანაირი სამკუთხედი ერთ ტოლვერდა სამკუთხედს<sup>221</sup> მოგვცემს<sup>222</sup>.

სამი ელემენტარული ნაწილაკის შესაბამისი სამი წესიერი მრავალწახანავა სხეულის — ტეტრაედრის, ანუ პირამიდის (ცეცხლი), ოქტაედრის (ბაერი) და იკოსაედრის (წყალი) წახანავები წესიერი (ტოლვერდა) სამკუთხედებია, მეოთხე ელემენტარული ნაწილაკის — შიშის შესატყვისი კუბის, ანუ ჰექსაედრის წახანავად კი ვეადრატები გვევლინებიან. ამისდა ყელად, წესიერ სხეულთა წახანავების შემადგენელი ელემენტარული, ანუ პირველადი (დასაბამიერი) მართკუთხედი სამკუთხედები ორი სხვადასხვა ტიპისაა; პირველი ისეთი არატოლფერდა მართკუთხედი სამკუთხედი, რომლის უდიდესი კათეტის გვერდი სამჯერ აღემატება უმცირესს კათეტის ვეადრატს. ანუ, რაც იგივეა, რომლის ჰიპოტენუზა ორჯერ გრძელია პატარა კათეტზე. და მართლაც, თუ პირველენუსს ადვინწინათ  $A$ -თი, დიდ კათეტს —  $B$ -თი, ხოლო პატარა კათეტს —  $C$ -თი, მაშინ პითაგორას თეორემის თანახმად გვექნება:  $A^2 = B^2 + C^2$ ; მაგრამ  $A = 2C$ , ამიტომ  $4C^2 = B^2 + C^2$  ანუ  $3C^2 = B^2$ , მეორე ტიპის პირველადი, ანუ დასაბამიერი სამკუთხედი კი ტოლფერდა მართკუთხედი სამკუთხედი. როგორც „ტრიმოსი“ გვიჩვენებს, თუ პირველადი ტიპის ორორი დასაბამიერ სამკუთხედს ჰიპოტენუზებით მივადგამთ და ერთმანეთთან პირველი სამი წესიერი მრავალწახანავა სხეულის (ტეტრაედრი, ოქტაედრი, იკოსაედრი) წახანავებს, რომლებიც წესიერ (ტოლვერდა) სამკუთხედებად გვევლინებიან. მეოთხე წესიერი მრავალწახანავა სხეულის — კუბის (ჰექსაედრის) წახანავს, ანუ ვეადრატს კი მეორე ტიპის ოთხი დასაბამიერი სამკუთხედის შეერთება გვამოუხდის (იხ. სურ. 9).

წესიერი მრავალწახანავა სხეულები კი არა, სწორედ ეს პირველადი (დასაბამიერი) სამკუთხედებია პლატონის ელემენტარული ნაწილაკები — ნივთიერების „უმიჯირესი სამუნი იგერები“, მაშინ როდესაც წესიერი მრავალწახანავები შეიძლება თანამედროვე ფიზიკის რთული



სურ. 9.

სტრუქტურული ბუნების მქონე ატომებს შევადარებთ. წესიერი მრავალწახანავებიცა და პირველადი სამკუთხედებიც პირწმინდად სიმბოლური ფორმებია, როგორსაც თანამედროვე ფიზიკისა თუ ქიმიისში იყენებენ ატომის ბირთვისა და მის ირგვლივ ელექტრონთა ორბიტალების წარმოსადგენად (ცვანტერი თეორიის თანახმად, ორბიტალები ატომური სივრცის ის უბნებია, რომლებშიც აღბათობის ყველაზე მეტი ხარისხით ხდება ელექტრონთა მოძრაობა).

„პირველადს“ რომ უწოდებენ თავის ელემენტარულ სამკუთხედებს, პლატონი მარტო იმას როდი ვულისხმობს, რომ სამკუთხედი პირველი უმარტოვესი, ელემენტარული გეომეტრიული ფიგურა. არა, პლატონის „სამკუთხედს“ თავისი ღრმად სიმბოლური მნიშვნელობაც აქვს. ის წარმოგვიდგენს „ტომეოსის“ მთელ „სამებას“, ანუ „ტრიასმას“, რომლის პირველი წევრია სამყაროს შემოქმედელი („პოიეტის“) და მისი („პაეტერი“), იგივე უქმმარადი არსი („ტო ონტოს ონი“), ანუ დემიურგოსი, უცუელულობის, წარუვალლობის, თვითიგვივობის, უყოლის-ერთობის რაციონალური პირველსაწყისი: „ერთი“ („ტო პენ“), ანუ „მონადა“; მეორე — „ფლიდა“ („სლის აორისტოს“) — „განსახლდრეული ორი“; მესამე კი — ერთის გაორებით, ანუ „მონადის“ „ფლიდამ“ გადასვლით წარმოქმნილი გრძნობად-კონკრეტული სამყარო (შვილი), რომელიც ერთდროულად წილნაყარა როგორც მამის, ისე დედის ბუნებასთანაც.

„სამკუთხედი არის პირველი გეომეტრიული ფიგურა, — წერს სანტიაგო არაგუელი, — რომელიც სამყაროს შექმნისას ვლინდება. შეუძლებელია აბსტრაქტული ერთის ობიექტივაცია, ან ცნობიერებით მისი წვდომა, „მისი „მოხეტლთება“, თუკი ორადობით არ იქნა გამოხატული. არ არსებობს აბსტრაქტი, მარტოდენ შექმნილი რომ შეეძლოს

ბატეა აღილებლად სჭირდება ჩრდილიც. ფაგრა კონტრასტის ასეა. მაგრამ გამოვლენისათვის ორადობაც არა კმარა, ვინაიდან ორადობა დაკარგვობდა ორი ხაზის უსარეულო პარალელურში, რომლებიც ანად არ შეხედობდნენ ერთიმეორეს, შეხვედრის მიმენტად რომ ამ მოვლენათა შესამე ხაზი; ასე ესხმება ზორცა, ასე რეალიზდება სამკეთხედი 226.

„მონადური“ და „ლიადური“ საწყისების, ანუ „ოვივისა“ და „სხვისა“, რაციონალურისა და ირაციონალურის დიალექტიკური ერთობა ნათლად ელინდება თვით პირველი სამკეთხედების გეომეტრიულ სტრუქტურაში. ავითოთ-პირველი ტიპის ელემენტარული სამკეთხედი — არატოლფერდა მართკუთხა სამკეთხედი, რომლის პიპოტენუზაც ორჯერ გრძელია პატარა კათეტზე. თუ პიპოტენუზა (a) 1-ის ტოლია, მაშინ პატარა კათეტ (c) იქნება  $\frac{1}{2}$ , დიდ კათეტს (b)

$$a^2 = a^2 - c^2 = 1^2 - \left(\frac{1}{2}\right)^2 = 1 - \frac{1}{4} = \frac{3}{4}; b = \sqrt{\frac{3}{4}} = \frac{\sqrt{3}}{2}. \text{ მეორე ტიპის—ტოლფერდა—სამკეთხედში, თუ პიპოტენუზა 1-ს უდრის, მაშინ ორივე კათეტი (b-ც და c-ც) } \frac{1}{2}\text{-ს ტოლი იქნება, ასე რომ, პითაგორას თეორემით, } a^2 = b^2 + c^2 = 2b^2.$$

გ. ი.  $1 = 2b^2$ , საიდანაც  $b^2 = \frac{1}{2}$ , ხოლო  $b = \sqrt{\frac{1}{2}} = \frac{1}{\sqrt{2}} = \frac{1 \cdot \sqrt{2}}{\sqrt{2} \cdot \sqrt{2}} = \frac{\sqrt{2}}{2}$ . მესამეადაც, პირველი ელემენტარული სამკეთხედის გვერდებია:  $1, \frac{1}{2}, \frac{\sqrt{3}}{2}$ ; მეორისა კი:  $1, \frac{\sqrt{2}}{2}, \frac{\sqrt{2}}{2}$ . რაციონალური და ირაციონალური რიცხვების ეს შვიდრო კავშირი ღრმა დიალექტიკური აზრის შედეგია. მაგრამ აქ ჩვენ „ტიმოისის“ მიძღვრების სულ სხვა ასპექტზე უნდა ვაკანაბილით უფრალდება.

როგორც ვიცით, პირველ სამ წესიერ მრავალწახნავა სხეულთაგან ტეტრაედრს 4 წახნავი აქვს, ოქტაედრს — 8, იკოსაედრს კი — 20. რაკელა ყოველი წახნავი (წესიერი) ანუ ტოლგვერდა სამკეთხედი პირველი ტიპის 6 ელემენტარული სამკეთხედისაგან შედგება, ამიტომ ტეტრაედრი 24 ასეთ სამკეთხედს შეიცავს ( $4 \times 6$ ), ოქტაედრი — 48-ს ( $8 \times 6$ ), ხოლო იკოსაედრი — 120-ს ( $20 \times 6$ ). მეოთხე წესიერ მრავალწახნავა სხეულს — კუმს, ანუ ჰექსაედრს 6 წახნავი (კვადრატი) აქვს, რომელთაგანაც თითოეული შეიერ ტიპის 4 ელემენტარული სამკეთხედისაგან შედგება და ამიტომ კუმს, ისევე როგორც ტეტრაედრს

24 ელემენტარულ სამკეთხედს შეიცავს ( $6 \times 4$ )... აქვე ხაზგამოთხე უნდა აღინიშნოს, რომ ემპელოკლეს ოთხი თავისთავადი, ერთმანეთზე დამოუკიდებელი მატერიალური ელემენტისა თუ დემონსტრაციის დამოუკიდებელი ატომებისაგან განსხვავებით, პლატონის ატომები კიდევაც იწლებიან და ერთიმეორეზედაც დაყვანებიან, ერთიმეორედაც გარდაქმნიებიან.

ელემენტების, ანუ წესიერი მრავალწახნავა სხეულების ურთიერთგარდაქმნისათვის მონივანი სტრუქტურის შეცვლა განაპირობებს, ხოლო ყველა ამნაირი ცვლილება თვით უცვლელი უმარტივესი სტრუქტურული კომპონენტების დონეზე ხორციელდება, კომპონენტების, რომლებიც საერთოა ისეთი წესიერი მრავალწახნავა სხეულებისათვის, როგორცაა ტეტრაედრი, ოქტაედრი და იკოსაედრი. „ტიმოისის“ თანახმად, ეს უმარტივესი, სამივე შემოსაზრებული სხეულისათვის საერთო სტრუქტურული კომპონენტებია ერთი ტიპის ელემენტარული სამკეთხედები. როგორც ვიცით, ტეტრაედრი შეიცავს 24 ასეთ სამკეთხედს, ოქტაედრი — 48-ს, ხოლო იკოსაედრი — 120-ს. პლატონი ჩვენ გვთავაზობს თანდფარდობებს, რომელთა მიხედვითაც ცეცხლის, ჰერისა და წყლის შესატყვისი გეომეტრიული სხეულები ერთმანეთში გადაიან, ანუ რაც იგივეა, ერთიმეორედ გარდაქმნიებიან: 1 იკოსაედრი = 1 ტეტრაედრი + 2 ოქტაედრი; 1 ოქტაედრი = 2 ტეტრაედრი; 25 ოქტაედრი = 1 იკოსაედრი (ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სხვა კომბინაციებიც: 1 იკოსაედრი = 25 ტეტრაედრი; 2 იკოსაედრი = 25 ოქტაედრი და სხვ...). რაც შეეხება კუმს (მეჩა) რომლის უმარტივესი სტრუქტურული ელემენტები მეორე ტიპის სამკეთხედებია, ის, ე. ი. კუმს, ისევე არ გარდაქმნება ტეტრაედრად, ოქტაედრად, ან იკოსაედრად, როგორც ორი სხვადასხვა ტიპის ელემენტარული სამკეთხედებია არ დაიყვანება ერთმანეთზე.

ესა ნივთიერებათა გარდაქმნისა და ცვალებადობის უფრულად მნიშვნელოვანი დიხეკრქმეორი კონცეფცია, რომლის ავტორიც ათასწლეულებით წინ უსწრებს თავის ეპოქის და ახალი დროის საბუნებისმეტყველო თვალსაზრისს უახლოვდება. „პლატონი დიფერილებით ჩერდება იმ გარდაქმნებზე, რასაც განიცდის ესა თუ ის მონივანი სხეული სხვა სტიქიონების ნაწილათა შემოქმედებით. მაგრამ ჩვენი ინტერესის საგანს შეადგენს არა იმდენად მისი თვალსაზრისს ყველა ამნაირი გარდაქმნის კერძო შემთხვევითად დაყვერებით, არამედ ის ზოგადი კანონზომიერებანი, რასაც ის ამ დროს აღაობებს. ნივთიერების გარდაქმნისა და ცვალებადობის შესაძლებლობა პლატონის ნახებრეში განმარტებულია ამ ნივთიერებანი სხვადასხვაგვარ ნაწილათა ურთიერთმოქმედებით. თუ სხეული შედგება ერთგვაროვანი და თანაბარი სიდიდის მქონე ნაწილკებისაგან და, ამასთანავე, გარედან არავითარ შემოქმედებას არ განიცდის, მაშინ მის-

ში შეუძლებელია რაიმე პროცესი მიმდინარეობდეს. მოკლედ რომ ვთქვათ, ამორაობა შეუძლებელია იმის შინაგანი, რაც ერთგვარაზროვნაა<sup>227</sup>. ეს დებულება შეიძლება თანამართლოვთ ფიზიკური კაპის ტრანზიზმებით იქნეს გამოხატული: ერთფაზიანი ერთგვარაზროვნის სისტემა მყარ მდგომარეობაში იმყოფება.

სხვა სიტყვა, როცა ნივთიერება რამდენიმე, ვთქვათ, ორი სხვა-დასხვა სახის ნაწილატთა ნახავდ გვევლინება (კორფაზიანი სისტემა). ამ შემთხვევაში სხვადასხვაგვარ ნაწილატებს შორის იწვება ბრძოლა, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, მთავრდება თითოეული გვარის განსვლილებით, ანდა უფრო სუსტი თუ უფრო მკურნალობით ნაწილატების გადაწყობა-გადაადგილებით. ყველაზე მძაფრად პროცესის მაშინ მიმდინარეობს, როცა ნახვის ერთ-ერთი კომპონენტიად გვევლინება ცეცხლი, რადგანაც ცეცხლის მინიატურული მოძრაობა ნაწილატები, პლატონის მიხედვით, განსაკუთრებით აგრესიული არიან. ცეცხლიანი ტერტირადლები თაყინითი ძაბვის წიბობებითა და წვეტიანობით, მახვილი კუთხეებით იჭრებიან სხვაგვარ ნაწილატთა შეაღებებში, ხელოვნ და აქტოივით ფანტავენ მათ. თუ ეს სხვაგვარი ნაწილატები მიწის კუბური ნაწილატებია, ამ უწყასენელთა ნამსხვრევები ვახლენის შემდეგ ან თვით ცეცხლივე ტრიალებენ, ან ჰაერისა თუ წყლის სფეროებში (თუკი ამ ორი სფეროსაკენ გათვრატნიებიან); ტრიალებენ მანამ, სანამ ყველ არ შეხვებიან ერთმანეთს და ხელახლა არ შეერთდებიან მიწის ან თუ იმ ზომის კუბიკურ ნაწილატებად, ვინაიდან სხვა ფორმის მძლეა, ვინაიდან კუბისა, მიწის ნაწილატებს არ შეუძლიათ.

მეორე ტიპის ორფაზიანი სისტემის ნიმუშად განვიხილოთ ცეცხლისა და წყლის ნაწილატთა ნახავი. ამ შემთხვევაში წყლის ვახლენი ნაწილატთა ნახვრატები შეიძლება გადაიფაროს და წარმოქმნან როგორც ჰაერის, ისე ცეცხლის ნაწილატები. ჰაერის ნაწილატები, თავის მხრივ, ვანიციან ცეცხლის ნაწილატთა ზემოქმედებას და თუ ნაწილატები უმეტესნი არიან, თვითონაც იხილებიან ცეცხლის ნაწილატებად შემდეგი რეაქციის მიხედვით: წყლის 1 ნაწილატი (1 აკოსაიდრის) → ჰაერის 2 ნაწილატი (2 ოქტაიდრის) + ცეცხლის 1 ნაწილატი (1 ტერტირადრის) → ცეცხლის 5 ნაწილატი (5 ტერტირადრის). ბოლოს და ბოლოს, თუ ცეცხლმა იმპლავრა, ნახავში მერეული წყლის ყველა ნაწილატი ცეცხლის ნაწილატებად იქცევა და მაშინ დამყარდება წონასწორობა. მაგრამ შესაძლებელია მეორე ვარიანტიც: იმ შემთხვევაში, როცა ცეცხლის ნაწილატებს გარემოცავს წყლის დიდი მასა, სუამარული რეაქცია საპირისპირო მიმართულებით განხორციელდება, რის შედეგადაც ცეცხლის ნაწილატები იძულებულნი ვახლებიან წყლის ნაწილატებად გადაიფარონ. რა თქმა უნდა, იმ ნაწილატებს, რომლებიც უფრო მცირე რაოდენობით დაჩრებიან, შეუძლიათ „გახსვრტენენ“ ნახა-

ვლან გამყოფითა და სხვა აღვილის მყოფ მათსავე მონათესავე ნაწილატებთან შეერთებით. ასეთივე ბრძოლა განაღდება სისტემებში ცეცხლი — ჰაერი და ჰაერი — წყალი. ამ ბრძოლის არსი, პლატონის მიერ კუმპარტი მხატვრული ექსპრესიით აღწერილი<sup>228</sup>, მოკლედ შეიძლება ამ დებულების სახით იქნეს ნამოყალიბებულ: ორი სხვა-დასხვა გვარისაკენ შედევნილი სისტემაში რაოდენობრივად უფრო ტარბი და უფრო მყარი ნაწილატები, ბოლოს და ბოლოს, შეუმურავენ მეორე, უფრო სუსტი გვარის ნაწილატებს: ან დამოიან მათ და აიძულებენ გადაიფარონ, ანდა მათი სისტემის ფარგლებიდან გააძევენენ<sup>229</sup>.

ზემოთ, ოთხი მატერიალური ელემენტის ემპერიკული და პლატონისეული კონცეფციების ურთიერთშედაბრებიან, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ პლატონის „ოთხი გვარი“, ოთხი სტიქიონია — მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი მარტო ამ ელემენტარულ სხეულებს კი არ აღნიშნავენ, არამედ შესაბამის ნივთიერებათა მთელ კლასებს და ამ ნივთიერებათა სხვადასხვა აგრეგატულ მდგომარეობებსაც. ავიღოთ, მაგალითად, ცეცხლის პლატონის აზრით, არსებობს ცეცხლის რამდენიმე სახესხვაობა. აწუწინარეს ყოვლისა, ესაა საკუთრივ ალი, რომელიც წვავს და ანათებს. მეორეც ალის გამონაშევი, რომელიც არ ათბობს, მაგრამ სინათლეს უვხავნის თვალებს; ესაა ის, რასაც სხივურ ენერგიას ვუწოდებდით დღეს. მესამეც, ცეცხლის ერთ-ერთ სახეობად პლატონი თვლის იმას, რაც ალის ჩაქრობის შემდეგ მღვივან ნაკვერჩხლებში ჩრება. ესაა სიბოთ, ვაგველნი როგორც ნივთიერი სუბსტანცია (თომბადა). ამრიგად, ალიც, სინათლეს და სიბოთს, პლატონის მიხედვით, ცეცხლისა თუ ცეცხლისეებ ნივთიერებათა კლასის სხვადასხვა სახესხვაობად გვევლინებიან... ცეცხლის არ იყოს, ჰაერისა რამდენიმე სახესხვაობა მოეძებნება. მთ შორის უვაჰვირავლეს პლატონი ეთერის უწოდებს, თანამად ტრადიციისა, რომელიც ქერ კიდევ ჰომეროსისაგან იღებს დასაბამს და რომელიც უმეტეს ემპირიულად აგრძელებს (ანაქსაგორისაკენ განსხვავებით, ცეცხლთან რომ აივთვებს ეთერს). ჰაერის მეორე, უფრო მღვრიე სახესხვაობას ნისლი და ბინდი ეწოდება<sup>230</sup>.

ძალედ საინტერესოა მესამე „გვარის“ — წყლის სახესხვაობათა პლატონისეული კლასიფიკაცია. წყალი, უწინარეს ყოვლისა, ორ ძირითად სახედ იყოფა: თბევადად და დნობადად. პირველი მოიცავს ყოველგვარ სიბინს, ხოლო მეორე — მყარ სხეულებს, რომლებიც ცეცხლის ზემოქმედებით დნებიან (პლატონი, ცხადია, პირველ რიგში მეთვლებს ვულისხმობს). ამ კლასის ორევე ემპირიულად აგრძელებს ნივთიერებათა თვისებების სხვადასხვაობა „ტიმოსისში“ მიხედვით, მათი მიკროსტრუქტურებით ვანისაზღვრება. პირველი ჯგუფი თბევადია

მიტომ, რომ წყლის პატარა და არათანაბარი, ე. ი. არარეგულარული ნაწილაკებისაგან შედგება, რომლებიც სწორედ ამ არარეგულარულების გამო მკვლაროდ ვერ ექცობიან ერთმანეთს და თავისუფლად გადაადგილებიან ერთიანობის მიმართ, როგორც თავისთავად, ისე გარეგან ფაქტორთა ზემოქმედებითაც. მაშინ როდესაც მეორე ქვემო უფრო დიდი და ერთგვაროვანი ნაწილაკებისაგან შედგება, რაც განპირობებს მასში შემაჯალ ნივთიერებათა მტრულდგომას და სიმკვრივეს. უწინააღმდეგველად, აქ ივლენს მძებნა ოქრო, რომელიც წყლის ყველაზე პატარა, ერთგვაროვანი ნაწილაკებისაგან შედგება და ამიტომაც ყველაზე მკვრივია. შემდეგ მოდის „დაბანტი“ (რკინა, ფილალი, რკალი?) და, ბოლოს, სპილენძი. სპილენძი მიწის მცირეოდენი მინარევის შეიცავს, და როცა ეს მინარევი გამოიყოფა და ხილული ხდება, სპილენძის ენაგად იწოდება... აქ არსებითი ის ვახსავთ, რომ შეტალთა ფიზიკური თვისებებზე მათი მკეროსტრუქტურითა განსაზღვრული, ისევე როგორც თანამედროვე ფიზიკის თუ ექსპერიმენტულ ქიმიისა.

დაბოლოს, მიწის სახესვითობებს პლატონი აკეთუნებს ქვას, თიხას, მარილს, ცეხს და ა. შ. მათი სხვადასხვაობა განპირობებულია როგორც ამ ნივთიერებათა შემადგენლობაში შემავალი მიწის ნაწილაკთა სიდიდით, ისე მათში სხვადასხვა ნივთიერებების, უპირატესად, წყლის მინარეგების არსებობითაც. მკვრივი ქვები (მინერალები) წყლისა და ჰაერის ნაწილაკთა სრული განმზოლოების შედეგად წარმოიქმნებიან; ამასთან, მიწის ნაწილაკები ცარიელად დარჩენილ შედეგებს აესვენებს და ისე მკვრივდება, რომ ამ ნაწილაკებს შორის უკვე აღარ რჩება უსუფლები, სადაც შეიძლოდა შეედრება ორივე განმზოლოებული სტიქიონის ნაწილაკებს. თუ ქვა მიწის თანაბარი და ერთგვაროვანი ნაწილაკებისაგან შედგება, ის გამოირჩევა და ლამაზ სახესვითობებს ვაძლევს: წინააღმდეგ შემთხვევაში კი ნაკლებად ლამაზსა და ნაკლებად გამჭვირვალ სახეებს ვიღებო. მკვრივი ქვები შეიძლება დაიმალონ მხოლოდ ცეცხლის ზემოქმედებით, რომლის მოძრავსა და ნატიფ ნაწილაკებს შეუძლიათ შეაღწიონ ქვის შემადგენელი მიწის ნაწილაკებს შორის დარჩენილ პაწაწინა უსუფლებში. მიწის ნაკლებად მკვრივი სახითიანი კი შეიძლება დანარჩენი ორი სტიქიონის ზემოქმედებითაც დაიშალოს. ზოგიერთი მთავანი მიწისა და წყლის ნაწილაკთა ნახავად გვევლინება; თანაც, ერთნი უფრო ნაკლებ წყალს შეიცავენ, ვიდრე მიწის, — ასეთია მინის მონათესავე ყველა სახეობა, ისევე, როგორც ვერცხვით ფრთხილი დნობადი ქვები. მეორენი, პირაქით, უფრო მეტ წყალს შეიცავენ; ასეთია ზოგიერთი მსუბუქი სხეული, რომლებსაც სხვადასხვა ცვილი თუ ნელ-ურჩენლად ვაგაძლევს<sup>211</sup>.

ამ გვეყნად ყველაფერი, გეგანტური თანავარსკვლავედებით დაწყებული და პაწაწინა მუქლით დამთავრებული, მიკროელემენტების — ატომებისაგან შედგება. უსასრულოა ამგვეყნური არსთა, სავანთა თუ მოვლენათა რიცხვი, ატომები კი უსასრულოა თავისთავად. უსასრულობისაგან წიადში. პლატონის მთელი სფერული სამყარო მკაცრად სტრატეფიცირებულია, ოთხი კონცენტრული შრისა თუ ფენისაგან ამის შემდგარი, რომელთაგანაც თითოეული, „ანანკეს“ — აუცილებლობის — მარად მოქმედი ინერტულობის ძალით, ოთხი მატერიალური სტიქიონის — ცეცხლის, ჰაერის, წყლისა და მიწის შემნაგირი ადგილია, მათი მუდმივი საშუალოლი. ამათგან ყველაზე უწინაგირი მიწის სფერული შრეა, ყველაზე კიდურა კი ცეცხლის შრე, რომლის გარეგანი ზღვარი უძრავ ვარსკვლავთა სფეროს თანხვდება და რომელშიც თავ-თავის წრულ ტრაექტორიებზე მოძრაობს ყველა ციური მნათობის ცეცხლოვანი სხეული. რაც შეეხება ჰაერისა და წყლის სტრატოსფერობებს, მათ საშუალო პროპორციული ადგილი უჭირავთ ცეცხლისა და მიწის შრეებს შორის.

პლატონის კოსმოლოგიაში განსაკუთრებული სტატუსი ეკუთვნის ცეცხლოვან სტრატოსფეროს, ვარსკვლავების უბრუნელ საშუალოლ, ვარსკვლავებისა, რომლებიც „ტემპოსის“ მიხედვით, „მარადისა მყოფლ დღეთებრივ არსებებდა“ გვეყნობიან<sup>212</sup>. საკმარისია ითქვას, რომ კოსმოსის მამოძრავებელ ძალთა გეგანტური სასწორზე სწორედ ვარსკვლავთა ზემდადერი გამოსხვება უძირისპირდება ინერტულობის ანანკესულ ტრენდენციას, რომლის თანახმადც ყველა მატერიალური სტიქიონი თავის „ბუნებრივ ადგილს“ იყრის თავს და რომელიც ასევე მოგვაგონებს ანატორე დენაბიზის კლასიკურ პრინციპს: მსგავსი ყოველთვის მსგავსისაყენ მიიხვდება. სწორედ ვარსკვლავთა გამოსხვება არღვევს იმ სახედისწერო წინასწორობას, რომლის დამყარებასაც ცილოლობა ანანკეს (აუცილებლობის) ინერტიული ძალისიხლება და ამრიგად, საბოლოო ვახვების, უძრავობისა და სიყველითგან ძისნის სამყაროს; სწორედ ვარსკვლავთა გამოსხვების ძალითაა, თავისი „ბუნებრივი ადგილიდან“ ამოვარდნილი ცეცხლის მასრი და მობილერი „ატომები“ — ტეტრაედრები“ (დღეს ვიტყვით — „ფოტონები“) რომ გაიფარცნებიან ჰაერის, წყლისა და მიწის მათთვის უცხო სფეროებისკენ და ამღვრევენ და ამფოთებენ ანანკეს ძალით დამყარებულ წინასწორობასა თუ წესრიგს. სინათლის სიხვისანი კონები კილთ კილდმდ გაწწონიან მიუღს სამყაროს. აქ ჩვენს წინაშე დაახლოებით იგივე სურათია, ესოდენ ცხადად და მკაფიოდ რომ ეხატებოდა ენოქანორა და ვინის ნათელმზილველ შერებას: „L'aria è piena d'infinitè linie rette e radiose insieme intersegate e intesate senza occupaticne luna dell'altra rapresentano

aqualunche obieto lauera forma della lor cagione".  
(საყერი სხვადასხვა ფორმის სწორი შპრწყინავი ხაზებით, რომლებიც  
ერთმანეთს ეკეთენ და ეწევიან, მაგრამ არასოდეს ერწყმიან ერთობის  
და რომელიც თითოეული საგანი წარმოადგენს თავის მიზეზის  
ვეშვარტი ფორმისა) 225.

მოვით, თვალს ვგავრდევით ცეცხლოვანი ტეტრაედრების მოძრაობას ვიდრე წყლის სტრატოსფეროვან, რომელიც ყველაზე ახლოსაა მიწასთან. თავიანთი „ბუნებრივი ადგილიდან“ გამოტოვებული ტეტრაედრების კინეტიკური ენერჯია გარდაცვალდა იწვევს მათ შეჯახების წყლის იოსაედრებთან, შვიდად რომ ნებისობენ თავიანთ ვრცელ რეზერვუარში, პაერის ფენასა და დეჟანქმის ზედაპირს შორის. შეჯახების პროცესში, ტეტრაედრების პასრის წიბოებისა და მახვილი კუთხეების ყოველსაგანვეთი მოქმედების გამოისობით, იოსაედრთა ურცხვი სიმრავლე იზღუდა ელემენტარულ სამკეთხედუნდად, მაგრამ, მეორეს მხრივ, იოსაედრთა რიცხობრივი სიჭარბისა და მათივე განზომილებათა სიდიდის გამო, ცეცხლის მრავალი ნაწილიც ისრინება მათ ირველიე მჭიდროდ გარშემოჭარულ იოსაედრთა შეჭრისებ შორის და მათი ნაშხვრეებში, წყლის სტრატოსფეროს იოსაედრთა გარემოცვაში, უთავბოლოდ მიმოიფანტება ელემენტარულ ნაწილათა ურცხვი სიმრავლის სახით, რომელიც თავისე არცერთს აღარ ატყვიან აღრიდელი წარმოშობის კვალს.

მაგრამ, აი, ელემენტარული სამკეთხედები, სტრუქტურის კონონების შესაბამისად, ყველა შესაძლო ვარიანტით ესადაგებიან და ერწყმიან ერთმანეთს, რის შედეგადაც წყლის წიაღში წარმოიქმნება სპირსხვადსხვა სახის — წყლის, ცეცხლისა და პაერის ახალი, წესიერი მრავალწახანავა სხეულები, სწორედ ამ მომენტიდან ერთგვანა თამაში ანანცეს ძალმოსილება, რომელიც მჭიდროდა დაკავშირებული სტრატოფეროვრული სამყაროს ფენივან სტრუქტურასთან. განზომილებული სამკეთხედების შეერთებით წარმოქმნილი ახალი იოსაედრები ადგილზევე რჩებიან, ინერციის კანონის ძალით, რომელიც თითოეული მრავალწახანავის მისთვის ნიშნულ „ბუნებრივ ადგილს“ მიუჩენს. ოქტაედრები და ტეტრაედრები კი, პირიქით, იმავე ძალის მეორე ფორმის მოქმედებით, რომლითაც მსგავსი მსგავსისაყენ მიიხილება, მათი ბუნებისათვის პომოქმედური სტრატოსფეროებისევე გასხვლტებიან. ასე რომ, ოქტაედრები უშუალოდ ერთი „სართულით“ შივლა ვადაინაცლებენ (თუკი სიტყვა — „შივლა“ საერთოდ მართებულია სფერულ სამყაროში), ტეტრაედრები კი პაერის სტრატოსფეროს გავლით უძრავ ვარსკვლავთა სფეროს აღწევენ. მაგრამ აღმასკლისას ცეცხლოვანი ტეტრაედრები აღარ იწევენ წყლის იოსაედრებისა თუ პაერის ოქტაედრების დაშლს, ვინაიდან აღმასკლისას

მათი კინეტიკური ენერჯია გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე დაღმასკლისას. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც აღწევენ ვარსკვლავების. ასე რომ, მათი „მოგზაურობის“ საბოლოო პუნქტი სიწყისის ემთხვევა და, ამრიგად, იხურება ერთი მზლიან ციკლი“ 226.

სამყაროს სულის ანალიზისას ხაზგასმით იქნა აღნიშნული, რომ ის კოსმოსის მამოძრავებელ პრინციპად გვევლინება: ახლა კი ვხედავთ, რომ მატერიალურ ნაწილაკთა მოძრაობა თითქმის პიროვნულად ადგილონომიურად, არსებითად, სულის ჩაურევლად ხორციელდება. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ მატერიალური მოძრაობა თავისთავად და მარადილია? რადია „ტიმეოსი“ დაწერილენით არ განმარტავს ამ საკითხს, კაცში არსებობა ივარაუდოს, რომ ჩვენი კითხვის პასუხად თითქმის შეიძლება მიჩნეულ იქნეს არისტოტელის „მეტაფიზიკის“ ერთი პასაჟი, სადაც იდალოსტი პლატონი და მატერიალისტი ლევიპო ვეერდი-ვეერდ დანანა: ერთი და იმავე კონცეფციის — მოძრაობის მარადილიობის „ტეტრაედრულ“ არიან გამოყვანილი. შესაძლოა, სწორედ „ტიმეოსის“ სათანადო პასაჟთა ბუნდოანებით იყოს გამოწვეული მოწიფის საყვედური მასწავლებლის მიმართ — განუსაზღვრელად ტოვებს ამანია მოძრაობის წყაროსაც და მიზეზსაც:

„ამიტომ ზოგიერთნი ვარაუდობენ მარადიულ ქმედითობას, მავალითა, ლევიპო და პლატონის: ისინი ამტკიცებენ, რომ მოძრაობა მარადის არსებობს, მაგრამ მაინც რატომ არსებობს და კერძოდ, რანაირია, ამაზე აღარაფერს ამბობენ და არც მიზეზს ასახებენ, რატომ ხდება ასე და არა სხვაგვარად. ვინაიდან არაფერი არ მოძრაობს თვითნებურად, არამედ ყოველთვის უნდა იყოს გარკვეული საფუძველი, თუ რატომაა, რომ რაღაცა, აი, ასე, ბუნებრივად ვით მოძრაობს, ისე კი — იძულებით, ვინებისა თუ სხვა რამის ზემოქმედებით, და შემდეგ — რომელი მოძრაობაა პირველად? რაღვან ამის ახსნა ძალზე არსებითია. თვით პლატონს არ შეუძლია დაიძოწოს მოძრაობის აღსაბამი, რასაც ის ზოგჯერ ვარაუდობს, კერძოდ, ის, რაც თავის თავს ამორჩევს“ 227 ვინაიდან, მისი მტკიცებით, სული მოძრაობაზე გვიანდელია და სამყაროსთან ერთად იწეება“ 228.

არისტოტელე მართალია, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ მართალია. ელემენტარული ნაწილაკები სამყაროს სხეულზე უწინარენი არიან, რასაც თვალნათლედ გვიმოწმებს „ტიმეოსის“ ერთი ნიშნური პასაჟი: „აი, როგორია მოყვლე დასკვნა, თანამხად ჩემი მსჯელობისა: „არსებობის კეშვარტი არის, არსებობს სიერცე თუ ადგილი და არსებობს დაბადება, საშახთონად არსებობს სპირსხვადსხვა რამ, რომლებიც ცაზე უწინარეს დაბადდენ“ 227. ჩვენთვის ნათელია, რას ნიშნავს აქ „კეშვარტი არის“ („ონ“): ეს — ევკალიური სინამდვილე; ასევე ნათელია „სიერცის თუ ადგილის“ („ხორა“) მნიშვნელობა: ეს — ყოვე-

ლსმიმჭრელი მატერიაა. მაგრამ რას ნიშნავს „დაბადება“ (აგენე-  
სის\*) თუ „ქმნადობა“ (ცინადან აგენესის“ ქმნადობის სინონიმია)  
ამ კონტექსტში? რა დაბადებაზე ან რა ქმნადობაზე შეიძლება ლაპ-  
არაკი საშვარის დაბადებამდე? (რადგან ჩვენ ვიცით, რომ „ცა“ „ტა-  
მეოსში“ იგეგვა, რაც „სამყარო“<sup>218</sup>). აჰ, ეს უკანასკნელი ტერმინი  
კი აშკარად გუთვებარის დარება ჩვენთვის, თუ არ გავითვალისწინებთ,  
რომ საქმე ეხება მხოლოდ და მხოლოდ ოთხი პირველადი ელემენტი —  
ცეცხლს, ჰაერს, წყლს და მიწის დაბადებს, რომელთაგანაც  
შემდგენდა შეითხზას სამყაროს ხილულ სხეულს.

თუ გავიხსენებთ, რომ იდეალური სინამდვილე აბსოლუტური გან-  
საზღვრელობაა, ხოლო „აღვილი“, „სივრცე“ თუ „მატერია“ პირ-  
იქით, აბსოლუტური განუსაზღვრელობა, მაშინ ჩვენ ერთზე კიდევ  
უნდა მივუბრუნდეთ ზღვრისა და განსაზღვრელის „ფიციფობისი-  
ვლ“ კონცეფციას და ამ ორი ურთიერთსამართლიანი საწყისის დია-  
ლექტიკურ სინთეზს — რიცხვის ბუნებას. „ესთეტიკური და უკვლ  
სხვა საგნის პირველ პრინციპად — წერს ა. ლუსევი, — პლატონი „გა-  
ნუსაზღვრელს“ სახავს. მისი რაოდენობრივი განსაზღვრელობის შე-  
ნახება პლატონის მსჯელობის თანხმად, ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ეს  
პრინციპი „უწყვეტ ქმნადობაზე“ დაიყვანება, რომელშიც არც დასა-  
წყისია, არც საშუალი, არც დასასრული“<sup>219</sup> და რომელიც სხვა არა არის  
თუ არა ამა თუ იმ მყარ სტრუქტურათა სივრთი ფონი. პლატო-  
ნის მეორე პრინციპია „სივრცე“ — სივრცის, ფორმალური განსა-  
ზღვრელობის, ზღვარების, უწყვეტობის პრინციპი. თავისთავად  
იდეალური ეს ორი პრინციპი არა მარტო უტყობა ერთმანეთისთვის, არა-  
მედ ურთიერთსამართლიანობაც. თათოველი მათგანი თავისთავად  
სრულად აბსტრაქტულია, არაფერია მათიან სტრუქტურას არა ქმნის  
(არამედ მხოლოდ აუცილებელი მომენტის სახით შედის მასში) და ამი-  
ტომ უწყალოფია. რაღაც კონკრეტული მიიღება მხოლოდ მათი დია-  
ლექტიკური ერთიანობის ანუ, როგორც პლატონი ამბობს, მათი შე-  
ზავების შედეგად. რაკი ეს ნახავი დაინაწილებულია და უწყვეტ  
განსაზღვრელობის დანაწილებება და, იმედროულად, ზღვრის ქცევა  
აბსტრაქტული პრინციპიდან კონკრეტული მოვლიანობად, ამიტომ პლა-  
ტონი „რიცხვს“ უწოდებს ესთეტიკურ თუ უკვლ სხვა საგნის შესა-  
მე პრინციპს. ამ ტერმინის ნაცვლად დღეს ჩვენ ვიხმარდით ტერმინს  
„სტრუქტურა“. მაგრამ ფაქტობრივად პლატონის ეს შესამე ტერმინი  
უფრო მეტია, ვიდრე სტრუქტურა. მასში ხომ შედის განსაზღვრე-  
ლი, განსაზღვრელი კი, პლატონის მიხედვით, ქმნადობაა. ასე რომ,  
პლატონის შესამე პრინციპი ამა თუ იმ უძრავ სტრუქტურაზე კი არა,  
ქმნად სტრუქტურაზე მეტვეულებს. ამ სტრუქტურის ქვეყრისას ჩვენ  
ცხდებით, როგორ გადადის მისი ერთი ელემენტი მეორეში, ვგრძნობთ,

როგორ განვიხილავს მის მთლიანად ცხოველყოფილ მოძრაობა, გვეს-  
ის თვით სიცოცხლის სენოქვა, მასთანადე, პლატონის „რიცხვითი  
ნახავი“ წყვეტილობისა და უწყვეტობის დიალექტიკური სინთეზია,  
მოცული როგორც მოძრაი სტრუქტურა“<sup>220</sup>.

სამყაროს სხეულის შექმნას ქრონოლოგიურად თუ ლოგიკურად  
წინ უძრავს ელემენტარულ ნაწილათა არსებობა, რაც ვინების  
ქვედაობის ნაყოფად ვერ ჩათვლება. მაგრამ როგორ ესახება პლა-  
ტონის ელემენტო ფორმირების დიალექტიკური პროცესი, რომელ-  
იც უთვლებების ორივე პოლარული ასპექტი მონაწილეობს: ერთის  
მხრივ, იდეალური სინამდვილე, უცვლელობის, სიმყარის, განსაზღ-  
ვრელობის მარადიელი საწყისი, ხოლო მეორეს მხრივ, „სივრცე“, ანუ  
„მატერია“, რომელიც მუდმივი ცვალებადობის, ქაოტური დენად-  
ობის, განუსაზღვრელობისა და ამორფულობის დასაბამიერ პრინციპად  
გვესწრება. სწორედ ამ სამართლიანი საწყისის დიალექტიკურ სინ-  
თეზს ეფუძრება პლატონი „ტიმეოსში“, ვინაიდან სამყაროს შექმნა,  
ანსებთად, სხვა არა არის რა, თუ არა განუსაზღვრელობისთვის  
განსაზღვრელობის მიინებება და ამრიგად, ქაოტური უწყვირგობის  
სიმართის მეფობა წესრიგად ქცევა, რაც, უწინარეს ყოვლისა, ოთხი  
პირველადი ელემენტის ორგანიზებას გულისხმობს: „კოსმოსის შექმ-  
ნის რომ შეუდგა, დემოკრი, უწინარეს ყოვლისა, ეს ოთხი საწყისი  
მოწყობრივად იღებებისა და რიცხვების მეშვეობით... დემოკრიმა სულ  
სხვა მდგომარეობიდან გამოიყვანა და მათთვის შესაძლო უხეზავს  
შევერებობათა და სრულქმნადობის შემოსა ისინი“<sup>221</sup>.

როგორც ჩანს, ამ ბუნდღიან სიტყვებში ივლსებება ორი ძირ-  
თადი მომენტი: 1). ქაოტურად მოძრავ სივრცეში ასევე ქაოტურად  
მოძრავთვე ქმნად სტრუქტურულ ოდენობათა ქცევა მყარ, სტაბი-  
ლურ სტრუქტურებად; სწორედ ამას უნდა მივგანვიხედდეს სიტყვე-  
ბი, რომ „დემოკრიმა სულ სხვა მდგომარეობიდან გამოიყვანა ისინი“...  
2). წესიერ მრავალწახანაობა (უხეი, ოგოსოდური, ოქტაედრი, პირამიდი)  
ნატივ არქიტექტონიკულ ვარსკო მათი მოქცევა და ვეულახე შევნი-  
ვით. აველაზე სრულქმნადი თანაფარდობის — პროპორციული თანა-  
ფარდობის დამყარება მათ შორის, რაზედაც ზემოთ უკვე მსჯელობს  
პლატონი<sup>222</sup>. „ტიმეოსის“ ტექსტობრივი მონაცემების მიხედვით  
კორექტირებით, ჩვენ ვიტყვით, რომ ელემენტარული ნაწილაკების  
შექმნაში იღებები კი არ მონაწილეობენ, არამედ მათემატიკური საგნე-  
ბი და რიცხვები, რითაც ერთხელ კიდევ თვალდაუხედავად დასტურდება  
ინტელიგენციურება და გრძობად-კონკრეტულ სამყაროს შორის ის  
ინტერმედიალური, შეუადღებრი როლი, რასაც პლატონი ანიჭებს მათე-  
მატიკურ საგნებსა და მათემატიკურ თანაფარდობებს, ამრიგად,  
თუ სამყაროს სულ მათემატიკური თანაფარდობებით არის შეთხზუ-

ლი, მათემატიკური საგნები ანალოგიურ როლს ასრულებენ გეგმურ-ტარული ნაწილაკების, ხოლო ამ უკანასკნელთა მეშვეობით — სამყაროს სხეულის ფორმირებისას.

იდეალური სინამდვილის მიერ ელემენტარული ნაწილაკებისათვის თავს მოხვეული წესრიგი იმდენად სრულყოფილია, რამდენადაც კოსმიურ გონების ხელწიფება „დაარწმუნოს“ პატერია, მოდერკოსმის ჩვენგი და ინტრეტული ძალა და თავის მოყვანილ აქციოს იგი მინეზობრიობის ეს ორი საწყისი ერთდროულად მოქმედებს პლატონის სამყაროში. ზეენ ვიცით, რომ თავის დიალოგებში პლატონი არაერთგზის კეთლებდა კეთილბოძის (მინეზობრიობის) პრინციპს<sup>245</sup>. აქ ურთულ კიდევ უნდა აღვნიშნოთ, რომ „ტიმეოსი“ განიხილავს მიზეზთა ორ გვარს. პირველია ღვთაებრივ მიზეზთა გვართ: დემურტროსი, რომელიც, პლატონის აზრით, სამყაროს შემოქმედად გვემორჩება და იდეათა ინტელიგენიური სინამდვილე, რომლის მიხედვითაც იყენებს სამყარო. მეორე გვარს, რომელიც დამხარე საშუალებებზე აღყენებს შემოქმედ, მატერიალური მიზეზები, უწინარეს ყოველისა კი — ცეხლი, ჰაერი, წყალი და მიწა მიეყოფნება, ვინაიდან ისინი სამყაროს სხეულზე უწინარესი არიან, ქრონოლოგიური თუ არა ლოგიკური თვალსაზრისით მაინც. ეს კი ნიშნავს, რომ შეუძლებელია იდეალური სინამდვილიდან გრობად-კონკრეტულ სინამდვილეზე გადასვლა ინტარმედული მატერიალური საწყისის გაიგეშე, რომელზეც უკვე მიიღო გეომეტრული სტრუქტურა.

ღვთაებრივ ანუ იდეალურ მიზეზთა ქმედითობის პრინციპი სული ვინაიდან, პლატონის მიხედვით, „მხოლოდ სულისთვისია ნიშნული გონების ფლობა“<sup>246</sup>. სწორედ სულის მეშვეობით ქმნის დემურტროსი ყველაფერს, რაც სრულქმნილია, მშვენიერი და კეთილი, — სამყაროს კანონზომიერებას, მის მწყობრ წესრიგს, მის მათემატიკურ და მუსიკალურ სტრუქტურას, პრაქტიკულ თანაფარდობებზე დაფუძნებულ ნატიფსა და დახვეწილ აქტიუტეობებს; სულის მეშვეობითვე უზრუნველყოფს იგი უძრავ ვარსკვლავთა სფეროსა და პლატონების სფეროთა ერთიანობისპირისპირის წრებრუნვას, რაც განაპირობებს სამყაროს დინამიურ რეჟიმს, კოსმიური აზრის მოძრაობის თვითშემენების გზაზე, ერთის სიტყვით, სამყაროს ჰარმონიას. მაგრამ პლატონმა იცის, რომ სამყარო მარტოოდენ სრულქმნილება, მარტოოდენ სიკეთე და მშვენიერება როდესაც, კოსმიური წესრიგის სრულყოში, უნივერსალური კანონზომიერების, ჰარმონიული სტრუქტურის წიაღში თავს იტყვის ქაოსის ძალა თავაყვეტილი თარეში — ბოროტება, სიმბინძვე, უწესრიგობა, შუმიხვევაობის უაზრო და უსაზნო თამაში, დისჰარმონია. პლატონის წინაშე არა დგას სიტუალთა ილტრანატივა: „სამყარო ან მწყობრი სისტემა, ან აღრეულ-

მა და ქაოსი“<sup>245</sup>. არა, პლატონის მოფლალქმა, ამ მხრივ, გაცილებით უფრო ახლოსა პოლ ვალერის თვალსაზრისთან: „შენ შეგიძლია, საერთო ნება-სურვილით, სამყაროში ისევე დინახო წესრიგი, როგორც უწესრიგობა... თუ სამყაროს წესრიგი შემოქმედს გულისხმობს, მაშინ მისი უწესრიგობა გულისხმობს... შეცდომას თუ საპირისპირო ძალას. უკვე არ იცის, ეს წესრიგი დაცვიერების გარკვეულ ხარისხსა და მიახლოებისთვის გარკვეულ საფეხურს უკავშირდება“<sup>246</sup>.

სამყარო, „ტიმეოსის“ ავტორის აზრით, სხვა არა არის რა, თუ არა მწყობრი წესრიგისა და ქაოტური უწესრიგობის დიალექტიკური ერთიანობა. კოსმოსი და ქაოსი, წესრიგი და უწესრიგობა, პოლ ვალერისა არ იყოს, ორი სხვადასხვა, ერთიანობისპირისპირ მიზეზობრივ იღებს დასაბამს: მარველი — იდეალურ, ხოლო მეორე — მატერიალურ მიზეზთა შედეგად გველინება. ამათგან პირველადნი არიან იდეალური მიზეზები, ხოლო რაც შეეხება მატერიალურ მიზეზებს, ისინი მეორეულ, ანუ დამხარე მიზეზებად გველინებან. ამიტომ, იმეციებს პლატონი, „გოგონისა და კოდნის მოყვარეს მართება, უწინარეს ყოველისა, განიხილოს ის მიზეზები... რომელთა გონივრული ქმედითობის შედეგად გველინება სიკეთე და მშვენიერება“ და მხოლოდ შემდეგ გადავიდეს იმ მიზეზებზე, „რომელთა უთავბოლო ქმედითობითაც დასაბამს აძლეს ყოველგვარ შემთხვევითობას და უწესრიგობას“<sup>247</sup>. მაგრამ იდეალური მიზეზები დღესაქმენი არიან, მატერიალური მიზეზები კი — ცხელი და ხილული. სწორედ ესაა, პლატონის აზრით, ყველა მათგანის საბედისწერო შეცდომის წყარო, ვინც სამყაროს მარტოოდენ მატერიალურ მიზეზთა ქმედითობის შედეგად სახავს.

მატერიალურ მიზეზთა პერსონიფიციტებულ სიმბოლო — აეცლებლობა — თავის თავში აერთიანებს გამღვდებულ ცვალებადობას, თვითგანსხვავებას და სრულ ამორტულობას, მაშინ როდესაც იდეალური მიზეზი — ინტელიგენიური სამყარო — უცვლლობის, თვითივეობისა და ფორმალური განსაზღვრელობის ფაქტორად გველინება. ეს დამირსპირებულობა განაყუთრებით გვეყობად ირინ თავს სამყაროს არსებობის ყველა დაბად — ტომურ დონეზე, სადაც ელემენტარულ ნაწილაკთა ქაოტური მოძრაობა თითქმის სრულიად გამოირცხვს სტაბილურ სტრუქტურათა არსებობას და აქედან გამომდინარე, ყოველგვარ რაოდენობრივსა თუ თვისობრივ განსაზღვრელობას. მაშინ როდესაც ვარსკვლავთთში, სამყაროს არსებობის მწვერვალზე, ეს ურთიერთგამომრიცხველ დამირსპირებულობა კომპლემენტარულ პრინციპს — „სხვა-ობად იქცევა, რაც შესაძლებელი ხდის სამყაროს ჰარმონიას. ზემოთ ზეენ უკვე ვნახეთ, რა განუზომელ მნიშვნელობას ანიჭებს პლატონი ვარსკვლავურ გამოცხვებას და თვით

ვარსკვლავებს, რომლებიც „ტიმოვისში“ პირდაპირ ვალმერებულნი არიან. მართალია, პირწმინდად ფორმალური ასპექტით, მაგრამ პლატონის აზრი აქაც უძველესი უახლოვება თანამართლებს ასტრონომიის თვალსაზრისის, რომლის მიხედვითაც ვარსკვლავები სულ უფრო და უფრო გადამწყვეტ როლს ასრულებენ კოსმოსის ცხოვრებაში და თვით საეპარხოს სიკოტხლის წარმოშობის ენეგეტიკური პროლეგმის ახლებური გააზრებისას<sup>248</sup>.

ქვემოთ ჩვენ ერთხელ კიდევ მივუბრუნდებით ვარსკვლავების, როგორც „დროის საეპარხოსა“<sup>249</sup> ერთ-ერთ უძნაძველესს ფუნქციას. საქმე ისაა, რომ დრო, პლატონის მიხედვით, ვარსკვლავების, ცის, სამყაროს დაბადებისთან ერთად შეიქმნა. მაგრამ თავდაპირველად დავუყოფოთ „ტიმოვისს“ საკმაოდ ვრცელ პასუხს: „და როდესაც მაშინ იხილა, რომ მისი ნაშეიერი<sup>250</sup>, მარადის მყოფი ღმერთთა ეს პეზიმარტი ხატი მოძრაობს და ცოცხლობს, სიხარულია და შვებით აღივსება და განიზრება, ხატება კიდევ უფრო ხატულ დაძველებიან ნიშნულსათვის, და რაც ნიშნულს მარადიულ ცოცხალ არსად გვევლინება, მან ვადაწყვიტა, შეძლებისამებრ, ამ მხრედაც მივღწია მსგავსებისათვის. მაგრამ საქმე ისაა, რომ ზემოხსენებული ცოცხალი არსის ბუნება მარადიულია, ხოლო იმას, რაც იზადება, შეუძლებელია მთლიანად მიენიჭოს მარადიულობა. ამიტომაც მან განიზრახა შეექმნა მარადისობის ერთგვარი მოძრაობა ასლი და, ცის წესრიგთან ერთად, უძრავი და ერთადერთი მარადისობის ხატულ შექმნა მოძრავი და მარადმდინე ხატება, რომელიც რიცხვთა ეპონის თანხმად მივლინება და არმწესად დროს ეუწოდება ჩვენ. რადგანაც ცის დაბადებისაზე არც დღეები იყო და არც ღამეები, არც თვეები და წლები, არამედ მათი დასაბამი ციური წესრიგის შექმნასთან ერთად იქმნა დასახტული. ყველა ისინი დროის ნაწილები არიან, ხოლო „იყო“ და „იქნება“ — დროის სახეები, და როცა მარადიულ არსს მიეაწერთ მათ, ჩვენდა შეუძენველად, შეიძლება ვუშვებთ. რადგან ამ არსზეც ვამბობთ ხოლმე, რომ ის იყო, არის და იქნება. მაგრამ, მართლად რომ ვანგანავით, მას შეხვედრის შილოდ და შილოდ „არის“, მაშინ როდესაც „იყო“ და „იქნება“ მარტოოდენ იმის მიმართაა სახმარია, რაც დროში იზადება და იქნება, რადგანაც ერთი-და-ერთივე სხვა არა არის რა, თუ არა მოძრაობა და ცვალებადობა. ხოლო იმას, რაც მარად უცვლელია და უძრავი, არ შეხვედრის, დროთა განმავლობაში უხსენის გახდეს ან უმარწყმესი, ანდა ოდესმე, ანაიმოდ თუ მომავალში, ანდა თუ იმად იქნეს, ან კიდევ, საერთოდ, დაიბრუნოს რამე ისეთი, რაც დაბადებულ შედარებით აღქმად სავანათა ნაკვალ ატყვად წილად. არა, ყოველგვარ ეს მხოლოდ მარადისობის მშაბეი და რიცხვთა ეპონის თანხმად მარბოლი დროის სხვადასხვა სახეებია. ავეც არ იყოს, ჩვენ

იმასაც ვამბობთ ხოლმე, რომ შექმნილი „არის“ შექმნილი, ქმნალი „არის“ ქმნალი, შესაქმნელი „არის“ შესაქმნელი, ან არარის „არის“ არარის და სხვა მისთანანი, მაგრამ ყოველგვარ ეს ძალზე შორსაა სიზუსტისაგან...

ამრიგად, დრო ცასთან ერთად დაიბადა, რათა ერთად დაბადებულნი ერთადვე დაშლილიყვნენ. თუკი ოდესმე მოუწყვდათ დაშლა; ხოლო დროის პირველნიშეში იყო მარადიული ბუნება, რათა, შეძლებს-მისამებრ, უფრო მეტად დასმგავსებოდა მას. რადგანაც პირველნიშეში არსებობდა მთელი მარადისობის მომცველი, მაშინ როდესაც მისი ხატება დაიბადა, არის და იქნება მთელი დროის განმავლობაში<sup>251</sup>. ასეთი იყო ღმერთის განსა და შთანთქმერი დროის დაბადებისთან დაკავშირებით; და აი, დროის დასაბადებულ დაიბადებულ მზე, მთვარე და ხუთი სხვა მნათობი, რომლებსაც პლანეტებს ეუწოდებთ, დაიბადნენ, რათა განეხსაზღვრათ და დაეცათ დროის რიცხვი“<sup>252</sup>.

შედეგად, რაც ამ ვრცელი ციტატის ანალიზისას თვალში გვეჩვენება, ეს ვახლავი დროისა და სივრცის სხვადასხვა სტატუსი<sup>253</sup>. ზემოთ ჩვენ დაწვრილებით განვიხილეთ პლატონის „სივრცე“ და „ღვინშით, რომელიც“ „შეუქმნელია“. და, გარკვეული მომენტით, — ინტენსივობა და სივრცის „თანამარადისი“, მაშინ როდესაც დრო შექმნილია და მარადისობის ერთგვარ მოძრაობა ხატულ თუ ასლად გვევლინება. ცის, ანუ სამყაროს შექმნასთან ერთად, ღმერთგონის ქმნის დროსაც, რომელსაც „ტიმოვისს“ ახსიათებს როგორც ერთადერთი და უძრავი მარადისობის მოძრაობა და რიცხვთა ეპონის მიხედვით მარადმდინე ხატების (მსოფლიო ფილოსოფიური აზრის მრავალფეროვნოვან ისტორიაში ესაა დროის ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური თეორია, რომელიც დიდი გავლენა მოახდინა ისეთი მოაზროვნეების შიოფლ-მედიკულომაზე, როგორიც არიან არისტოტელი, პლატონი, პროკლე, ნეტარე ავგუსტინე და სხვ. დროის მათეული კონცეფციები მერტ-ნაყიღები სისტემათი უკავშირდებიან დროის პლატონისეულ გაგებას, ან უშუალოდ მისგან იღებენ დასაბამს).

„ტიმოვისს“ მიხედვით, კოსმოსის მოწყობილობა და ქარმონიული მოძრაობა, გრძობად-კონცერტული სამყაროს დინამიზმი სხვა არა არის რა, თუ არა იდეალური სინამდვილის უძრავობის, მისი სტატურობის პროექტირება ქმნალობის წილში; ზუსტად ასევე, დრო — იმპერეპერი საგანთა და მოვლენათა არსებობის, მათი მოძრაობისა და ცვალებადობის ფორმა — უცვლელი და უძრავი მარადისობის ანალიზური პროექტად გვევლინება. „მარადისობა“ („აიონ“) პლატონისათვის ძირითად განსხვავდება ამ სიტყვის ჩვენი თანამართული გაგებისაგან. ამ ტერმინით „ტიმოვისს“ აღინიშნება არა ბუნდოვანი, გურკვეული და წერ კიდევ არარსებული მოვლედან აქ უკვე

ადარ არსებული წარსულისაყენ ცალხაზად და უკუმოუქცევიად შედინო „დროის“ (ზარინოს) უსასრულო ოდენობა, რომელიც წინ უსრრება, ან მოსდევს აწმყოს, ანამედ ერთგვარი ექსტრადემორალური (დროის მიღებით, დროის ვარემე არსებელი) რეალობა (ჩვენი „უდამო ვამი“, ილბათ, გველად სრულად და ამოწურავად გამოხატავს ამ ცნების მხარასს). დღევანდელი ვაგებით, „დრო“ სასრულია, „მარადისობა“ კი უსასრულო, მაშინ როდესაც პლატონის აზრით, ამ ორ ცნებას შორის რაოდენობრივ (კვანტობრივ) კა არა, თვისობრივი (კვალიტობრივ) სხვაობა არსებობს.

„ტემპოსის“ მარადისობა ინტეგრალური, ცალკეულ მომენტებად (წარსული, აწმყო, მომავალი) განწილველი დროა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მარადიული, წარუღველი აწმყო, რომელიც ხსინათღება ერთაღდერთი პრედიაკტით — „არს“. და პირიქით, საყვთრევე დრო ცალკეულ მომენტებადაა განწილული. მას თავისი ნაწილები („მერტი“) და თავისი სახეები („ეიდე“) აქვს. დროის ნაწილები დღეები და ღამეები, თვეები და წლები, სსებები კი — „იყო“ და „იქნება“ (ე. ი. წარსული და მომავალი). „არსის“ პლატონის მიხედვით, მარტოოდენ მარადისობის ატრიბუტია; რაც შეეხება დროს იმ მომენტს, რომელსაც აწმყოს ეწოდებთ ჩვენი, ის თითქმის კიდევ არსებობს და არც არსებობს, რადღა მხოლოდ და მხოლოდ წარსულისა და მომავლის ერთმანეთისაყენ ვამოქცევე ზღვრად, მსწრაფწარმავალ წამად თუ დროული ნაკადის ერთგვარ „ატომად“ გვევლინება. შეადარე არისტოტელეს: „ამრივად, რამდენადღაც „ახლა“ (არისტოტელეს „ახლა“ იტყვიან, რაც პლატონის „არის“, — ბ. ს.) სხვა არა არის რა, თუ არა ზღვარი, ის არ არის დრო და მხოლოდ თანხედლობათაა ნიშნული დროისათვის, ვინაიდან ზღვარი ეუთფენის მხოლოდ იმას, რის ზღვარად ის გვევლინება“<sup>254</sup>.

დასინაშნავია, რომ თუ პლატონი და არისტოტელე მხოლოდ რეალტური არსებობის ანეუტენ აწმყოს, როგორც დროის მომენტს, ე. ი. დეტობრივად ურყოფდნ მას, ნეტარი ავევლტრენისათვის, პირიქით, ერთადერთი რეალტრად არსებული მხოლოდ აწმყოა, რომელიცაც ის ზომის „იყო“-სა და „იქნება“-ს, ე. ი. წარსულისა და მომავლის რეალობის ხარისხს, რის შედეგადღაც როგორც ერთი, ისე მეორე დროის ფუქტორ მომენტებად წარმოგვიდგება, ვინაიდან წარსული (მვედარი აწმყო) უკვე აღარ არსებობს, ხოლო მომავალს (დამუბედველ აწმყოს) ჭარ კიდევ არ მიუღწევია იმ ფაზისათვის, როცა მასზე შეიძლება გვითქვას — „არის“, ე. ი. ჭარ კიდევ არ ზიარებია არსებობის. ნეტარი ავევლტრენს აზრით, სული უშუალოდ ჭერება და აღქვამს აწმყოს, მაშინ როდესაც წარსულს იგიონებს და მომავალს მყოლის, ამ სტანდარტობრივი კონცეფციის თანახმად, დროის არსებობა ადამინის

სულითაა განსაზღვრელი, სულით, რომელიც მიეღის, ჭერება და ითიონებს. თუ დროის ამ მომენტზე მაინც შეიძლება მსჯელობა, ისევე და ისევე ამ სუბიექტივებისტურ კონტექსტში: „არსებობს სამი დრო — აწმყო წარსულისა, აწმყო ახლანდელი დროისა და აწმყო მყოობადისა. ეს რაღაც სამი დრო მხოლოდ ჩემს სულში არსებობს, — სხვაგან ვერსად ვერ ვხედვე მათ: აწმყო წარსულისა მოგონებაა, აწმყო აწმყოისა — მისი უშუალო ჭერება, აწმყო მყოობადისა — მისი მოლოდინი“<sup>255</sup>.

უწრადღების ღირსია როგორც სხვაობის, ისე მსგავსების და მოლოდინის, თეორიული განვითარების კიდევ ერთი ასპექტი დროის პლატონურ, არისტოტელესუელსა და ნეტარი ავევლტრენის კონცეფციებში. არისტოტელესათვის საამყრო შეუქმნელია და დაუბადებელი, ე. ი. შეუქმნელის „თანამარადისობა“<sup>256</sup>, მაშინ როდესაც პლატონისა და ნეტარი ავევლტრენისათვის საამყრო შექმნილია, ე. ი. დასაბამი აქვს დროში. მაგრამ პლატონი დემოლოთ ეუღლის გვერდს მარადისობისა და დროის ურთიერთმომართობის, ანუ შემოქმედლის დაესაბამობისა და ქმნილების დასაბამისობის პრობლემას, რომელსაც ნეტარი ავევლტრენე შეიღ თავს მიუძღენის „ალსარებამში“<sup>257</sup> და დეტალური ანალიზის საყნად აქცევს თავის მეორე თხზულებაში „ღმერთის ქალქისათვის“, სადაც ის, სხვათა შორის, ერთმანეთისაყენ განასხვავებს ქმნილებას „დროში“ და „დროისთან ერთად“, თუმცა ეს მხოლოდ ზემოხსენებული პრობლემის წარმოუდგენელი სირთულის დაძლევის ცდაა და არა მისი გადამწყვეტი.

თუკი მართებულად განვსხვავებთ მარადისობასა და დროს, კერძოდ, იმას, რომ შეუძლებელია დროის არსებობა რამეე მოძრაყის ცელებადობის ვარემე, მარადისობისათვის კი უტეხთა ყუველგვარი ცვალებადობა, ეინ ვერ შეინაშნავს, რომ არ იქნებოდა დრო, თუკი არ იქნებოდა ქმნილება, რომელიც რაღაცნაირი მოძრაობით შეცდოდა რამესუ.. ვინ იტყვის, რომ საამყროზე უწინარეს ყუვე იყო სხვა რამ ქმნილება, რომლის ცვლილებითაც შეიძლება ედინა დროს? მაგრამ რაკი წმიდა და უქვეშაობრტისი წყირილი აზმობს, რომ „დასაბამად ქმნა ღმერთთან ცეად და ქუეყანამ“, რათა არიერ იღვწროს, თითქმის მანამდე შექმნილიყო სხვა რამეე — ამტომ ეკვერუვალად შეიძლება ითქვას, რომ საამყრო შექმნილია არა დროში („არ ტექმორო“), არამედ დროსთან ერთად („ყუემ ტემპორე“), ვინაიდან ის, რაც დროში იქმნება, ან ამო თუ იმ დროის შეზღვე, ან ამო თუ იმ დროზე უწინარეს იქმნება, ესე იგი, წარსულის შეზღვე და მომავალზე უწინარეს, მაგრამ შეუძლებელია წარსული ყუფილიყო საამყროზე უწინარეს, ვინაიდან არ იყო ამბობდა, რომლის ცვალებადი მოძრაობითაც შეეძლო ედინა დროს. ამიტომ საამყრო დროსთან ერთად შეუქმნა“<sup>258</sup>.

პლატონის აზრით, მოძრაობა და ცვალებადობა (ეს ორი ცნება, ძველი ბერძნების თვალსაზრისით, ერთმანეთს ტოლფასია<sup>264</sup>) სხვა არა არის რა, თუ არა დროში დაბადება და ქმნადობა. დრო და მოძრაობა ასევე შეიძლება უკავშირდებოდეს ერთმანეთს ნეტარ ავგუსტინეს ნაზარეტშიც, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ჰომონიკელი ეპისკოპოსი ერთმანეთთან როდესაც აიკავებს მათ: «განა იმს მიძრანებ, უფალო, რომ შეუ დავაღასტრობო — დრო სხეულთა მოძრაობა-შეუთო? არა, ამას არ მიძრანებ შენ. ყველა სხეულს რომ მხოლოდ დროში შეუძლია იმოძრაოს, ეს ვამიგია შენგან, ხოლო დრო რომ თვით ეს მოძრაობა, ეს კი აღარ ვამიგია შენგან»<sup>265</sup>. დრო მხოლოდ საზომია მოძრაობისა, მაგრამ ნეტარი ავგუსტინე არც საპირისპირო აზრს გამოიკვამის: იქნებ, პირიქით, მოძრაობაა დროის საზომი? «განა მართალი არ არის აღიარებდა ჩემი სულისა, რომელიც ცამოგიტყდა შენ — დროს ეზომავო? დიახ, უფალო ღმერთო ჩემო, დიახ, ეზომავ და ის კი არ ვიცი, რასა ეზომავ. რაცა სხეულის მოძრაობის ხანგრძლივობას ეზომავი — თუ რაღვენ ხანს რაღვედა იგი ერთი აღვიღებამ მეორემდე მივალს, მაშინ სხვას რას ეზომავ, თუ არა იმ დროს, რომლის განმავლობაშიც მოძრაობს სხეული?»<sup>266</sup>

არისტოტელეს მიხედვითაც, დრო მოძრაობა კი არ არის, არამედ მხოლოდ მისი რიცხვი თუ ზომი: «როდესაც არის „უწინა“ და „შემოდგმა“ (იგუვა, რაც პლატონის „იყო“ და „აქვება“ — ბ. ბ.), მაშინ ჩვენ ვლაპარაკობთ დროზე, ვინაიდან დრო სხვა არა არის რა, თუ არა მოძრაობის რიცხვი უწინარესისა და შემდგომთან მიმართებით. ამრიგად, დრო არ არის მოძრაობა, არამედ მოძრაობად გვეკვლინება იმდენად, რამდენადაც მოძრაობას აქვს რიცხვი»<sup>267</sup>.

ერთი სიტყვით, როგორც პლატონის, ისე არისტოტელესა და ნეტარი ავგუსტინესეული დროის ორწევრიან ლოგიკურ სტრუქტურაშიც მოძრაობა — დრო, დრო — მოძრაობა, ძნელია ხაზი გაუსვა რომელიმე წევრის პრიმატს. მიუხედავად იმისა, რომ ყოველდგარი მოძრაობა (ისევე როგორც ყოველდგარი ცვალებადობა) დროში ხდება და დროით იზომება, არც ერთი დაიყვანება მეორეზე და არც მეორე — პირველზე. საერთოდ კი, პლატონისა და არისტოტელეს დროის თეორიებს ერთი საერთო ნაგლი აქვთ: თუ ნეტარი ავგუსტინე, ბოლოს და ბოლოს, დროის პირწმინდად სუბიექტივისტური კონცეფციამდე მიდის (რაც აშკარა ცალმხრივობაა), პლატონისა და არისტოტელეს თეორიები საკმაოდ ობიექტულია: როგორც მასწავლებლის, ისე მოწაფის აზრითაც, დრო არც პირწმინდად სუბიექტიურია და არც ობიექტიური. ბ. ბ. არც აღამიანის ცნობიერებითაა განსაზღვრული და არც დამოუკიდებელი მისგან. მათი დრო სადღაც ცნობიერებასა და ობიექტურ რეალობას შორის მიედინება, ასე რომ, არც ერთზე დაიყვანება და

არც მეორეზე. ამიტომ ვერც ერთი ახერხებს დროის მკაცრ დედინიციას და ვერც მეორე. თუმცა ისიც აღინიშნავია, შესაძლოა კია, საერთოდ, ანაირი დედინიციაც? შეუძლია კია აღამიანს დროის გონებაში უწილობელი იდეალები ზუსტი და ამოჭურული წვდომა?

საყურადღებოა დროის პლატონისეული კონცეფცია, რომლის უშუალო ინსპირატორადაც ატობრი პლატონის «ტიმოქონს» თვლის<sup>268</sup>, და რომელშიც ის მკაცრად აკრიტიკებს დროის ძველ ბერძნულ თეორიებს, ყურძოდ, სტეფელთა მოძღვრებას, სადაც დრო და მოძრაობა ერთმანეთთანაა გაიგივებული. პლატონის მიხედვით, დაუშვებელია დროის გაიგივება მოძრაობისთან და მოძრაობის პროექსში განვლილი სივრცის შეაღვლებთან. დრო კი არ გამოიყვანება მოძრაობისაგან, პირიქით, მოძრაობაცა და ყოველივე ისიც, რაც მოძრაობის უკავშირდება, დროში მიმდინარეობს, დროში ხდება. დრო მოძრაობაზე უწინარესია. ამავე თვალსაზრისით უარყოფს პლატონი ეპიკურელთა მომდგრებასაც, რომლის თანახმადაც დრო მოძრაობის თანხლებად გვეკვლინება. პლატონისაგან რომ სესხავდეს ძირითად იდეას, რომლის მიხედვითაც დრო სხვა არა არის რა, თუ არა მარადისობის მოძრავი ხატი, პლატონი ერთგვარად ამბავრება თავისი დიდი წინამორბედის აზრს და დროს, როგორც „სამყაროელი მოძრაობის ინტერვალს“, სამყაროს სულის „სასიციცხლო ინტერვალებთან“ აიკვებებს.

დრო, პლატონის მიხედვით, სამყაროს სულის სიციცხლეა, მარად მოძრავი და ბოზოქარის სიციცხლე, რომელიც გულისხმობს ვამედმებული გაღასუელს სიციცხლის გამოკვლის ერთი რომელიმე ფორმად და მეორეზე. დრო სულის ქმედობის მომენტთა თანმიმდევრული მონაცვლეობაა, რაც ელსაზღვრებს „იყო“-ს და „აქვება“-ს, წარსულს და მერმისს. ამასთანავე, პლატონი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სულისთვის უპირატესად ნიშნავდა დაუკვებელი ლტოლვა „მომაღლისადაც“. გრძნობადი სინამდვილე რომ შექმნა, სამყაროს სულმა „გააღასუელა“ და დროის დინებას დაუქვებულებარა იგი. სამყარო არსებობს და მოძრაობს სულში და, რაც ამ სულის სიციცხლე ცვალებადია, სწორედ ესა ქმნის დროში განსხვავებასაც. ამრიგად, დრო სამყაროელი სულის სიციცხლის ინტერვალებით იქმნება. სულის სიციცხლე და ქმედობითობა რომ არა, დროც გაქრებოდა.

პლატონის თვისებებზეც ის ვახლავთ, რომ ინტენსიურად ავითარებს დროისა და სამყაროს სულის ურთიერთკავშირს. ამ თვალსაზრისით, ის იწუნებს არისტოტელეს მოძღვრებასაც, რომლის თანახმადაც, „დრო მოძრაობის რიცხვად და ზომად“ გვეკვლინება, მაგრამ იწუნებს არა მის აზრს, არამედ მხოლოდ ამ მოძღვრების ბუნდოვანებას, რამაც შეიძლება დროის ბუნების თვითმოფი და ასოლტტური ხასიათის უარყოფა გამოიწვიოს. რაღვან პლატონისთვის ყველაზე

მოთავრია გააკეთოს, რა არის თვით ეს „ღრმ თავისთავად“, როგორია მისი ბუნება. არსებითად კი პლტინი აღიარებს არისტოტელეს მი-  
ძღვრებას, რომელიც ღრმის უწინარესობას ამტკიცებს. ამრიგად,  
პლტინი თავისი მოძღვრებით ღრმის შესახებ პირწმინდა პლატონის-  
კოსად კვევლინებს, ვარკვეული მიმართულებით რომ ავითარებს პლა-  
ტონისა, რომლის გეგეობითაც განმარტავს არისტოტელეს და იმე-  
დროულად, გამძფრებით ევამთება სტოიციზმს... სამყარო, როგორც  
ციცხლის არსება, ვარემოცულია სულით, რომლის დავცხრომელი  
ქველითობის თანმძღვრული ინტრვალები განაპირობებენ სამყაროს  
წრებრუნვას, რაც, თავის მხრივ, ქმნის „იფო“-ს და „ქვენებს“-ს, ანუ  
წარსულს და მერმისს, ე. ი. დროს; ხოლო რაც სამყაროს სულის სი-  
ოცხლედ, არსებითად, მისი დროუბედი ღრმადია კოსმიური ვარე-  
ბის მიმართ, ამიტომ ღრმის ყველაზე არსებით მომენტად მომავალი  
გველიანება. დროს, რომელსაც ძველი ბერძნები, უწინარეს ყოვლისა,  
იძღვებდნენ, როგორც ცის წრებრუნვას, პლტინი იაზრებს ამ წრე-  
ბრუნვის უეწმარტ მსხუნად — სამყაროული სულის სიოცხლედ<sup>264</sup>.

#### 4. მარკოპოსოვი და მარკოპოსოვი

ღვთებრივი პირველინომის მიხედვით შექმნილი სამყარო „ტიმე-  
ოსში“ თვითონაც ღვთებდად კვევლინება. დილაოგს არა ერთი და  
ორი პასევი ხაზგასმით ვვიმოწმებს სამყაროს ღვთებრიობას. ვანს-  
უტობით ნიშნდობლივია ამ თვალნახობისთი ეპილოგი, რომელიც  
თავისი ამადლებული ვაწყობილებით საყრადღერ პიშნს მოვავგონებს:  
„ახლა კი შევიძლია ვთქვათ, რომ დასრულდა ჩვენი მჯელობა სამ-  
ყაროზე. რადგან, თავის წილში რომ მიიღო უკვადვი თუ მოკვადვი  
არსნი და შეივსო მათი სიპრავლით, ეს ჩვენი კოსმოსი ცოცხალ და  
ხილულ არსად, ყოველივე ხილულის მომცეცადო და ვინით სიწვდომი  
ღმერთის ვრწმინდად ხატად, უდიდაეს და უკეთეს, უმშვენიერეს და  
უსრულქმნილს, ერთიან და ერთგვაროვან ცად იქცა“<sup>265</sup>.

ანალოგურადვე ვვიხატავს კოსმოსს „ტიმოისის“ ქვემოთ ციტი-  
რებული ფრაგმენტი „ასეთი იყო, ზოგადედ, მარადყოფი ღმერთის  
შთანაფიქრი იმ ღმერთთან მიმართებით, რომელიც არსებობას უნდა  
ზარებოდეს; ამ შთანაფიქრის თანამხად, სამყაროს ხანუელი გვეცი,  
ერთგვაროვანი, ცენტრიონად ყოველმხრივ თანაბრად განუფილი, მითი-  
ანი, სრულქმნილი და ასეთივე სრულქმნილ სხეულთაგან შედგენილი  
უნდა ყოფილიყო. შინ ცენტრში შემოქმედება სულს მუიჩინა ადგილი,  
ერთგვარ ყოველმხრივ უსარტულად ვანაგრეო იგი და ვარსნად, შე-  
მოაკრა მთელს სხეულს. ასე შეიქმნა წრიულად მბრუნავი ცარკვალი,

ერთადერთი და ეული. მგრამ, თავისი სრულყოფილების წყალობით,  
თავისსავე თათან თანმეზრდილი, მეტის არაფრის მშდომელი, თვით-  
შემეცნებოთა და თავისივე თავის სივარულით გულსავე და ვანყო-  
ფილი. ყოველივე ამით რომ შეამყო, მან ნეტარი ღმერთის სიოცხლედ  
მანოცა სამყაროს<sup>266</sup>. შედარებით ამას კიდევ ერთი პასევი: „ესასამა-  
მოსას აუცილებლობის მიერ შობილი ყველა ზემოსცნებულს სავანე  
არღ ქმნილებათა შორის ვერმეზრდის და უკეთესი ქმნილების დე-  
მითერგოსმა, რათა დასამაში მიეცა თვითმქმარი და უსრულქმნილესი  
ღმერთისათვის“<sup>267</sup>.

ქმნილებათა შორის ეს უდიდაესი და უკეთესი, უმშვენიერესი, უს-  
რულქმნილესი და თვითმქმარი ცოცხალი არსი — ვრწმინდად-კონკრე-  
ტული სამყარო ისევე მოიცავს ყველა ცოცხალ არსს, როგორც მისი  
მარადიული „ყოვლად ცოცხალი“ (ამანტელეს ძიონა<sup>268</sup>) პირველინომე-  
ში მოიცავს ინტელიგებიდურ ცოცხალ არსთა (აბა ნოცია ძიონა<sup>269</sup>)  
მთელ სიძრავებს. „წარმოვიდგინოთ იმნაირი ცოცხალი არსი, რომე-  
ლიც ცალ-ცალკე თუ ერთობლივად მოიცავს ყველა ცოცხალ არსებას,  
როგორც თავის ნაწილებს, და დავაცნათ, რომ სწორედ ის იყო ნი-  
მეტი, რომელსაც ყველაზე მეტად ემავავებდა კოსმოსი: მართლაცდა,  
როგორც ის მოიცავს ვინით სიწვდომ ყველა ცოცხალ არსს, ისე კოს-  
მოსი მოვავცავს ჩვენცა და ჩვენს მსგავს ყველა სხვა ხილულ არსე-  
ბასაც. რადგანაც ღმერთმა, რომელმაც მოისურვა, რომ სამყარო ყვე-  
ლაზე მეტად დამავავებოდა ვინით სიწვდომ სავანთა შორის უმშვე-  
ნიერესსა და უსრულქმნილესს, ერთ ცოცხალ და ხილულ არსად შექ-  
მნა იგი, რომელიც თავის თავში შეიცავს ბუნებით მის ზონათესავე  
ყველა ცოცხალ არსს“<sup>270</sup>.

კოსმიური ვინება (დემიურგოსი) თავის თავში ქვრტეს ოთხ სხვა-  
დასხვა იღებს და მათი მიხედვით ქმნის სულდგმულია ოთხ ძირითდ  
სახეს, რომლებიც თავის მხრივ, სამყაროს მის მატერიალურ სტრუ-  
ქონს შეესაბამებოან: „ყველა სხვა მხრივ, თვით ღრმის დაბადებამდე,  
სამყარო უკვე მავადეა იმ ნიშნში, რომლის ხატულაც შეიქმნა, მგრამ  
წერ კიდევ არ შეიცავდა ცოცხალ არსებებს, რომლებიც მასში უნდა  
შობილიყვენ, და ამდენად, მისი მსგავსება მარადიული ნიშნის მი-  
მართო წერ კიდევ არ იყო სრული. მგრამ ღმერთმა ვადამეცობა შევე-  
ლი ეს ნაელიც და ნიშნის ზუსტ მსგავსებად ჩამოქმნა ასლი. რამ-  
დენისა და რამდენნაირ ძირითად სახესაც ქვრტეს ვინება ცოცხალ  
არსში, მისი ჩანაღიქრის თანამხად, იმდენივე და ისეთივე უნდა ყო-  
ფილიყო სამყაროშიც. ხოლო ეს ძირითადი სახე ოთხთა პირველი —  
ღმერთების ციური ვვარო: მეორე — ფრთოსანთა და ცაში მფრინავთა  
ვვარი: მესამე — წყლის ბინადართა, მეოთხე კი — მიწის მკვიდრთა და  
ფეხით მოარულთა ვვარი. ღმერთების ვვარის იღვა დემიურგოსმა

უპირატესად ცეცხლისაგან შექმნა, რათა უბრწყინველესი და უმშვენიერესი ყოფილიყო სახილველად, ხოლო იმ მიზნით, რომ ყველასგებუნად დამაგებებოდა სამყაროს, უხალისე მტრულად შექმნა იგი; უხუნაფი ვანჩინებით, უსრულწმინდისის ადგილი მიუჩინა და ენბრძანა ცვადაცვალ მიპყროდა სამყაროს წესრიგს; თანაც მთელი ცის თაღზე დაამკვიდრა იგი, თანაირად შეამკო და, ამრავალ, შექმნა გემმარტი კოსმოსი» 271.

ასე რომ, გრძობადი-კონკრეტული სამყაროს ცოცხალ არსთა შორის იგულისხმებთან, უწინარეს ყოვლისა, ცეცხლოვანი ასტროლოგიკური ღვთაებანი — მთელს ცაზე მიმოფანტული ვარსკვლავები, შემდეგ ცის ფრინველნი (სტიქიონი — ასურა), წყლის ბინადარნი და მიწის მცხოვრებანი — ადამიანები, ცხოველები, მცენარეები. ერთის შეხედვით, ცოტა უცნაური კი ჩანს, რომ კოსმიური ვიზნება, არც ინტელიგენტილიური და არც გრძობადი, სამყაროს ცოცხალ არსთა შორის სავანებოდა არ გამოყოფს ადამიანს, მაგრამ ამას თავისი ახსნა თუ ვაძაბობსა მოეძებნება. როგორც არსებობს ერთადერთი ყოვლისმომცველი ცოცხალი სხეული — გრძობადი-კონკრეტული სამყარო, ასევე არსებობს ერთადერთი ცოცხალი ქმნილებაც, მთლიანად რომ მოიცავს და აერთიანებს ყველა ცოცხალ ქმნილებას (რომელთაგანაც თითოეული მიკროკოსმოსიდან გვევლინება სამყაროსთან, ანუ მიკროკოსმოსთან შედარებით). ეს მომენტე უშუალოდ მომდინარეობს მეტემფსიქოსის, ანუ რეინკარნაციის პლატონური მოძღვრებიდან 272, რომელიც ორფეოელ-პითაგორულ და შესაძლოა, აღმოსავლური, კერძოდ, ინდური ტრადიციისაგან იღებს დასაბამს. პროკლე დიადოხოსი ამტკიცებს, რომ პლატონმა სწორედ ორფეოსისგან ისუსთა მოძღვრება სულთა გადამსახლება-გადსახეულების შესახებ და იქვე დასაძენა: „პლატონის ფილოსოფია ყველა სხვა მოძღვრებისაგან განსხვავდება იმით, რომ უფრო ახსენებამდე ჩამოაყვებს ადამიანთა სულოთა» 273.

სული სხეულის ზენ-ჩვეულებებითა ინდვიდუალიზებული; სხეულის სიბილწეთაგან გაწმენდა სიცილიის შემდეგ „ასოლოტურ აზროს“ დეზინდვიდუალიზაცია. ეს პრინციპი პლატონის ესპატოლოგიის საფუძველია: ადამიანის სხეულში დასადგურებული, მაგრამ ცხოველურ ვნებებს დამორბეული სული ხელმორედ დაბადებისას ამ ციოველის სხეულში უნდა გადასახლდეს, რომელსაც უნაით წააგვად აქვალ სიუცხელში 274. ამიტომაც, რომ „ტიმოქოსის“ მიხედვით, ადამიანი იმ-თავითვე მივიდრება დაცემიერბული ცოცხალ არსებთა ნებისმძებრ სახეობასთან, რომლებიც სწორედ ადამიანისგან იღებენ დასაბამს. ეს ადამიანის ევოლუციის დაღმავალი ბაზია, უფრო სწორად, იწვეულეთა. რაც შეეხება აღმავალ ბაზს, ის უკვე დიდი ღმერთების ხომალ-

საგან მიგვიძღვის ჩვენ: „ხოლო უკვდავთა გვირგვინ ვერცინ გადასტეულდება — წერს პლატონი „ფედონში“, — ფილოსოფოსთა და მათ გარდა, ვისი სულიც სასულებით წმინდად ეყრება სხეულს; ეს კი ცოდნის ტრავალით ხელუწყობით მხოლოდ. სწორედ ამისთვისაა, რომ კემმარტი ფილოსოფოსნი ყოველნაირად ეტრძალებიან უკვდავლო ყველა ხორციელ ვნებას და მტკიცედ იზღუდავენ თავს მათგან» 275. „ტიმოქოსის“ მიხედვითაც, ადამიანი მუდროდ უკავშირდება ღვთაებამ პრინციპს, ხოლო მისი მეშვეობით, ცეცხლის ელემენტისა-ც და მათთან, დემიურგოს სწორედ ცეცხლის უწმინდესი და უნატი-ფესი ელემენტისაგან ქმნის ასპარტურ ღვთაებებს — ვარსკვლავებს 276, ხოლო თვითველ სულს თავისი წილხვდომილი ვარსკვლავი-აქვს მიჩენილი ციურ ეტლად („ოხება» 277), რაც, მართალია, ჭერ კიდევ არ ნიშნავს სულისა და ცეცხლის იგივეობას, მაგრამ უშუალო ურთიერთშესატყვისობა თუ შესაბამისობა სრულიად აშკარა და აფა-სახიზია.

ამრავალ, ჩვენ თანდათანობით გამოყვანილ „ტიმოქოსის“ ზოგერ-თი ფუნდამენტური იდეა, გარკვეულ თანხვეთიანობას რომ აცხადებს მკერკოსმოსისა და მიკროკოსმოსის, სამყაროსა და ადამიანს შორის. მაგრამ ვიდრე დამწერლობით გააანალიზებდით თუ თანხვადობის ცაუკველ მომენტებს, მეთხველს გვიწა მივაჭროთ ენციკლოპედიური ხასიათის ერთი ზოგადი ცნობა: „მოძღვრება მკერკოსმოსისა და მიკერკოსმოსის პარალელიზმის შესახებ ერთ-ერთი უძველესი ნატურ-ფილოსოფიური კონცეფციაა, რომელიც კერ კიდევ „სამყაროელი წინარეადამიანის“ კოსმოგონიურ მითოლოგიაშია გამოხატული (ინ-დური „პურუშა“ — „უდებელი“, სკანდინავიური იმირი — „უდმი“, ჩინური პან-გუ 278), „წინარეადამიანის“, რომლის ხორცისგანაც შეიქმნა მიწა, ძვლებსგან — ქვები, სისხლისგან — მდინარეები, თმებისგან — ხეები, სუნთქვისგან — ქარი და ა. შ. დემიოლოგიზირებული სახით მკერკოსმოსისა და მიკერკოსმოსის ანალოგია გვხვდება წინარესოკ-რატელთა ნატურფილოსოფიაში, ვასაკუთრებით კოსმოლოგიური ბიომორფიზმის ტრადიციოში (ანაქსიმენე, მერკატელე, დიოგენე ალ-ეოპოელი), აგრეთვე დემიურკიტეს ნაზარეში, სადაც პირველად ვხვდებ-ბით ხიტყვითანეროს ამიკროს კოსმოს“ („ადამიანი მკერკ სამყაროთა», B 24 ფრაგმ. 10), შემდეგ — პლატონის „ტიმოქოსში“ და ვასაკუთრ-ბული თანმიმდევრებით (ფიქს სამყაროელ „თესსადმე“) — კოსმოსის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის სტრიქტურ კონცეფციაში...

ანალოგია მკერკოსმოსისა და მიკროკოსმოსს შორის აშხავალენ-ტურთაა როცა, არგუმენტირებისას, მკერკოსმოსიდან მიკერკოსმოს-ზე გადავიდეთ (ადამიანის სხვა ანა მისი რა, კოსმიური ელემენ-ტების გარდა), ამან შეიძლება ნატურალისტურ ანთროპოლოგიასა და

კოსმოსში ადამიანის გათქვიფად მივიყვანოს (სუთია, როგორც ჩანს, დემოკრიტეს ვარიანტი), ზოლო როდესაც არგუმენტაცია მიკროკოსმოსიდან მაკროკოსმოსზე გადადის, ხშირად ხდება კოსმოური ასურული<sup>251</sup> და „გონების“ პოსტულირება (პერალტე, ანჟესაგორა, პლატონი, სტიოციზმი), რომლებიც ხშირად იმპერატორ პანკოსიურ ღმერთთან არიან გაიგივებული („რა ადგილი უჭირავს სამყაროში ღმერთს, ის ადგილი უჭირავს ადამიანს სულს; რა ადგილი უჭირავს სამყაროში მატერიას, ის ადგილი უჭირავს ჩვენში სხეულს“... სენეკა, „წერილები ლუცილიუსისადმი“, 65,24), ამასთან, სამყაროს, იმე ლოთების შემეცნება ხშირად თვითშემეცნებად გვეკლენება<sup>252</sup>.

ადამიანის, როგორც მიკროკოსმოსისა და სამყაროს, როგორც მაკროკოსმოსის პლატონისებურ პარალელში სპირა სხვადასხვა სახის შესაბამისობა გამოირჩევა: ფიზიოლოგიური, მორფოლოგიური და ფსიქოლოგიური. ვარდა ამისა, ზემოხსენებული პარალელები ორი სხვა ასპექტით—სოციოლოგიური და სოტირიოლოგიური ასპექტითაც ხასიათდება. ფინელი მეცნიერის ანდრეს ოლტრედის კვლადაცვლ, ვის ფართოდ გამსაზრებულ ნაშრომსაც<sup>253</sup> ძირითადად ეყრდნობა წინამდებარე გამოკვლევის ეს ნაწილი, — ჩვენც სწორედ აღნიშნულ თანმიმდევრობით ვაჩვენებთ მაკროკოსმოსისა და მიკროკოსმოსის პლატონისებურ პარალელში.

## ა. ფიზიოლოგიური პარალელები

ეს პარალელები, როგორც მართებული აღნიშნავს ა. ოლტრედის<sup>254</sup>, გვიბრძოლ უკავშირდება ოთხი ელემენტის დოქტრინას. „ტიმეოსის“ მიხედვით, სამყაროს სხეული ოთხი მატერიალური ელემენტისაგან არის შეთხზული<sup>255</sup> და ადამიანიც ხუცხულ იმავე ელემენტებისაგან შედგება<sup>256</sup>. განსხვავება მაკროკოსმოსისა და მიკროკოსმოსის შორის, ამ მხრივ, მხოლოდ ის არის, რომ სამყაროს შემადგენლობაში მთლიანად და სამუდამოდ შედის ოთხივე ზემოხსენებული ელემენტი, მაშინ როდესაც ადამიანი მხოლოდ მათ უმნიშვნელო ნაწილსა ფლობს და ისიც დროებით. ამიტომაც სამყარო მარადიულია, ადამიანი კი ეფემერული. სამყაროსათვის უცხოა სიბერე და სნეულება, ადამიანი კი როგორც ერთის, ისე მეორისთვისაა განწირული. ეს სხვაბა განსაკუთრებით მკაფიოდ იჩენს თავს, როცა მათ ვადაჩვენებთ, როგორც ცოცხალ ორგანიზმებს. „ტიმეოსის“ შემდგენარად ახასიათებს სამყაროს:

„ასე, ოთხივე ზემოხსენებული ნაწილიდან თითოეული მთლიანად შევიდა კოსმოსის შემადგენლობაში შემოქმედმა მთელი ცეცხლისა

და წყლისგან, მთელი ჰაერისა და მიწისაგან ააგო იგი, ისე, რომ კოსმოსს გარეთ არ დაეტოვებინა მათი არცერთი ნაწილი... მას განზრახული ჰქონდა, ჭერ ერთი, ის, რომ კოსმოსი ყოფილიყო მთლიანი და სრულქმნილი ცოცხალი არსი, ასეთივე სრულქმნილი ნაწილებითორთ, ამასთანავე, ერთადერთს ვარსება და არსად დაბრუნდოდა არავითარი ნაწილი, რისგანაც შესაძლებელი იქნებოდა მეორე, მისივე შგავით ცოცხალი არსის დაბადება; და ბოლოს, ისიც, რომ კოსმოსისათვის უცხო ყოფილიყო ყოველგვარი ხრწნილება და სნეულება. რადგანაც იყო-და, რომ თუ შედგენილ სხეულს ვაჩვენებ შეზღუდვება სიბერე, სიცოცხლე, ან სხვა რაიმე მძაფრად მოქმედი ძალა და უღრთო დროს თავს დაიკლებდა, უთუოდ დაშლის, დაარღვევს, დააბერებს, სნებას შემპრის და, ბოლოს, კიდეც მოკვდინებს მას. აი, ამნაირი მიზეზისა და განაჩის შედეგად მან ააგო კოსმოსი, როგორც ერთი მთლიანი, ასეთივე მთლიანი ნაწილებითაგან შემდგარი, სრულქმნილი, უბერებელი და სნეულებისათვის მიუწყველადი არსი“<sup>254</sup>.

მიკროკოსმოსში სნეულებათა მიზეზებზე კი ნათქვამია: „რაც შეეცხება სნეულებებს, მათ წარმოშობაა, ალბათ, ყველასათვის ცხადია, რაკი ჩვენი სხეული ოთხი სხვადასხვა შემარს — მიწის, ცეცხლის, წყლისა და ჰაერისგან არის შეთხზული, ამიტომ საკმარისია ერთ-ერთი მათგანი მოგვეკარდეს, დაგვეკლდეს, ან თავისი ადგილიდან სხვისაზე გადაინაცვლოს, ან იკვდეს რაკი ცეცხლსაც და დანარჩენ სამ სწყისისაც სხვადასხვა სახეები აქვთ, — რომელიმე ნაწილმა არ მიიღოს ის, რაც სჭირდება, რომ მიიწივდეს თავს იქნეს აზლიობა და სნეულება. ამ ბუნების საპირისპირო ვარდენებათა და ვადასაცვლებათა შედეგად, სნეულის ესა თუ ის ციფი ნაწილი ცხელდება, მშრალი — სინესტი ივსება, მუხუტვი — შიშდება და, საერთოდ, მთელი სხეული ათისნარც ცვალებადობას განიცდის ჩვენ კი ვაგარეობთ, რომ სხეულს ყველა ნაწილი მხოლოდ მაშინ შეინარჩუნებს თვითიგივეობას და სიმართლეს, მხოლოდ მაშინ დარჩება უცნებელი, როცა მსგავსი თავისივე მსგავსს უახლოვდება, არასგავსს კი შორდება ერთი და იმავე წესითა და თანაფარდობით. მაშინ როდესაც ყოველივე ის, რაც თავისი მოდენითა და უცუფრით არღვევს ამ წესს, ურიცხვი სხვადასხვა ცვალებადობის, სნეულებისა და ბოლოს, სიცუფლის მიზეზიც ხდება“<sup>255</sup>.

„კოსმოსი და ადამიანი აქ ერთი და იმავე კატეგორიებით არიან განხილულნი და ერთი და იმავე თვალსაზრისით შედარებული. აქ ჩვენ გვაქვს ერთგვარი ზეგატური პარალელობა ის, რომ კოსმოსი მიუწყველმელა სიბერისა და სნეულებისათვის, ანთროპომორფული გამოთქმა, რომელიც უარყოფს კოსმოსის რღვევას, ხედვის ამნარო მანერა იქიდან იღებს დასაბამს, რომ სიბერე და სნეულება ადამიანში განხილულია როგორც ასეთივე დაშლა, როცა ვაჩვენებ ელემენტთა

მოქმედება მიზნად ისახავს ინდივიდის წერვისა<sup>286</sup> (აყველაფერი, რაც ვარს გვარტყია, გამუდმებით მის ჩვენს სხეულს<sup>287</sup>).

ანალოგიურ პარალელისში ვთვავს „ტიმოსი“ ორგანიზმის ფუნქციონირებას სისოციალურ ვითარებაში — ნივთიერებათა ცვლის, ანუ მეტაბოლიზმის ფაქტორისთვის. სახელო, საყვები ნივთიერება, ელემენტარული სუბსტანცია, რომელსაც იღებს, შლის, გარდაქმნის და ითვისებს ორგანიზმი უწყვეტ გადამწვევებისა თუ გამოყოფილის სანაცვლოდ და ამის წყალობით ინარჩუნებს სიცოცხლესა და ფუნქციონირებას უნარს. „ტიმოსიში“ ეს წარმოდგენილია როგორც „სხეულში შემღინარე და მისგანვე გამოღინარე ნაკვთია მიტყვე-მოქცევა“<sup>288</sup>, სამყაროსათვის ისევე წინმეული ნივთიერებათა ცვლა და ელემენტთა გარდაქმნა, როგორც ადამიანის ორგანიზმისათვის. ვინა-სხეუბა მხოლოდ ისაა, რომ არაფერი გარეგანი არ შედის სამყაროს სხეულში და არც გამოდის მისგან. ამიტომაც, რომ სამყარო თავისივე თავით, თავისი ცვალებადობითა და ასე განსაკუთრებით, თვით თავისი ყოველივე კი სახრდობის, ვინაღაც სამყაროს შემადგენელი ყოველი მოკვდავი ბუნების ცვალებადობა და მწერაფლწარმოებლობა განაპირობებს სამყაროს უცვლადობასა და წარუვალბობას. უფრო გვიან მარტეს ავრელის იტყვის: „ყოველმსაყობელი ბუნება მალე სახეს უცვლის ყველაფერს, რააც შენ ჰკურტ: მისი არსებთან შექმნის სხვა სახეებს, მათგან კიდევ — სხვათა, და ასე შემდეგ, რათა მარადი სიკაბეუტე ახლდეს სამყაროს“<sup>289</sup>. „მკვდარი მხოლოდ ამ ქვეყნიდან გადის, არა სამყაროდან. ის იქ რჩება, რათა სახე იცვალოს და დაიშალოს შე-მადგენელ სტიქიონებად, რომელთაგანაც იიხიბო შენი და მთელი სამყაროც. სტიქიონები იმღებინან, მაგრამ არ ღრტყენენ“<sup>290</sup>), ნეტავური ანთროპომორფიზმი იქ თავის აბოგეას აღწევს: სამყაროს არ სჭირდება არავითარი ორგანიზმის მისაღებად ან მოწოდებუ-ლის გამოსაყოფად, მეტიც, მის საერთოდ არ სჭირდება არც ერთი სხვა ორგანიზმი.

„...სამყაროს საერთოდ არ სჭირდება არც მტერი და არც სენა, ვინაღაც მის გარეშე არაფერი რჩებოდა, არც დასასახი და არც მო-სასმენი. გარშემო არ ერტყა პაერი, რადგანაც მისთვის ზედმეტა იყო სურნევა. ზუსტად ისევე არ სჭირდება არავითარი ამა სახრდობის მისაღებად, ანდა უწყვეტ მოწოდებულს უწყვეტ გამოსაყოფად: არაფერი გამოიღოდა მის ფარგლებს გარეთ და არც არა შეიღობა, ვინაღაც მის გარეშე არც არაფერი იყო; სამყაროს თვითონვე უნდა ესაზრდოდა ათვის საყვითარი ცვლიებით, თავისთავად გამწერარეცილებინა ყოველ-გვარი ქვედითობა და თვითონვე დაეაზინა ყოველგვარი ვენება, რო-გორც დაუწყესა მისმა გამწენმა, რომელიც თვლიდა, რომ თვითმყა-რობა მზავალწილ სკობდა ნაკვლეულანებას და უწყარისობას, რაც

შეეხება ხელებს, მას სრულიად არ სჭირდება რაიმე ადგმა, ან უფრო მეტი მოვლენა და ღმერთმა ზედმეტად მიიძინა სამყაროს სხეული-სათვის მიმავრებინა ეს კიდურები, ისევე როგორც ფეხები, ან მოძ-რობის სხვა რამ სამულოება. რადგანაც მოძრაობის შეიღ სახეთა-გან<sup>291</sup> ანაირი სხეულს მან მიანება მხოლოდ მისთვის შესაფერისი მოძრაობა. ერთმოდ ის, რომელიც ყველაზე ახლოა აზრისა და გონე-ბასთან, ამიტომაც აიძულა იგი ერთგვარბუნად, ერთ ადგილას და თა-ვის თავშივე ებრუნა წრიულად, მოძრაობის დანარჩენი იქნის სახე კი ვინარია; რათა შათ ხელი არ შეეშალოს პირველისათვის. და რაკი ანაირი მოძრაობას ფეხები არ სჭირდება, მან უწყვიოდ და უტერ-ფოდ ღებდა იგი“<sup>292</sup>.

თუ სამყარო საყვითარი ცვალებადობით და თვით თავისი ცვლი-ობით კი სრულდება, ადამიანს მხოლოდ მეტაფორულად თუ შე-უძლია იტყვას: „შე ვცოცლობ ჩემივე სიყვლილით“ (*Vivo della mia morte*)<sup>293</sup>, რაც მომხიბლავი პოეტური სხვა მხოლოდ და მხო-ლოდ სინამდვილეში კი ყოველი ციკლური ორგანიზმისა და მისი ვარშომცევა სამყაროს ურთიერთობა გამუდმებულ სამყვდრო-სისოციალურ ორთაბრძოლა ცრთბელ კიდევ შევასხენებთ მეთრეულს: „ყველაფერი, რაც ვარს გვარტყია, გამუდმებით მის ჩვენს სხე-ულს“<sup>294</sup>, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, რაღა თქმა უნდა, სამყარო-ზე ძალთა გამარჯვებით მთავრდება. თვით ნივთიერებათა ცვლის პრეტესი ამ უთანაბრო და უთანაბრო ბძილის ერთ-ერთ სახედ წარმოგვიადგება. ადამიანის ორგანიზმის შემადგენელი ატომები ცლე-მენტარული სამყვთებებში მხოლოდ უკიდურესი ძალისხმევას ფსაღ-შეაინ, ვარდაქმნიან და ამ სახით იიფისებენ ისევე ნივთიერებათა ატომებს. ამისდა ყველა, სპობტეუ სიცოცხლის ის პერიოდადა და-სახეული, როცა ორგანიზმი ადვილად „ერევა“, ე. ი. შლის და ით-ვისებენ საყვებ ნივთიერებათა ელემენტარულ ნაწილაკებს და, ამრი-ვად, უფრო მეტს იღებს, ეიდრე ვასცემს, ე. ი. შენაენი სჭარბობს დანაჯლისს, მაშინ როდესაც სიბერე ფუნქციონირების სრულიად სა-მირისპირაო სურათს — დანაჯლისთა თუ დანაჯრავს სიჭარბებს და, ამის შედეგად, სასიცოცხლო ძალთა თანდათანობით დაწრეტებს და, ბოლოს, სიყვლილსაც ვულისსობს:

1. „...თუ დაცოა და ნაწილაკთა დანაჯლისი სჭარბობა შეეცხებას, ყო-ველი სრულდგმული უძლურდება; საპირისპირო შემთხვევაში კი, პირ-იქით, ძალს იკრებს და იხრდება. ამიტომ ახალგაზრდობაში, როცა მთელი აზრების აღნაკაა ქრ კიდევ ნორჩია და სამუტხებდები, რომე-დებიც საფუძვლად უძებს მას სახეობას, ისეთი ცნესხალნი აიიან, თითქმის ეს-ესაა გამოეტანათ სახელსნოდან, — ნაწილაკთა კავშირი ვაცილებით უფრო მტკიცეა, ხოლო ტენიდან ახლად ნაწილი და რძით

ნასაზრდოები სხეული—უფრო ჩველი და ნაზი, როდესაც ეს სხეული გარედან შემოსულ სამკეთხლებს იღებს, რომელთაგანაც შედეგმა სასმელსაჰქვია. მისი საყდართი სამკეთხლები ვაცილები უფრო ახალი და მსაღვრნი არიან, ვიდრე გარედან შემოსული სამკეთხლები; ამიტომაც ძალუცვნი და ზღუდნი მათ. მაგრამ საყდართი სამკეთხლებების ფსევდო შესუტლებს მრავალრიცხოვან მტრებთან დაუსრულებელი ბრძოლის შედეგად, რომ სხეულს უწყე აღარ შეუძლია დასაღწიოს საზრდოს სამკეთხლები და თავის საყდართ სამკეთხლებებს დაამთავრებს ისინი. პირქეთი, თვით მისი სამკეთხლები ადვილად იზღვებიან გარედან შემოსულ სამკეთხლებთან ჭიდილში. ამინარად ძველი ყოველი ცოცხალი არსება თანდათანობით ჭუნება და ამ მდგომარეობას სიბერის ვენოვანობა ზენა, ზოლოს და ბოლოს, ვერცხლტინის სამკეთხლებთა შემკვრელი კავშირის უძლებენ მტრულ შემოსევას, ირლევინან და სულის კავშირითაც არღვევენ, სულისა, რომელიც თავის ბუნებაზე თავისუფლებას იბრუნებს და სიბერელოდ აღსული ლაღად მიფრინავს, რადგანაც ყოველივე ის, რაც ეწინააღმდეგება ბუნებას, მტყავნეულია, და პირქეთი, სასიამოვნოა ის, რაც ბუნებას ეთანხმება. ასე რომ, სიკვდილი მტყავნეულია და მოძალადური, როცა სნეულებითა და ჭრილობებითა გამოწვეული, ხოლო როდესაც ბუნებას თანახმად წერტლს უტყანს და ამთავრებს სიბერის დინებას, მაშინ ესაა სიკვდილია შობის ყველაზე უმტყავნეული სიკვდილი, რომელიც უფრო სასურველია და სასიამოვნო, ვიდრე მტარქველი<sup>295</sup>.

საკვები ნივთიერების ნაწილაკებს, „ტემოსის“ მიხედით, სისხლის მიმოქცევა ანაწილებს შთელს ორგანიზმში. ამ მხრივ, პლატონის აზრი ზედმეტწინით ზუსტად შეესაბამება თანამედროვე ფიზიოლოგიის თვალსაზრისს: „სისხლის მიმოქცევის სისტემის—გულისა და სისხლის ძარღვების—მოქმედება უზრუნველყოფს სისხლის უწყვეტ მოძრაობას ორგანიზმში. ამ მოძრაობის შედეგად ხორციელდება მისი მრავალჯერადი სატრანსპორტი ფუნქცია, ყერძოდ, განებადისა და საყდართი ნივთიერებების მიტანა ქსოვილებთან და ცვლის შედეგად წარმოქმნილი ნივთიერებების გამოტანა ქსოვილებიდან“<sup>296</sup>. სისხლძარღვების სისტემის აღწერისას პლატონი შენიშნავს, რომ ღებრთებმა, ჩვენს სხეულში გაჭრეს და გაუყვანეს არტები, როგორც ყანაში სახაწყავად გაყავით რუ“<sup>297</sup>. სისხლის მიმოქცევის სისტემა და სუნთქვის შექანზში „ტემოსის“ კიდევ ორჯერაა შედარებული საორთიკოთა ნაგებობებთან („პიდრეისა“, „პიდრაგოთია“): „შემდეგ ღებრთებმა წყალსადენის მშენებლობას მიაყუეს ხელი“<sup>298</sup>. „სუნთქვის მოძრაობას, ჩასუნთქვას და ამოსუნთქვას განუტრულად თან ახლავს შინაგანი ცეცხლი, რომელიც მის ვარემომცველ ჰაერთან ერთად ნაღის მუცლის

სხეული, სადაც იბრავებს სასმელ-საგემელს, შლის და პაწაწინტედა წარლავებად აქუნძიანებს მათ, ხოლო შემდეგ იმ საუნარებში მიდევნის ამ ნაწილაკებს, რომლებშიც გადის თავდაც და რომლებიც იმ არტებას ჰგვანან, წყაროდან რომ გაყავით ყანის საჩწყავად. ასე იწვეება შთელი სხეული“<sup>299</sup>. აღანიშნავია, რომ არისტოტელის თხზულებაში „სხოველთა ქსოვისათვის“ ჩვენ ვხვდებით სისხლის მიმოქცევის შედარების საჩწყავ არტების სისტემასთან, რაც აშკარა პლავილად უნდა ჩაითვალოს: „მზავიად იმისა, როგორც ბაღებში წყალი ერთი და იმავე სათავიდან გაყავით სხვადასხვა არტით, რათა ყოველ-მხრივ მიაწოდონ წყალი... ასევე ბუნებამაც გაიყვანა სისხლი შთელს სხეულში“<sup>300</sup>.

როდესაც იმის ჩვენება გვსურს, თუ რაოდენ მნიშვნელოვან როლს ასრულებს „ტემოსის“ ფიზიოლოგიური პარალელური კოსმოსა და ადამიანს შორის, შეუძლებელია დღემლით ავტორით ვერტი იმ პასუხს, რომელიც მზერის შექანზშიმს წარმომავლობას ვეფლავს. ეს შექანზში მთლიანად დაფუძნებულია იდეაზე, რომლის თანახმადაც თვალს, ისევე როგორც მზე, თვითონვე ვეველნიება სინათლის წყაროებში<sup>301</sup>. „ძველმა ბერძენებმა წამოიყენეს რამდენიმე თეორია სინათლის ბუნებასთან დაკავშირებით. ერთი ამ თეორიათაგანი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ამ თეორიის თანახმად, სინათლე ესაა რაღაც ისეთი, რაც თვალებიდან გამოედინება, როგორც შლანგები—წყალი. ამასთანავე, იგულისხმება, რომ ჩვენ სინათლის ნაკალს სავენებლად მივგართავთ და ასე ვხვალთ მათ. ამიტოვად, ჩვენ ვებუტლობთ, როგორ გამოიყურება საგანი, ისევე, როგორც შეხებით შევიგრძნობთ ზედაპირის ბუნებას. ბრძის თვალები არ ასხივებენ სინათლს და ამიტომ ხედავენ არ შეუძლიან“.—წყურთ თანამებრძოვე ამიტორელი მეცნიერები ლ. ელიოტი და თ. უილკინსი თავიანთ „ფიზიკაში“<sup>302</sup>. „ტემოსის“ ავტორის აზრით, ხედვის შექანზში განაპირობებს არა მარტო თვალბიდან გაღმოდრძვეული სინათლი, რომელსაც ჩვენ სავენებლად მივგართავთ, არამედ თვით ამ სავენებლად წარმოდინდნი სინათლის სხივისანი ნაწილაკების (კოზმოსტეკულებს) ნაკალიც. ამასთან, თვალს ურთიერთსაპირისპირი ნაკალი თვალბების გასწვრივ ერთ და იგივე ურთიერთსაპირისპირი ეტრქმის ერთმანეთს. ბერძენი დოქტორები ყოველ მთლიანობად ეტრქმის ერთმანეთს. „სინათლე ურთიერთ-ეიტრქმის ამ კონცეფციას „სინავეციას“ (სხივთა ურთიერთ-შერქმისა) უწოდებენ: „პლატონის სინავეციად თვლის იმნარი ეთარქმებას, როცა სინათლე ერთგვაროვან ჰაერში გარკვეულ ნაწილზე ვერცხლდება თვალბთან, ხოლო მეორეს მხრივ, მის საპირისპიროდ სავენებლად მოისწრფიან სხივები, რომელთა განწვენილობაც განეკუთრება სინათლს შინაგანად თვალბთან, როგორც თვალბიდან ადვილად ფრმობრებად ჰაერში ასთივება, როგორც თვალბიდან წარმოდინდნი ცეცხლოვანი სხივებისა. სწორედ ამას ეწოდება

პლატონის სინაგოგის<sup>303</sup> ამრიგად, მხედველობითი აღქმის მომენტში აღმქმელი ორგანი — თვალი თითქოს უშეძლოდ ერწყმის აღსაქმელ სინაგის:

«ყველა ამ სპერველს შორის ღმერთებმა, უწინარეს ყოვლისა, სინათლის მტერითველი თვალბი შექმნეს და სახეზე მიუჩინეს დივილი; ხოლო ამის მიხეზი შემდეგი გახლათ: მათი ჩანადერი, ურდა შეთხზული ცეცხლის მტერითველი სხეული, არა იმ ცეცხლისა, ყველაფერს რომ წვაეს, არამედ თვალს ნათეს რომ აფრქვეს, ნათეს, რომელიც მათი ხელფეხების წყალობით ღღის სინათლის ურდა დამავანებდა. საქმე ისაა, რომ ჩვენი მკვიდრობის განსაყუარებით წმინდა ცეცხლი, დღის სინათლის შინაგანად განსაყუარებით ცეცხლი აიძულეს ნატიფი ნაწილაკების უწყვეტ ნაყაად გაღმორქვენილყო თვალბიდან; მაგრამ, ამასთან, ვანსაყუარებით გაამკვირვეს თვალს შეაღდური ქსოვილი, რათა მას არ გაეტარებინა არაერთი მკვირვი და ტლანჭი, ვარდა ამ ნატიფი ცეცხლისა. და როცა ღღის ნათელი ვარემორცეს მერს ამ ნაყად და მსგავი მავანსაყუაროვან სხეულად წინათებულნი, — იქ, სადაც შინაგანი ცეცხლის ნაყად ვარემორცეს სინათლის ჩქერალს ერთვის. და რაც ეს სხეული, თავისი ნაწილები ერთგვარებების გამო, ერთნაირად ვანცელის ყველაფერს, როცა თვითონ ეტება რაჟეს ან, პირიქით, რაიმე ეტება მას, — მისი ვანცელ მოძრაობის სახით მთელ სხეულს ვაღიფიცებს და სულამდე აღწევს, რის შედეგადც ჩნდება შეგრძნება, რომელიც ჩვენ მზერას ეწეოდებთ. ხოლო როდესაც ღამე ფარავს ჩვენი სინათლის მოძრაობის ურდა ღღის ნათეს, შინაგანი ცეცხლის ნაყადი თითქოს ერთნაყად წყდება: არამეგანთან შეგრძნებისაწვე იცლება და იზრტებს: რაღვანაც არ შეუძლია ვარემორცველ ხაროან შერწყმა, რომელიც აღარ შეიძვის ცეცხლს. თვალი უშეძლავ, ვეღარას ხელჯეს და ძილი ერევა; და მართლაც, როცა ჩვენ ხეშუბოთ ქუთუთოებს, ღმერთების მიერ თვალბების დასაყუად ნაქსოვ საბურღის, ისინი ვასაქანს აღარ აღწევენ ცეცხლის ძალას, რომელიც მთელს სხეულში მიმოიფანტება და აწინაწარებს შინაგან მოძრაობებს, რაც იწვევს სიმშვიდეს და უძრაობას. თუ სიმშვილე სრულია, სიზმრები თითქმის არ აღწევენ ძილის, მაგრამ თუ შიგნით ძველად არ წყდება მოძრაობათა სიმშფრდი, ისინი, თვითონი ბუნებისა და აღვილის შესაბამისად, ჩვენში იწვევან ნარინარ ხილვებსა თუ სიზმრულ ჩვენებებს, რომლებიც ვარემორცეს სხეულსა თუ შინაგან მღვთავრებობებს ჰქვანან და რომელთა ხსოვნაც ვერცხვა ვამოღვიძების შემდეგ»<sup>304</sup>.

### ბ. შორფოლოგიური პარალელიზმი

ფიზიოლოგიური ურთიერებისაბისობა დაფუძნებულია იდეაზე, რომლის თანახმადაც სამყაროსა და ადამიანის, როგორც ცოცხალი ორგანიზმების, ფუნქციონირება დაახლოებით ანალოგიურ ვარენებს ემართება. ვანსხევაება მხოლოდ ისაა, რომ სამყარო სრულქმნილია და სიბერის, სწეულებისა და სივეღლისათვის მიწველოველი, ადამიანს კი — არასრულქმნილი და სიბერის, ხარწილებისა და სივეღლისათვის ვანწირული. ეს ფიზიოლოგიური პარალელიზმი ზოგჯერ ვანსხეურობით ნევატიურ ხასიოს იძენს, რომლის ნიშნუბნაყე ხეშობის ფუნქციები, — იმ, რა ვანაბრობებს ჩვენს არასრულქმნილებს სიმყაროსთან შეღაბებით, რომლის სრულქმნილებაც სწორედ ის არის, რომ არც მზერა სბურდება, არც სწევა; არც კიდრებები, არც სწეწეწესი, სკვმლის მინელებსა თუ სისხლის მიმოქცევის სისტემები. ამე რომ, კოსმოსის ანთროპომორფული აღწერა ანახდეულად ანთროპომორფულ ელფესებს თუ ხასიოს იძენს.

სამავიეროდ სამყაროსა და ადამიანის შორფოლოგიური პარალელიზმი ჩვენ ვთვავაზობს ანთროპომორფიზმის მკვეთრად ვამოხტულ სწეუბებს, რაც, ამასთანავე, ხანგამით ვეიმორქმებს ადამიანური არსების სრულყოფილებას, რაც მის კოსმოურ სრულქმნილებასთან ანახტევაებს. ამ სრულქმნილებების ერთ-ერთი ვამოვლენა, ატიმეოსის<sup>305</sup> მიხედვით, სამყაროს სფერულბა ვეველინება, რითაც პლატონის კოსმოსი ვენეტიკურად უყავზირდება ექოლოკუს სფერულ ღვთაებას, როგორც ცნობილია, ემბელოკუს თანახმად. «სამყარო დასაბამს იღებს თავისი პირველი პერიოდიდან, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა სიყვარული აბოლუტური სუფევა. ამ პერიოდის ბუნება ერთნაყობაა: ყველა ელემენტი იქ ურთიერთმერწყმულია, ყველა ურთიერხასაბირისპირი საწყისი — იდენტიფიცირებულა. ერთი, ერთნაყობი, უნივერსალური, მორქმელი და პარმორიული სფერულ ღმერთი, ანუ სფერო, ამეგანად წოდებულ იპოტომ, რომ უხარბილბილს თავში, ყოველგვარი პარტიკულარული ვანსხევაების, ვანწილულობის, ყოველგვარი ქმედიითი მრავლობითობის ვარემორ, როგორც მითაგორელი ღმერთი ვანყოფილია სიყვარულისაწვე — სიყვითისა და სიმწმინდის ამ უხეშაესი პრინციპისაწვე»<sup>306</sup>.

პლატონის მიხედვით, ადამიანის ყველაზე არსებითი ნაწილისათვის ისევე დამახასიათებელია სრულქმნილების ეს სპეციფიკური ნიშანი, კერძოდ სფერულბა, როგორც მთელი კოსმოსისათვის. ადამიანის

თავი, სფეროს რომ მივგავიგონებ, კოსმოსის ისეთსავე ზორცმენტსავე  
ხატებალ ვეველინება, როგორც, ვიქვით, თვალ — შხისა. თავი, არც  
მიიად, ეს არის ყველაზე ჰემარტი მიკროკოსმოსი, მიკროკოსმოსი  
par excellence. კიდურებიცა და მთელი დანარჩენი სხეულიც მხოლოდ  
ლოდ თავის დამატებაა. ადამიანის სულის ექვლევი და უღვთებრეველი  
ნაწილი თავისი შინაგანი წრიული მოძრაობებითურთ ისევეა და  
სწავებულა თავში, როგორც სამყაროს სული — სფერულ კოსმოსში.  
ამრიგად, ღმერთებმა, სამყაროს წრიული გარემომოწერილობის მის  
ბადით, სფეროსებრ სხეულში მოაქციეს ორივე ღვთაური წრებრეველი  
ვი: სხეულში, რომელსაც თავს ვერვლებთ დღეს და რომელიც ზეის  
უღვთებრეველს ნაწილად და ყველა სხვა ნაწილის მბრძანებლად ვხე  
ლინება. ღმერთებმა მას დაქვემდებარეს და მახებრად დაუფრეს  
მათ მიერ ნაწილავი ტანია 300.

რა თქმა უნდა, თავი მხოლოდ ნაწილობრივ წააგვარა სფეროს, ეს  
მდინად, სფერული სამყაროს ასარბრულებლად რეპროდუცირებდა  
ვეველინება. კოსმოსის სრულქმნილი სფეროა, ან, უფრო ზუსტად თუ  
ვიკვიით — სრულქმნილი ადამიანია, ეს პოზიტიური ინვერსია იქსი  
ბა მხოლოდ და მხოლოდ... თუ ასტროლოგი ღვთებანი, ანუ ვარსკ  
ვლები მთერარქულად ვაცილებით უფრო მალა ღვანან ყველა სხე  
ქმნილებზე, ამის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ მათი სრულქმნილი სფე  
რულობაა, რითაც ისინი ყველაზე მეტად ემსგავსებიან კოსმოსს: ასტ  
როლოგი ღვთებათა ვჯარი აღმერთგონსა უმბრატესად ცეცხლისაგან  
შექმნა, რათა უბრწყინველესი და უშვენიერესი ყოფილიყო სახილ  
ველად, ხოლო იმ მიზნით რომ ყველაზე მეტად დამსავებებოდა სამ  
ყაროს, უზადოდ მრავალი შექმნა იგი; უზუნესი ვანინებით, უსრულ  
ქმნილესი ადვილი მიუზნა და უბრძანა ვალდავალ მიყოლოდა  
სამყაროს წესრიგს 301.

თუ ვარსკვლავების ონტოლოგიური სტატუსი შეუდარებელია  
უფრო მაღალია, ვიდრე ადამიანისა, სამაგიეროდ ცხოველები მთერარქ  
ულად ადამიანზე ვაცილებით დაბლა ღვანან და ამის ერთ-ერთი  
მიზეზი მათი წარმოდებელი თავ-მთრი ვახლავით. აი, როგორ ავ  
ფირს ამას „ტომოსი“ მეტემფსიქოსის თეორიაზე დაყრდნობით: „ხმე  
ლეთზე მოარბულ ცხოველთა მოღმა კი იმ კითხვას წარმოსდგება,  
რომელთათვისაც სრულად უცხო იყო სიმბრძინსმეტყველება და არა  
ვითა ყურადღებას არ აქვთაუნენ ციერ მოუღნებს, რადგანაც სა  
ერთოდ ევლარ იყენებდნენ იმ წრებრეველს, რომელიც თავში ხდებდა,  
და მობრინლად მსუფვედნენ მხოლოდ სულის იმ ნაწილის მბრძანებ  
ლურ კარნახს, რომელიც გულ-მყრბში გვიღებოდა. რაკილა ასე იქ  
ეკვლენენ, მათი წინა კიდურები და თავი დაბლა, მათი მონათესავე  
მიწისაყენ დაბარა, თავ-პირი კი წაუტრებლად და სრულად სხვა-

დასტავ სახე მიიღო, იმსდა ვალად, თუ რამდენად დარღვია მყო  
სხეებამ მათ თავში მიმდინარე წრებრეველი. აი, მიზეზი იმისა, თუ  
როგორა აქვს მათ მოღვმას ოთხი და მეტი ფეხა რაც უფრო მღუნე  
ბა და უგუნერნი იყვენენ ისინი, მით უფრო მეტ საყრდენს აძლევდნ  
დაცრით, რადგანაც უფრო მეტად იზიადნდნენ მიწა 302.

მიკროკოსმოსულ არსთა შორის ყველაზე დაბალ საფეხებზე  
დგანან მცენარეები. ამოსავალი პრინციპი აქ კინემატოლოგიურია. ტრ  
ქისის“ შემდგენარად გვიხატეს მცენარეთა უძრავობა: „... მცენარის  
მცენარეული სიცოცხლე დაუსრულებელი თქვანა; ის მხოლოდ თავის თავ  
ში თუ თავისივე თავის მიმართ მოძრაობს და ვარცგანი მოძრაობის  
სემიქმედებასაც მხოლოდ საკუთარი მოძრაობით უძირისპირდება;  
ასე რომ, ბუნებით, ვერც თავის მდგომარეობა აღიქვამს და არც თა  
ვისი წარმოშავლობისა თუ თავისი თავის შეცნობა შეუძლია. ამრი  
გად, მცენარე ცოცხლობს და სხვა არა არის რა, თუ არა ცოცხალი  
არსი, მაგრამ ერთ ადგილას უძრავადაა განინდობს და მრწამი  
ყველადადებული, რადგანაც ვარსკვლავების უნარი არ გააჩნია“ 303. ამ  
ყველაწარსით, მცენარე დამეტრალურად უძირისპირდება კოს  
მოსს 304.

### გ. ფსიქოლოგიური პარალელიზმი

ვინც ამტკიცებს, კოსმოსი ცოცხალი არსია, თავისთავად გულის  
სძობს, რომ ის სულდმეულია; ხოლო რამდენადაც კოსმოსი ყოველ  
მხრივ სრულქმნილ არებად ვეველინება, მას სრულქმნილი გონებაც  
აქვს. სწორედ ამიტომაც, რომ პლატონი სამსახოვან ვანფიქლოლბას  
მთაწერს კოსმოსს: სხეული, სული, გონება; „შეუძლებელი იყო დასა  
ბამათვე და შეუძლებელია ახლაც, რომ ყველაზე უფეთესს შექმნა  
რამ ისეთი, რაც ყველაზე მშვენიერი არ იქნებოდა. ამრიით განსაჯი,  
რომ თავიანთი ბუნებით ხილულ საგანთა შორის კონიერებთაგან ვან  
ძარცვული არც ერთი ქმნილება არ შეიძლება უფრო მშვენიერი ყო  
ფილიყო, ვიდრე ვინეამოსისა, თუკი ერთსაც და მეორესაც ჩვენ  
ვანვინილავთ როგორც მთელს. გონიერების საგანე კი შეუძლებელია  
სხვა რამე იყოს, ვარდა სულისა. ამ აზრის თანახმად, მან გონიერება  
ჩაუწერგა სულს, სული კი მადღა სხეულს და ამნაირად ავგო სამყა  
როს, რათა შექმნა უშვენიერესი და, თავისი ბუნებით, ყოვლის უმ  
კამესი ქმნილება. ამრიგად... უნდა ვიღიაროთ, რომ ეს ჩვენი კოს  
მოსი არის სულითა და დღვთიერებით მისილი ცოცხალი არსი და რომ  
ის დაიბადა ქემსარბლად გონიერებით მისილი ცოცხალი არსი და რომ  
ზემოთ ჩვენ დაწერილებით ვანვინილეთ კოსმითერი გონებაც, სამ  
ყაროს სულიცა და სამყაროს სხეულიც; აღენიშნეთ, რომ ღმერთებგო-



სხედს უკვე აღარ შეუძლია დახლინის საზრდოს სამკუთხედები და თავის საყუთარ სამკუთხედებს დაამტკიცოს ისინი; პირველი, თუი მისი სამკუთხედები აუღლად იზღუდავს გარედან შემოსულ სამკუთხედებთან ჰილილიში. ამნარად ძველი ყოველი ცოცხალი არსება თანდათანობით ქრება და ამ მდგომარეობას სიბერეს ეწოდებოდა ჩვენ ბოლოს და ბოლოს, ველარც ტვინის სამკუთხედთა შემკერული კავშირი უძლებენ მტრულ შემოსევას, ირდევვიან და სულს კავშირით აიღვევენ, სულს, რომელიც თავის ბუნებრივ თავისუფლებას იბრუნებს და, სიხარულით აღესილი, ღლად მიფრინავს<sup>319</sup>.

დაეკვირდეთ გამოთქმას: „სულს შემკერული კავშირით“ (პოიტის მსიხეს დესმით); სიტყვის აქო დესმით, მხ. რ. აქო დესმით ძირითადი მნიშვნელობას: სამბელი, სამამი, ნავსამელი, ბაგირი, ქაანნი, პორცილი, ხუნდი, იოგი; საყურბო, საპატიზრო; ტყეობის შეკრულობა... თ, რ არის, პლატონის მიხედვით, სიბერე; როგორც ვნახეთ, აღმართის სულს ეკუთვნის — ღვათებრივი და უძველესი ნაწილის სავანე თავის ტვინია (ანგეფლონი), რომელთანაც ის „დაშლად კავშირითა“ (ალტოი დესმით) შემკერებითაა შეერთებული (განსხვავებით სამყაროს სულისა და სამყაროს სხეულისაგან, რომელიც „დაღმული კავშირითა“ — „ალტოი დესმით“ — ეტრწყვიან ერთობადაა). ტვინის უნატიფეს ელემენტარულ სამკუთხედთა თანდათანობითი გაყვეთა, მათი დეფორტა და გამოფორტა გარდელვად იწყებს ტვინთან სულს შემკერებულ კავშირთა დამლას (ლოიენი), რისაც საბოლოო შედეგად მოსდევს სულის ახსნა თუ თავდასხნა, ესე იგი, სხეულთან გაყრა, ანუ სიცილილი. „ტრემოსის“ სწორედ ამ პასუხითაა შეთავრებული „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი სტროფიანი: „ღამშობიან ჩემში კავშირს, შევრთვივარ სულთს სირასა“<sup>320</sup>. ზოგიერთი ქართველი რუსთველილოგი „ვეფხისტყაოსნის“ ატეორის ინსპირატორად ამ შემთხვევაში ნეოპლატონიკოსებს მიიჩნევს, რადგანაც სირა (სერასა) — „წყება“, „აწყრევი“ ნეოპლატონური ტერმინია<sup>321</sup>. მაგრამ მათი ინტერპრეტაცია უფოდ უნდა დახსტდეს: როგორც ნეოპლატონიკოსების, ისე რუსთველისთვისც ამ შემთხვევაში ამისავალ წერტილად კვლობას და სიცილილის პლატონური, ეტრძოდ, „ტრემოსის-სულ“ კონცეფცია გველინება.

ახლა კი, როგორც ჩვენს წინაპრები იტყობდნენ, „პირველსავე სიტყვის შოვიდეთ“. აღმართის სულს, უძველესი და ღვათებრივი ნაწილის გარდა, რომლის სავანე თავის ტვინია, მოკვდავი ნაწილიც აქვს, რასაც სამყაროს სულთან შედარებით აღამართის სულის აბარტულქმინობა განაპირობებს. სულს ეს მოკვდავი ნაწილი, თავის მხრივ, ორად იყოფა, რომელთაგანაც პირველს სამყოფლად გულ-მკერდის, მეორეს კი მუცლის ღრუ გველინებთ. ისე რომ, აღამართის ინდევიდალუ-

რი სული, საბოლოო ანგარიშით, სამადაა განწილული, რაც ჩვენ გვაინტერესებს: სულს ანალოგიურ, სასამაოვან განწილულობას „ფედეროსის“<sup>322</sup> ენაშტავება მხოლოდ ის არის, რომ „ფედეროსისში“ სულის სამადა ნაწილი უყვადია და წარტვალი, მაშინ როდესაც „ტრემოსში“ მხოლოდ ერთი ნაწილია უყვადი, დანარჩენი ორი კი — მოკვდავი. უმცროსი ღვათებანი სულის ღვათებრივი ნაწილისაგან (სტო თიონი) უძველესად განაცალკევებენ მოკვდავი სულს იმ ნაწილს (სტო ტუს მსიხეს თნეტონ ვენოს), რომელიც სიმაშაცსა და სიფიცხესთანაა წარსაყარო შეესატყურება „ფედეროსის“ „ტო თიონიონის“ და მას შეესატყუბა („ლიაფრავა“) და კისერს შორის მიიჩენენ სამყოფელს. მოკვდავი ნაწილს სწორედ კისრით გამოყოფენ თავის ტვინისაგან (ანგეკვფალინი), ანუ სულის ღვათებრივი და უძველესი ნაწილის (შეესაბო-ნება „ფედეროსის“ „ტო ღვათიონიონის“) სავანისაგან, რომელსაც აგრამოლის აღბრებს პლატონი. მაგრამ სულს ეს ორი ნაწილი მთლიანად გათავშედი როდეს ერთმანეთისაგან: ღვათებრივი ნაწილი უშუალოდ შემოქმედებს ახლენს მოკვდავი ნაწილზე, რომლის ადგილსამყოფელს, უწინარეს ყოვლისა, აღამართის გულია, გული კი სასხობარ-ღვების რთული სისტემით ეწყობრდება სხეულის ყველა ორგანოს, ასე რომ, სულს უძველესი ნაწილი შემოქმედება ვით პერფორირ-მულ ვაწწონის მიერ სხეულს:

უმცროსი ღვათებანი „შომობდნენ, ყოველგვარი იტულიზობის კარგე შეებლათ ღვათებრივი ნაწილი და ამიტომაც განაცალკევებს მისგან მოკვდავი სული, რომელსაც სხეულის სული სხვა ნაწილში მიუღინებენ ბნია და, მათი განაცალკევების მიზნით, თავსა და მკერდს შუა აღმართს კისერი, როგორც ერთგვარი სამაში თუ ზეფარი. სწორად ველმკერდა და მუცლის აბრში მოათავსეს მოკვდავი სული, და რაკი მისი ერთი ნაწილის ბუნება უწყეთესია, მეორესა კი უარესი, ამიტომ ორად გაყვეს მოკვდავი სულის სათავის, შვაგვალ იმისა, როგორც სახლებში სიქაღუმის ჰყოფენ კაცთა საღვთისაგან, ხოლო მათ გამოყოფად დაადგინეს შესამაგლი. მოკვდავი სულის ის ნაწილი, რომელიც სიმაშაცსა და სიფიცხესთანაა წარსაყარი და ძველის მოკვარეა, მათ მოათავსეს შესამაგლსა და კისერს შორის, ესე იგი, თანამ უფრო აბლოს, რათა ყურად ელი გონების მბრძანებლური თანხარა და, მასთან ერთად, ძალით დაეოკებინა გულისთქმათა მჭენე-ვარება, როგორც კი ისინი თავის აშუებას დაპირებდნენ და ეცდებოდნენ აღარ დამორჩილებოდნენ აგროპოლისს ციხე-სიმაგრედან ვონებანს მიერ გაეკემულ ბრძანებებს. ხოლო ველს, სისხლძარღვების ამ ეკანასა და სხეულის ყველა ასოში შშავად მედლი სისხლის წყაროს, მათ მიღრინეს უცვლის საღვთო; როდესაც ფიცხი სული რის-ხვით ინთება, როგორც კი ვონება აუწყებს, რომ ვარემ მიზეზებისა

თუ თვით მისივე საყვარელი ვენებების გამო სხეულში რაღაც უსამართლობა თუ უკეთურება ხდება, გულდან გრძნობის ყველა ორგანოსთან კენ გაბმული ვიწრო არტერი დაუყოვნებლივ იგზავნება ვაფრთხილება თუ შექარა, რათა უკლებლივ ყველა ნაწილში ქედის მოხარისხი და თუთუმანოდ დემონსტრირის სწყყისა შორის ყველაზე უკეთესის მბრძანებლურ კარნახს<sup>221</sup>.

მის შემდეგ, რაც უმცროსმა ღვათებებმა გონივრული და უკვლავი სულისაგან განაცალკევეს მისი მოკვდავი თანამოსახლის ის ნაწილი, რომელიც სინამაფისა და სიფიქსისთანაა წარწყმადი, და გულ-ჰეპრატის არტერი, კისერისა და დაფარავნის შორის მიეჩინეს ბინა, ღმერთებმა ამ უკანასკნელისაგან გამოკვეთეს მოკვდავი სულის მეორე ნაწილი, სული სინამაფისა და ვანქრობისა, მდამალი ვენებისა და ქვენი გრძნობების სული, ეს „მეტაბეული ცხოველი“, „გარეული მტელი“ (სორეშია აგრეთვე), რომელსაც დაფარავნისა და ქიპის შორის მიეჩინეს საყოფელი, ან, უფრო სწორად, პირეტუციული დაბეს ბავაზე, მოკვდავი სულის ეს ნაწილი მაქსიმალურად დაშორებულია ღვათებრივი და უკვდავი სულისაგან, რომლის სავანეც, როგორც ვიცით, თავის ტვინია. მაგრამ თავის ტვინი, ღვიძლის მეშვეობით, მაინც ვარკვეულ ზემოქმედებას ახდენს ქვენი გრძნობების სულზე („მისი ვარკვეულბლად ღმერთებმა შექმნეს ღვიძლი, რომელსაც ცხოველის ბუნებაში მიეჩინეს ბინა“<sup>222</sup>).

მოკვდავი სულის მეორე ნაწილი, რომლისთვისაც ნიშნულია სინამაფისა და ყოველივე იმის სურათი, რასაც ბუნებით მოითხოვს ჰევენი სხეული, ღმერთებმა უსასაძინდისა და კიპის შორის მიეჩინეს ბინა და მთელი ეს ნაწილი თითქმის სხეულს ბავაზე აქცეს. იქ მტკიცებელი ცხოველური დაბეს მოკვდავი სულის ქვენი ნაწილი, ცხოველური, რომლის მოთვინებრება შეუძლებელია, მაგრამ კვებითი ძალაუნებრად უნდა ყვები, რაცია საჭიროა, რომ მოკვდავთა მოღვაძე არსებობდეს. მათ ინებეს, რომ ეს ცხოველი ერთთავად ბავაზე ყოფილიყო დამძული, სულის გონივრული ნაწილისაგან რაც შეიძლება შორის, რათა თავისი ღმერთობა და ღრიალით არ შეეწყებინა იგი და გონს დაუბრკოლებლად შეძლებოდა გათავყუცილებების მიღება როგორც მთელი სხეულის, ისე თითოეული მასის სასიცილოდ. მათ იცოდნენ, რომ ის არ შეისვენდა გონივრულ რჩევას და კიდევაც რომ არსწვლდომოდა, ან რაღაცნაირად შეეგრძნო იგი, მისი ბუნება მარცხაფარად ჩაავლდება ვინების ხას, რადგანაც იმათივე საიმოსიად იყო განწირული, რომ მხოლოდ ბნის რაღვენებების მცოდურ თამაშს დასწერადებოდა<sup>223</sup>.

სამყაროს სულის ანალიზისას ჰევენი ვახებთ, რა და რა ნაწილებიაგან შედგება იგი; როგორც ახდენს მისი უპამონინაბის დემონსტრაციას

კერტის (3:2), კვარტის (4:3) და ტონის (9:8) ტოლი შესყავლური ინტერვალების სამუხალებით, როგორც ასრულებს მთელი კარკავალი თავის ორმაგ, მარადილსა და პარმონიულ წრებრტუნვას სამყაროს თვითმობრავი სულის მეშვეობით; ამასთან ვარკვენი წრის, ანუ ცენტრი ეკვატორის წრებრტუნვა, რომელიც მარცხნიდან მარჯვნივ, ანუ დაწველითაგან აღმოსავლეთის მიმართულებით ხორციელდება, მარად სწევლია და შეესაბამება კოსმოფიცი სულის „იგივეობრივ“ („მეტაბეული“) საწყისს, მაშინ რაღდაც ეკვატორისა და მის სინბრტყეში მომრავი პლანეტებს წრებრტუნვა ცენტრი ეკვატორის სამოქცევის სამბრძანობა და შესატყვისება სამყაროს სულის იმ საწყისს, რომელიც „სტესის“ („მატატორნი“) ბუნებითაა განსაზღვრული; აღნიშნული ისიც, რომ ცის მოძრაობის კვლადყვად სამყაროს სულის მეშვეობით ხორციელდება კოსმოფიცი თვითშეშვენიება:

სული „გვევლინება სამი ნაწილის — იგივეობრივის ბუნების, სტესის ბუნებისა და მესამე არსის ნაწილად, რომელიც პროპორციულად ვაყოფილია, შემდეგ კი კვლავ შეერთებული და ვაქედმებით ბრუნუნეს თავისივე თავის ირკვევლ. ამიტომ ყოველთვის, როცა ეხება რაიმე საგანს, რომლის არსიც ვაყოფილია, ან, პირქით, ვაწუფივლი, — მთელი თავისი არსებითი მობრავი სული სიტყვით აცხადებს, თუ რის მიმართაა ეს საგანი იგივეობრივი და რის მიმართ სხვა, უპირატესად კი — იმას, თუ რაინაირი თანადარაბობა, როდის ან როგორია, რომ ქმნილი საგნები არსებობენ და რაიმეს ვანივლიან ერთობისა თუ მარად უკვლავი და იგივეობრივი საგნებისაგან მიმართებით. ეს სიტყვა, თვითმობრავ სამყაროს უხბომლ და მუდმილად წარმოთქმული, თანბრად ქვეშაობრტია, მიუხედავად იმისა, თუ რას ეტება — იგივეობრტისა თუ სტესს. მაგრამ როცა ის წარმოითქმის გრძნობადის გამო და მას სამყაროს მიერ სულ ვადსაცემს მწველად მბრუნავი ვერ სტესისა, მაშინ წარმოიქმნება ქვეშაობრტა და მყარ წარმოვლიდა თუ არწმენა და პარქით, როცა ის წარმოითქმის აზრით სწავლად საგანზე და მას იუწყება იგივეობრივის მუდმილად მბრუნობ წრე, მაშინ აუცილებლად სარულუფილიებს აღწევს ვინებრება და ცოდნა“<sup>224</sup>.

ჰევენი ვიცით, რომ, პლატონის მიხედვით, ყოველგვარი შემქმენების თუ ცოდნის ბუნება შესამებრტყელი საგნის ბუნებითაა განსაზღვრული, კერძოდ, „ქვეშაობრტა შემქმენის“ („უპსტემეო“) საგანი იდეალური სინამდვილეა, ხოლო ქვეშაობრტებისა და მცდარობის შორის მერკვევი „წარმოვლინის“ თუ „შეხედულების“ („დოქსის“) საგნად გრძნობად-კონკრეტული სინამდვილე ვაველენება. „ტიმონის“ მიხედვით, ანალოგიურია სამყაროს თვითშეშვენიება ერთის მხრივ, ცოდნის თუ შემქმენების, ხოლო მეორის მხრივ, სინამდვილის სტევადასტვა სტეხების აქავ კორელატურნი არიან ერთობრტის მიმართ. კერძოდ, „იგი-

უეობრაკის\* საწესისთან შეხება სამყაროს სულში იწვევს „კემშარტ კოდანს“, „სხევისთან“ შეხებისას კი მასში აღიჭურვის „წარმოდგენა“ თუ „ჩრქვენი“. მაგრამ ინდივიდუალური შექცენისასაც ვისსხეულებია. კემშარტია სამყაროელი თვითშემეცნების ის ასპექტი, რომელიც „სხევისი“ ბუნებითაა განსაზღვრული და შეესაბამება ადამიანურ „წარმოდგენას“.

ადამიანი თავისი ფსიქიკური კონსტიტუციით იძვრება სამყაროს სულს შიგულში: იგივე შედგენილობა, იგივე პარპინიზაცია შესთქმულ რიტრეფელთა სამყალებით, ახრის ახალგაიერი ცირკულაცია „იგევიობრივისა“ და „სხეის“ წრებრუნეთა მიხედვით, მაგრამ რაოდენ არასრულწინაა ფსიქიკური ფუნქციონირების მექანიზმი სამყაროს სულის შემოღობამათან შედარებით, რაც, უწინარეს ყოვლისა, ეხება ახალშობილის სულს, რომლის ფუნქციებიც მხოლოდ თანდათანობით იხვეწება ზრდის პროცესში; რამდენად დარღვეულია „იგევიობრაკის“ და „სხეის“ ბუნებათა გარჩევა-განსხვავება ათასწიარ შეგარბნებათა ქაოტურსა და შავად მბრუნავ მორკვში:

„ყველა ეს მოძრაობა სხეულის მეშვეობით აღწევდა და თავს ატყულებოდა სულს, რის გამოც თითოეულ მათგანს ჯერ კიდევ მაშინ ეწოდა და აღწევდა შემორბა შეგარბნების სხეული. დაუყოვნებლივ რომ იწვეოდნენ უმძალეურსა და უმძალურს შობამკვლელებს, უწყვეტ ნაკადად შედინი შეგარბნებები არყვედნენ და ამღერებდნენ სულის წრებრუნვას. თავიანთი საპირსპირო დინებით მათ სწობოლიოდ შებოძეს იგივეობრივის მოძრაობა და, ამრავალ, აღუკეთეს არა მარტო მეტყუება, არამედ იმის შესაძლებლობაც, რომ თავისი გზით ეველო, რაც შეეხება სხვის წრებრუნვას, მათ ისეთნაირად შერყვნეს და შეშალდნენ იგი, რომ ორმაგი და სამმაგი შეაუღლები, აგრეთვე სამი მეორედის, ოთხი შესამედისა და ცხრა პერყუნის ტოლი შეათანა წვერები, რომელთა დაშლაც არავის ძალეში, მათივე შემგარბნების გარეშად, — ისე გამტრდნენ და მივირბინ-მოვიგარბნენ, რომ თითქმის მთლიანად დაარღვიეს წრიული ბრუნვა: მათათალია, დიდი გაჭირვებით, მიიღეს ერთად მივდინებოდნენ, მაგრამ მათი დინება ურთავითი იყო და უთიური: ზან ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ, ზან გეზად დიდიდნენ, ზან კი წოდის ნაკვალად — უტუღმა; იმისა არ იყოს, კაცო რომ ყირის გაჭირვებს, თავს მოქმს დაეყრდნობს, ფეხები კი მაღლა აძლავებს და ასე მიაშტერდება ვრქესს; ამ დროს მასაც და მის შემყურესაც ყველგერი უტუღმა და თვდაიყრა წარმოუდგება: მარჯვენა მარცხენა მკონია, მარცხენა კი — მარჯვენა, ზუსტად ამასვე და სხვა მსისთანა ვანდოდან სულის წრებრუნვანი: ყოველივის, როცა იგივეობრივის ამ სხვა ვეარისას ვადაეყრბიან რასმე, თუ რისყვნებლვე იწყებენ შეყვარობას რაიმეს მიმართ იგივეობრივისა და რისყვამე განსხვავებულის

თათაზე; მაგრამ მათი მსჯელობა აშკარად უპირისპირდება კემშარტებს, რადგანაც ცრუმეტყველობა და უგუნურთა დარად მსჯელობენ, ამასთან, ანუ ერთ წრებრუნვას არ შესწევს მბრანებლობისა და მისთვის უნარო: როდესაც გარედან მოზღვრავებული შეგარბნებანი თავს ახვევან წრებებს და თავიანთ მორტეში იორევეს სულის მიველ ვანდასაც, წრეების მბრანებლობა ბრწმინდად მოტყუებითია, სინამდვილეში კი ისინი მხოლოდ და მხოლოდ შინა-მოჩინებით არიანააა, — მასვე ამტკიცებს პლატონი: „ფელონის“: „ყველა სხარული შეველა მწუხარება სულს თითქმის სამსჯელოთ ამსჯელებს და ერთგვარად კიდევ ამსჯელებს სხეულს, ასე რომ, მისთვის კემშარტად იტყვევა ის, რასაც სხეული ატენვებს კემშარტად, ხოლო სხეულის თანამოარბელ ქვეული, მისი თანამავალი და თანამარნახეც ხდება“<sup>223</sup>.

ჩვენს განსაკუთრებულ რტრეტეს იწვევს „ტიმოლისი“. ფსიქოლოგიური თეორიის ერთი მომენტია, რომლის თანახმად, ინდივიდუალური სელებად დანაწილებამდე ადამიანის სული კაცობრიობის განუყოფელ კოლექტიური სულად გვეკონუნება, რომელიც სამყაროს სულის ერთგვარი პარალელური კრეატორია, მხოლოდ ვაკლებობით ნაკლებ სრულწინაღი, დემიურგისი ჯერ ერთ მთლიან არსება ქმნის და მხოლოდ შემდეგ აწმყურებს ამ კოლექტიურ სულს: თითოეულ ნაწილს თავის წილხვდომილ ვარსკვლავს მიუჩნის ციერ სავანეს, ასე რომ, ადამიანში განსწილებების სელები ვარსკვლავებიდან ჩამოდიან ამ ქვეყნად, და თუ ღერბეულად გაღიეს წუთისმოფელო, კვლავ ითვიან წილხვდომილ ვარსკვლავებს უბრუნდებიან, რათა მიწერილი სიმაწროსა და ვებისთან დასწილებებმა ვარსკვლავებზე ვააგრტელოთ თივინითი ნეტარი და ენებათაგან შეუმღვრველი სიციცხლე:

დემიურგისი „შემდეგ მიუბრუნდა იმევე კუბიკლს, რომელიც ერთმანეთს შეუზავა სამყაროს სულის შემადგენელი ნაწილები. უწინდელი ნაზავის მიეული ნაწითი და ნარჩენი ჩაასხა წიგ და დაახლოებით იმევე, როგორც უწინ, კვლავ ერთმანეთს შეურია ისინი, მაგრამ ამ ახალი ნაზავის სწმინდელ უცევე მორტრეულ თუ შესამეული იყო, შემდეგ ამ ნაზავიდან გამოიყო ინდინივე სული, რამდენიც არის ვარსკვლავი, და მიეულ ცანე ზამოარბია ისინი ისე, რომ თითოეულ სულს თითო ვარსკვლავი ზედ წილად, ვარსკვლავებზე, როგორც ციერ ცტლებზე, რომ დასახა ისინი, სამყაროს ბუნება უჩვენა და ბედნიწერის კანონები ვაანლო მათ: პირველ დახადება ერთნარობა იქნება დადგენილი ყველა სულისთვის, რათა მის მიერ ანუ ერთი არ იუნენს დამტრებელი, ხოლო მიეულს ცანე მიმოფანტულმა და თითოეული მათიგან წილხვდომილ ვარსკვლავზე — დროს ამ სეურველზე დამეცეურებულმა სელებმა დასამამი უნდა მისცენ სელებელთა შორის ყველაზე ღეთისმოსივე კოცხლ არსებთათა მოდგმას — ადამიანთა მოდგ-

ტანის ღრმა რწმენით, მისი ღრმა მიწნებით ოდესმე თავის წილზედო  
მოდ ღრმის ზოლიაქის დაუბრუნდება, რომელიც, სულხან-საბა ორ-  
ბელიანის სიტყვებით რომ ვთქვათ, «ველისა 23 მიოთუღას შვესა».

ხოლო თავის თავზე ნესტანი ამბობს: «მუნა ვნახო, მადვე ვასხო,  
გამინათლო გული ჩრდილი». რას ნიშნავს ეს «მუნა ვნახო»? «მუნა»  
ხოშ ვარსკვლავია, ზოლიაქთა ციურტი რყალი? ნესტანის მოტივი  
სიციხულე, იმ საბედისწერო დღედან მოყოლებული, როცა დავიძინე  
ბრძანებით კიდობანი ჩასვეს და ზღვის ტალღებში ეტრეს თავი, სჭე  
არა არის რა, თუ არა თავგანწირული ბრძოლა თავისი სიწმინდისა და  
სიწაღვლის გულისაჩვენად, რათა ამქვეყნად თუ არა, საუცუნო სოფ-  
ელად მანკო უმანკოდ და პირნათლად წარუდგეს თავის უებრო მიწებს.  
«ვეფხისტყაოსნის» ორ თავს ერთი და იგივე სათაური აქვს: «წიგნი  
ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა» და «წიგნი ნესტან-დარეჯანისა  
საყვარელთაჲსა». პირველს წერს ჟირ კიდევ ბედის ნებებიერი მეფის  
ასულა, მეორეს კი — ქაქუცის ცახხე მეფე, ბედისწერის სიმკითხ-  
ლოთ და სისასტიკოთ სსსობიდილი და საწუთროგაარამებული საბრძო-  
ლო ტყვე, მაგრამ ურდვევი ფიცო საუცუნო ერთგულებისა, პირველ  
წიგნიში რომ აღუთქვა მიწნებას: «უნეშან შტემან, თავი ჩემი არვის  
პირათებს უწუნოსა», უცვლელად, სიტყვა-სიტყვით მეორდება ქაქუ-  
ციდან გამოგზავნილი უსტარშიც:

«მუნა შტემან, უწუნოსა არვის მიხედის შთავი შენ,  
შენი შტემან, ვარის მიხედის, მო-სი-ვი-ღან სამნი შტენ,  
აქან თავსა ვარდები-ცე, ამლის მიხედან ბოლი კლდეც,  
სული ჩემი შეუდგო, ხელი მიმძღვენ ნეთი ფოიჯი» 237.

ამრიგად, ნესტანი, უწინარეს ყოვლისა, უმანკო ქალწულია, ქალ-  
წული par excellence. «ქალწული» კი «ღრმის» მეზობელი ზოლი-  
აქია, რომელიც «ავჯიტოსა 23 მიოთუღას შვესა». ბედის სისასტი-  
კითა და ყაბთა სიავით ამ ქვეყნად პატივით მიწნებო მხოლოდ ცის  
სიწმინდე თუ შეგავწყვილებს ჩვენს წილზედომოდ ღრმისა და ქალ-  
წულის თანავარსკვლავებზედ დავანებულ, და ცხოველმოუფლო  
მზე შეგავებოებს თავის მარადიული ბრუნვით, — ამ ნათელი მრწა-  
სითაა მთავონებელი სტროფის დასკვნითი სიტყვები: «თუ სიციხულ-  
ეუ მწარე მჭონდა, სიციხელიცა მჭონდა ტბალი». ამრიგად, დედამ-  
ახრად რომ იღებს სულთა კისპირი წარბებრუნის (ფარსევლები —  
დედამიწა, დედამიწა — ვარსკვლავები) პლატონისეულ კონცეფციას,  
რუსთაველი ქმნის ბრწყინვალე პოეტურ მეტაფორას, რომლის ხაღა-  
ლიც იშვიათად თუ მოიხიბნება მხოვლოდ პოეტისა.

### დ. სიციხოლოვური ასპექტი

მიუხედავად იმისა, რომ «ტიმოქოსი» და «სახელმწიფო» პლატონის  
შეშოქმულებების სხვადასხვა პერიოდშია შექმნილი, საშვე ისე წარმო-  
გვიდგება, თითქოს პირველი დიალოგის მოქმედება მეორის უშუალო  
გაგრძელება და განვითარება იყოს; თითქოს «ტიმოქოსის» ეჭვობი  
მეორე დღეს აგრძელებენ იმ საუბარს, რომლის მთავარი თემაც იდე-  
ალური სახელმწიფოს წეს-წყობილებაა, რახედაც ასე ვრცლად მსჯე-  
ლობენ «სახელმწიფოს» პერიოდებში. .... ჩემი გეგმიდლო მსჯე-  
ლობის მთავარი საკითხი იყო სახელმწიფოებრივი წეს-წყობილება:  
ყოვლი უნდა იყოს იგი და რანაირი მოქალაქეები სჭირდება მის სრულ-  
ყოვლებას. — ეუბნება სოკრატე: «ტიმოქოსი»: თავის თანამოსაუბრე-  
ებს. — გუშინ ავი იმით დავიწყეთ, რომ მიწის მუშაობა და ყველა დი-  
ნარჩენთა ხელობა გავა-ცალკევოთ იმ წოდებისაგან, რომლის დანიშ-  
ნულობაც ისაა, რომ სახელმწიფო დავიცვას ომში. — თავის თანამოსაუბრე-  
წოდებს, საკუთარი ბუნებისაგან, მხოლოდ მისთვის შესაფერისი  
სქემისაობა, მხოლოდ ერთი რამ ხელობა შეეცდებოდნენ, ჩვენ ვთქვით,  
რომ ისინი, ვისაც ყველას გეგნისათვის მოუწყებს ბრძოლა, როგორც  
ვარემუ, ისე შინაურ მტერთა მიერ ხელუფლისაგან, სახელმწიფოს  
მცველები უნდა იყვნენ; მათ მოწყალედ უნდა მიაგონ სამართალი თა-  
ვიანთ ქვეშევრდომთ, რომელნიც ბუნებით მათივე მეგობრები არიან,  
მაგრამ დაუნდობელნი უნდა იყვნენ მტერების წინააღმდეგ ბრძოლაში,  
ვერნებ, ისიც ვთქვით, რომ ამ მცველების სული ფიცხი და, იმა-  
დროულად, ფილოსოფიურიც უნდა იყოს, რათა მათ შეეძლოს, თუც  
საპირო შეიქმნა, მოწყალედაც მოიქცნენ და დაუნდობლადაც, ერთის  
მხრივ, მტრის, ხოლო მეორეს მხრივ, მოყვასის მიმართ» 238.

სახელმწიფო, პლატონის მიხედვით, ერთი მთლიანი ორგანიზმია,  
რომლის ასოებიც საზოგადოების ცალკეული წევრები, სოციალური  
ჯგუფები თუ ინდივიდუალური წევრები არიან თავიანთი წევრობით  
გამოკვეთილი, თავისთავად და ერთმანეთისაგან განსხვავებული ფუნქ-  
ციებით, და მხოლოდ მათი პარმიონიული თანხმობა, მათი ერთობლივი  
თანამშრომლობა განსაზღვრავს სახელმწიფოებრივი ორგანიზმის სი-  
ყანასაღესა და სიციხულენარჩაობისა. «ჩვენ — იტყვის უფროსი — გე-  
რამ რომის დიდი იმპერატორი, — თანამშრომლობისა და თანამოღვა-  
წრობისათვის ერთი შექმნილი, როგორც ხელები, ფეხები, ქუთუმი-  
ლი, ზედა და ქვედა უბები. ამიტომ ურთიერთწინააღმდეგობა ბუნების წი-  
ნააღმდეგ აღებრასა ნიშნავს, მაგრამ ვინც გომბს და გაუბრბს მოყ-  
ვას, წინააღმდეგობაც იფი მისი» 239 (აღსანიშნავია, რომ ქრისტიანო-  
ბა, ბერძნულ-რამული სტრაციონის მეშვეობით, თითქმის სიტყვა-სა-  
ბუთი გაიზიარებს ამ პლატონურ კონცეფციას: «ეთიარკე ერთისა

მას ვემსია მრავალსთებ აქვს, ხოლო ასობებსა მას ყოველსა არა იგივე საქმე აქვს, ვგებთა ზვენ უთველი ერთ ზუამ ვართ ქრისტეს მიერ, ხოლო თვითოველი ურთიერთს ასობე ვართ) 340.

